# ლელო

ვალიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

15 დეკემბერი **სამშაბათი** 2009

№295(12974) ფასი 60 თეთრი


საქართველოს თასი

## ნაადრევი ფინალი არ იქნება



ნახევარფინალის წილისყრა >> გვერდი 3



## გადადგა

### რამიშვილმა, ფეხბურთს ბიზნესიდან უფრო დავეხმარებიო...

**დიმიტრი რამიშვილი პროფლიგის პრეზიდენტის პოსტს ათავისუფლებს. ეს ამბავი გუშინ გაცხადდა. რამიშვილმა თქვა, რომ მიდის ბიზნესში, საიდანაც ქართულ ფეხბურთს უფრო ნაყოფიერად დაეხმარება - როგორც დაწყებული პროექტების თანადგომით, ისე სპონსორების მოზიდვით. მას კომენტარისთვის დავუკავშირდით...**

**- რამ განაპირობა თქვენი გადაწყვეტილება?**

- ეს არ არის ნაჩქარევი გადაწყვეტილება. ბიზნესიდან სერიოზული წინადადება მივიღე და უკვე ოთხი თვეა, პროფლიგიდან წასვლაზე ვფიქრობ.

**- პროფლიგა ხომ თქვენი შვილობილია... ასეთი რა წინადადება მიიღეთ?**

- დაკონკრეტებისგან ჯერ თავს შევიკავებ. სერიოზული წინადადებაა და საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ ფეხბურთს სწორედ ასე დავუდგე გვერდში. ვფიქრობ, ამით ისევ იმ პროქტების განვითარებასა და გაძლიერებას შევუწყობ ხელს, რომელსაც საფუძველი ჩვენვე ჩავუყარეთ. ფეხბურთს ბიზნესის თანადგომა ყოველთვის სჭირდებოდა, მაგრამ დღეს ეს ყველაზე მეტად სჭირდება. ქართული ფეხბურთის კომერციალიზაციის პროექტები მისი მომავლის საფუძველია. ჩამოყალიბდა სისტემა, რომელიც დიდი შედეგებს მოგვიტანს. მე ყოველთვის ვდგამდი იმ ნაბიჯს, რომელიც, ჩემი აზრით, ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის იყო საჭირო. თავის დროზე, ქუთაისის „ტორპედოში" მივედი და გუნდი ზედიზედ სამჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი. თუმცა მივხვდი, რომ ჩვენი ფეხბურთის წინსვლა ამ ერთი კლუბით შეუძლებელი იყო, საკითხს გლობალური მიდგომა სჭირდებოდა. ჩამოვაყალიბეთ პროფესიული ფეხბურთის ლიგა, რომელიც, დარწმუნებული ვარ, უდიდესი ნაბიჯი იყო. ლიგა თავიდანვე პოზიტიურ მომენტებზე იყო ორიენტირებული. უამრავი პროექტი განხორციელდა, აღვადგინეთ სუპერთასი, რომელიც კომერციული გახდა, ასევე ჩემპიონატი, თასი... დავაარსეთ სეზონის შემაჯამებელი შოუ „დეა". ესეც და მედიაკომპანია „კოლხიდა", გადაცემა „გოლი" ფეხბურთელებისა და ჩვენი პირველობის პოპულარიზაციას უწყობდა ხელს. თუმცა ახლა დროა, ფეხბურთს ბიზნესიდან უფრო ქმედითი დახმარება აღმოვუჩინოთ. ქართულ ფეხბურთს რაც უფრო მეტი სპონსორი და თანამდგომი გამოუჩნდება, მით უფრო მაღალ საფეხურზე ავა. ჩემი მიზანიც სწორედ ეს იყო და ამას საფეხბურთო პოსტიდან გავაკეთებ თუ ბიზნესიდან, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, ამ თანადგომას ეფექტი ჰქონდეს.

**- კომერციალიზაცია კარგია, მაგრამ ისმოდა საყვედურები, რომ კლუბებს თანხები არ მიუღიათ...**

- პროფლიგა სწორედ ამ კლუბებთან ერთად შევქმენით და ყველამ კარგად იცის - რა თანხებიც მოვიზიდეთ, ის გავეცით. ამ გადაწყვეტილებებს მათთან ერთად ვიღებდით.

**- მართლა წყალბურთში მიდიხართ?**

- წყალბურთის სამყარო ჩემთვის ძალიან ახლობელია, მაგრამ ამჯერად სამომავლო გეგმებს მხოლოდ ფეხბურთს ვუკავშირებ.

**მერაბ მამულაშვილი**

## 2 აგვისტოს ვიწყებთ

### რუსეთიც აგვცდა და გერმანიაც



>> გვერდი 12

## იაშვილი ლევერკუზენში





>> გვერდი 3

## კობი პერტაში მიდის?

# გაზაფხულის მოლოდინი

ოთხთვენახევრიანი „სანახაობა“ დასრულდა - ჩემპიონატის მონაწილე გუნდებმა თვრამეტი ტური „მოილიეს“ და ახლა ყველანი, მწვრთნელ-ფეხბურთელებიანად, დამსახურებულ საახალწლო არდადეგებზე გავლენ. ეგ არის, „დინამო“ და „ვიტ ჯორჯია“ ოდნავ გვიან შეუერთდებიან შვებულებაში მყოფ გუნდებს - ორ დღეში სუპერთასსაც ჩავატარებთ და საფეხბურთო 2009 წელსაც დასრულებულად გამოვაცხადებთ. აი, ამის მერე იქნება პირველი ეტაპის შეჯამება, ოღონდ, მიკერძოება-ტენდენციურობა რომ არ დაგვწამონ (მთელი პირველი ეტაპის განმავლობაში „ლელოს“ რომ არ დაჰკლებია), „ტრიბუნას“ ათივე გუნდის მთავარ მწვრთნელს დავუთმობთ. ჰო, სჯობს, თავიანთი გუნდის ავ-კარგზე თვითონ ილაპარაკონ. სამომავლო გეგმებიც გაგვანდონ და ყველას რომ აინტერესებს, სატრანსფერო სიახლეებიც გაგვიმხილონ. ამ ყველაფერს ძალიან მალე დავიწყებთ, უფრო ზუსტად, სუპერთასის შემდეგ; მანამდე კი პირველი ეტაპის უკანასკნელ ტურზეც, სატურნირო ცხრილში ცვლილება რომ არ მოუხდენია (როგორც ვივარაუდეთ), თუმცა ერთი სენსაცია მაინც „გვაჩუქა“...

## ოლიმპიური რეკორდსმენები

რა მიხვედრა უნდა, ტურის მიმოხილვა ცხრილის ერთპიროვნული ლიდერისა და ამავდროულად, „ზამთრის ჩემპიონის“ მონაწილეობით ჩატარებული მატჩით უნდა დავიწყოთ: „ოლიმპმა“ წარმატებული სერიით, თავისი ერთგული ქომაგები ისე შეაჩვია, მალე, ალბათ ყველა ჩვეულებრივ ამბად ალიქვამს ამ გუნდის სარეკორდო მაჩვენებლებს. არადა, უკვე სამი თვეა, რუსთაველი გუნდის შემჩერებელი ალარავინ არის - „ოლიმპმა“ ჩემპიონატში ზედიზედ მეცხრე მატჩი მოიგო! ცალკე, ანუ, „პერსონალურ“ რეკორდზე მიდის **თემურ მახარაძეც**, ვისი ხელმძღვანელობითაც „ოლიმპი“ ზედიზედ შვიდი შეხვედრაა, მოედანს გამარჯვებული ტოვებს! ცხრილის ერთპიროვნულ ლიდერს ნამდვილად არ ჰქონდა იოლი მატჩი, მით უმეტეს, პირველ წრეში „სპარტაკთან“ შეხვედრაში მხოლოდ მსაჯის მიერ დამატებულ დროში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება (გოლი შორეული დარტყმით **ანდერსონ აკინომ** გაიტანა). მოკლედ, მთლად „სარევანშო“ შეხვედრა არ იყო, მაგრამ მაინც პრინციპულ დაპირისპირებას ველოდით - ამ სეზონში „სპარტაკი“ ხომ აშკარად განსხვავებული მიზნებისთვის იბრძვის.

ყველაფერ ამას თავი რომ დავანებოთ, „ოლიმპს“ ყოველი ღონე უნდა ეხმარა, რომ უახლოესი მდევრიდან არსებული სოლიდური ჰანდიკაპი კვლავაც შეენარჩუნებინა და საბოლოოდ ასეც მოხდა. ოღონდ, რუსთაველი კლუბის ხელმძღვანელებს, მწვრთნელებსა თუ ფეხბურთელებს პირველი ტაიმის შემდეგ აბსოლუტურად საპირისპირო განწყობა ჰქონდათ: მასპინძლები აქტიურად თამაშობდნენ და შეხვედრის ეს მონაკვეთიც თავის სასარგებლოდ დაასრულეს. აი, მეორე ტაიმში კი მოედანზე ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა და ეს „ოლიმპი“ იყო. სტუმრებმა შეძლეს და აკინოს „დუბლის“ წყალობით მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვეს, თანაც არცთუ ოპტიმალური შემადგენლობით ასპარეზობდნენ.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ აკინოს ზღაპრული შედეგიანობა - პირველი ეტაპის უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელმა 16 მატჩში მიიღო მონაწილეობა და მეტოქეთა კარში... 16 გოლი გაიტანა, ბრაზილიელმა მეორე ეტაპზეც თუ ასე გააგრძელა, არ არის გამორიცხული **მერაბ მეგრელაძისა და ოთარ კორღალიძის** მსგავსად, სეზონში 40-მდე გოლი გაიტანოს...

## სხვადასხვა განწყობა

„ოლიმპმა“ ისე დაგვაჩვია დიდი ანგარიშით მოგებებს, რომ ამ გუნდის ერთბურთიანი სხვაობით გამარჯვება „გვიკვირს“; საერთოდაც, ამ ტურში ფავორიტებად ვისაც მივიჩნევდით, იმ გუნდებს მეტოქეებთან შედარებით, განსაკუთრებული უპირატესობა არ ჰქონიათ. ეგ კი არა, ერთ-ერთმა ლიდერმა სულაც საშინაო მატჩში ვერ შეძლო გათამაშების აუტსაიდერის დამარცხება. აი, ეს იყო კიდეც გასული ტურის ყველაზე დიდი სენსაცია: ბოლო დროს აშკარად აღმავლობით მოასპარეზე „ვიტ ჯორჯიამ“ რომ „ლოკომოტივთან“ ფრედ ითამაშა. შესაძლოა, ვინმემ ყურადღება იმაზეც გაამახვილოს, მასპინძლებს საუკეთესო მეგოლე (**ვახტანგ კვარაცხელია**) და ასევე, ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი (**გიგა ბეჭვაია**) რომ აკლდათ, მაგრამ „ვიტ ჯორჯიაში“ ამათ გარდაც არაერთი მოთამაშეა, მატჩის ბედის გადაწყვეტა რომ შეუძლიათ.

საბოლოო შედეგი (1:1) მართლაც მოულოდნელი იყო, მაგრამ არანაკლებ მოულოდნელი იყო ის ფაქტიც, რომ მასპინძლები სულაც მდევრის როლში იყვნენ და **ჯაბა ლიპარტიას** ზუსტი დარტყმით შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. აქვე, უსამართლობა იქნებოდა იმის არაღნიშვნაც, თუ რამდენი ხელსაყრელი მომენტი გაანიავეს მასპინძლებმა (განსაკუთრებით - მეორე ტაიმში): „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელებს ხან სიზუსტე აკლდათ გადამწყვეტ მომენტში, ხან სტუმართა მეკარე თუ მცველები თამაშობდნენ თავგანწირვით.

ასეა თუ ისე, „ვიტ ჯორჯიამ“ მეტად საჭირო ორი ქულა დაკარგა და ახლა მხოლოდ მცირედითღა უსწრებს თბილისის „დინამოს“. თავის მხრივ, „დინამომ“, როგორც გუშინ აღვნიშნეთ, ზედიზედ სამი გამარჯვებით, ცოტა არ იყოს, სატურნირო მდგომარეობაც გაიუმჯობესა და ამ გუნდის ქომაგებს მეორე ეტაპისთვის იმედებიც ჩაუსახა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, დღევანდელი „დინამოს“ მწვრთნელ-ფეხბურთელებს, ალბათ, ნამდვილად არ სურთ კლუბის ისტორიაში უარყოფითი სტატუსით შევიდნენ: წინა ოცი ჩემპიონატის განმავლობაში არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, გუნდი მესამე ადგილზე ქვემოთ რომ გასულიყოს. **კახა კაჭარავას** გუნდმა ამჯერად დამსახურებულადაც გაიმარჯვა და პირველ წრეში მტკივნეული მარცხის გამო რევანშიც აიღო. რაც მთავარია, „დინამომ“ ამ გამარჯვებას უფრო კლასის ხარჯზე მიაღწია და ამისათვის... მხოლოდ პირველი ტაიმი იკმარა. ისე როგორც უკანასკნელ მატჩებში, დინამოელთა შორის ყველაზე გამორჩეულნი **გურამ კაშია** და **გიორგი მერებაშვილი** იყვნენ; უმცროსი **კაშია** რომ ამ სეზონში „დინამოს“ ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა, უკვე ფაქტია და არც ის არის უმნიშვნელო ამბავი, ცენტრალური მცველის კვალობაზე სისტემატურად რომ გოლები გააქვს.

მერებაშვილი კი ბოლო მატჩებში ისე ათამაშდა, როგორც მას მოეთხოვება - ახლაც, საკუთარი გუნდის ორივე გოლში დიდი წვლილი შეიტანა და სანამ შეცვლიდნენ, უაღრესად აქტიურადაც გამოიყურებოდა. ერთადერთი, გოლის გატანაღა დააკლდა, არადა, ამის შანსი მთელი მატჩის განმავლობაში არაერთხელ ჰქონდა. სამაგიეროდ, უმაღლეს ლიგაში პირველი გოლი გაიტანა 18 წლის **გიორგი მამუჩაშვილმა**, ვინც „დინამოს“ ძირითად ფეხბურთელად იქცა.

გაუჭირდა მოგება „ზესტაფონსაც“, არადა, ტურის წინათქმაშიც ვწერდით, რომ **გია გეგუჩაძის** გუნდს უპრობლემოდ უნდა აეღო სამი ქულა ზუგდიდის „ბაიასთან“. ამის მიზეზი კი, სტუმართა გუნდის სერიოზული საკადრო პრობლემები უნდა ყოფილიყო - დისკვალიფიკაციის გამო „ბაიას“ ძირითადი შემადგენლობის ერთდროულად ოთხი წამყვანი ფეხბურთელი (**ვალტერ გუჩუა, როინ ონიანი, რევაზ ჯიქია, ჩისამბა ლუნგუ**) აკლდა. თუმცა, ამის მიუხედავად, **ბესიკ შეროზიას** გუნდმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს - მასპინძლებმა გამარჯვების მომტანი გოლი მატჩის ბოლოსკენ გაიტანეს.

დაბოლოს, ტურის კიდევ ერთ შეხვედრაზეც, სადაც „სიონმა“ და „გაგრამ“ ქულები გაიყვეს. ოღონდ, ვერავინ იტყოდა, „მშვიდობიანი“ თამაში იყოო; პირიქით - აქეთ-იქით დანიშნული პენალტები და ორი გაძევება იმას მოწმობს, რომ ორივე გუნდი მოედანზე მხოლოდ მოსაგებად იყო გამოსული. ოღონდ, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ სტუმრები ბევრად უფრო მონდომებულნი იყვნენ და თითქმის მთელი მატჩი აქტიურადაც ჩაატარეს. თუ ფეხბურთში რაიმე ლოგიკა არსებობს, **კახა კარანაძის** კრებულს ჩემპიონატში პირველი „საგარეო“ მატჩი უნდა მოეგო, მაგრამ ასე რომ არ მოხდა, უპირველეს ყოვლისა, „სიონის“ გამოცდილი მეკარის **მინდია ბობღიაშვილის** დამსახურება იყო. 90 წუთის განმავლობაში ბობღიაშვილმა არაერთხელ იხსნა საკუთარი კარი აშკარა ხიფათისგან და მხოლოდ ერთ ეპიზოდში ვერ გადაარჩინა. ბოლნისელთა მეკარეს ამ შემთხვევაში ვერავინ უსაყვედურებდა - „გაგრას“ ლიდერმა **გიორგი გაბედავამ** ხომ მის კარში გოლი პენალტით გაიტანა.

სხვათა შორის, კარანაძის ხელმძღვანელობით „გაგრამ“ მეორე მატჩი ჩაატარა და წინასთან შედარებით, აშკარად უკეთესად გამოიყურებოდა. საერთოდაც, ამ ახალგაზრდულმა გუნდმა (სეზონის დასაწყისში „ვიტ ჯორჯიასთან“ შთამბეჭდავ გამარჯვებას თუ არ ჩავთვლით) ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეული მატჩი ჩაატარა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეორე ეტაპიდან ცხრილის ქვემოთაც „დიდი ამბებია“ მოსალოდნელი: „ლოკომოტივს“ ყველა უიმედო აუტსაიდერად მივიჩნევდით და ამ დროს კი **გელა სანაიას** გუნდმა ნელ-ნელა ქულების მოგროვება დაიწყო; დალხენილი ცხოვრება არც „ბაიასა“ და „სიონს“ ექნებათ და ამიტომაც გადაჭრით წინასწარ რაიმეს თქმა უადგილოდ გვეჩვენება. აღარაფერს ვამბობთ ცხრილის ზედა ნაწილზეც, ოღონდ, გასარკვევი, ალბათ, მხოლოდ ის უნდა იყოს, თუ რომელი გუნდები დაიკავებენ, მეორე და მესამე ადგილებს (კანდიდატი კი სამია - „ზესტაფონი“, „ვიტ ჯორჯია“ და „დინამო“); აი, ჩემპიონის ვინაობა კი, ფაქტობრივად, გარკვეულია! ვინმე რომ არ შემოგვედავოს, ვიტყვით, რომ... „ზამთრის ჩემპიონზე“ ვსაუბრობთ, სრულიად დამსახურებულად რუსთავის „ოლიმპი“ რომ გახდა. მაგრამ, ვერც იმ ფაქტს გავექცევით, რომ თემურ მახარაძის გუნდს ისეთი სოლიდური უპირატესობა აქვს უახლოეს მდევართან, „ძალით“ უნდა მოინდომოს მოვლენების სხვაგვარი განვითარება...

**გია ტუხაშვილი**






დინამო-სამტრედია 2:0

ალექსანდრე კოტრიაშვილის ფოტო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 18 | 14 | 3 | 1 | 42-13 | 45 |
| 2. ზესტაფონი | 18 | 11 | 5 | 2 | 31-15 | 38 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 18 | 9 | 6 | 3 | 26-18 | 33 |
| 4. დინამო | 18 | 9 | 5 | 4 | 29-11 | 32 |
| 5. სპარტაკი | 18 | 6 | 5 | 7 | 25-30 | 23 |
| 6. სამტრედია | 18 | 6 | 4 | 8 | 24-35 | 22 |
| 7. სიონი | 18 | 3 | 8 | 7 | 12-25 | 17 |
| 8. გაგრა | 18 | 3 | 5 | 10 | 18-30 | 14 |
| 9. ბაია | 18 | 3 | 3 | 12 | 15-27 | 12 |
| 10. ლოკომოტივი | 18 | 1 | 6 | 11 | 6-23 | 9 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 18 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 13 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 11 |

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საქართველოს თასი

1/2 ფინალის წილისყრა

# ნაადრევი ფინალი არ იქნება

გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში საქართველოს თასის ნახევარფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა, რომელმაც გუნდები ასე დააწყვილა:

**მერანი (მარტვილი)- ვიტ ჯორჯია (თბილისი)**

**სპარტაკი (ცხინვალი)- დინამო (თბილისი)**

წილისყრაში თავად კლუბების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მათ ჩემპიონატში დაკავებული ადგილების თანმიმდევრობით (ვიტ ჯორჯია, დინამო, სპარტაკი, მერანი) ლოტოტრონიდან ამოიღეს ბურთულები, რომლებშიც ციფრები ეწერა 1-დან 4-მდე. წინასწარ დადგენილი იყო, რომ პირველი ნომერი მეორეს უნდა შეხვედროდა, მესამე კი მეოთხეს. პირველი მატჩები იმ გუნდების მოედანზე უნდა ჩატარებულიყო, რომლებიც ლოტოტრონიდან კენტ ციფრს ამოიღებდნენ.

შესაბამისად, გაირკვა, რომ პირველ ნახევარფინალურ შეხვედრებს „მერანი“ და „სპარტაკი“ უმასპინძლებენ მომავალი წლის 23 მარტს, ხოლო განმეორებითი მატჩები „ვიტ ჯორჯიასა“ და „დინამოს“ მოედნებზე გაიმართება 14 აპრილს.

იმასაც გეტყვით, რომ წილისყრა „ბრმა“ იყო და ამიტომაც სავსებით შესაძლებელი იყო, ნახევარფინალში ერთმანეთს გათამაშებას შემორჩენილი ფავორიტები, „ვიტ ჯორჯია“ და „დინამო“ გადაჰყროდნენ. თუმცა ფორტუნამ სხვაგვარად ისურვა და ნახევარფინალში ძალები ზომიერად გადაანაწილა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

სავარაუდო სპარინგი

## ვითამაშებთ ტაილანდში?

მოგეხსენებათ, ეროვნული ნაკრების თავკაცის პოსტზე **თემურ ქეცბაიას** დებიუტი 3 მარტს, ესტონეთთან თბილისურ ამხანაგურ შეხვედრაში შედგება (იმავე დღეს ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები ესტონელ თანატოლებს შესარჩევ მატჩში უმასპინძლებს). მაგრამ არის შანსი, რომ ჩვენმა ნაკრებმა იანვარში ტაილანდის საერთაშორისო ტურნირზე ითამაშოს. 17-23 იანვარს იქ სამეფო თასის მე-40 გათამაშება ჩატარდება. მასპინძელთა ნაკრების გარდა, ტურნირში მონაწილეობაზე თანხმობა თქვეს პოლონეთმა და მსოფლიოს ჩემპიონატის ორმა მონაწილემ - ჩრდილოეთ კორეამ და დანიამ. თუმცა ბოლო მომენტში კორეელებმა სიტყვა უკან წაიღეს. ასე რომ, გაჩნდა ვაკანსია, რომლის შესავსებად ტურნირის ორგანიზატორები უკვე ზრუნავენ და ის, თუ ვინ ჩაენაცვლება ჩრდილოეთ კორეას, მაქსიმუმ 16 დეკემბერს გახდება ცნობილი. როგორც გავიგეთ (წყარო ნამდვილად სარწმუნოა), ქართულ და ტაილანდურ მხარეს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს. თუმცა ეს ჯერჯერობით არ ხმაურდება. აი, რას გვეუბნება ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი **ზვიად სიჭინავა**:

*„რა თქმა უნდა, ვმუშაობთ იმისთვის, რომ ჩვენმა ნაკრებმა გუნდებმა რაც შეიძლება ბევრი საერთაშორისო მატჩი ჩაატარონ. თუმცა ტაილანდის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობაზე ოფიციალური მიწვევა ჯერ არ მიგვიღია. ისე, ამ გათამაშების შესახებ ვიცით. გარდა ამისა, იანვარ-თებერვალში ტურნირები ჩატარდება იაპონიაში, ჩინეთში, ტაივანში, საფრანგეთში... თუ რომელიმე ტურნირზე მიგვიპატიჟებენ, ბუნებრივია, თემურ ქეცბაიასთან გვექნება კონსულტაცია და საკითხს სწორედ ამის შემდეგ გადავწყვეტთ“.*

მოგეხსენებათ, 2010 წელში ფიფას მიერ ამხანაგური მატჩებისთვის გამოყოფილი პირველი თარილი 3 მარტია. შესაბამისად, ტაილანდის ტურნირის პერიოდში, 17-23 იანვრისთვის ქართულ და უცხოურ კლუბებს სრული უფლება აქვთ, ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელები არ დათმონ. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, თურმე ასეთი ვარიანტიც განიხილებოდა - ტაილანდში ეთამაშა ბოლო ხანს ეროვნულ ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელებით გაძლიერებულ 21-წლამდელთა ნაკრებს. ეს იქნებოდა ერთგვარი საკადრო დათვალიერება, რაც თემურ ქეცბაიას გარკვეულ კონტიგენტზე მეტ წარმოდგენას შეუქმნიდა. მაგრამ ამ ვარიანტზე ჯერ ქეცბაია უნდა იყოს თანახმა, მწვრთნელმა უნდა განსაზღვროს, რას მისცემს ეს ტურნირი ან მას ან ეროვნულ გუნდს. ჰოდა, ფეხბურთის ფედერაციაც ამის მიხედვით იმოქმედებს - არაფიშირებული მოლაპარაკებისას ან „ჰოს“ იტყვის, ან „არას“.

**დავით ცაბაძე**



მოსალოდნელი ტრანსფერები

## იაშვილი ლევერკუზენში

გერმანული ბუნდესლიგის ერთპიროვნული ლიდერი „ლევერკუზენი“ **ალექსანდრე იაშვილს** იწვევს - მართალია, მხოლოდ ნახევარწლიანი იჯარით, მაგრამ დაგვეთანხმებით, ვეტერანი ქართველი ფორვარდისთვის ესეც დიდი დაფასებაა.

როგორც იაშვილმა გვითხრა, „ლევერკუზენში“ მის გადასვლას მხოლოდ ერთი რამ სჭირდება - ანაზღაურების შემცირებაზე დათანხმება. „კარლსრუეს“ კაპიტანი ამ საკითხზე ოდნავადაც არ ყოყმანობს, გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლა მას ამად ნამდვილად ულირს.

32 წლის იაშვილი მინდინარე სეზონს საკმაოდ კარგად ატარებს. მეორე ბუნდესლიგის 14 მატჩში მას 3 გოლი აქვს გატანილი, რაც, გამომდინარე იქიდან, რომ ცენტრფორვარდად არ ათამაშებენ, არცთუ ურიგო შედეგია. „კარლსრუე“ კი მეორე ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში მხოლოდ მე-11 ადგილზეა.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. იმედია, იაშვილის „ლევერკუზენში“ გადასვლას ხელს ვერაფერი შეუშლის და გერმანული ბუნდესლიგა ჩვენთვის დამატებით ინტერესს შეიძენს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# კობიაშვილი ახალი წლიდან ჰერთაში?

ჯერ კიდევ ორი თვის წინ გაცხადდა, რომ საქართველოს ნაკრების ვიცე-კაპიტანი **ლევან კობიაშვილი** „შალკეს“ დატოვებდა. მისი ტრანსფერი კი ამ ზამთარს, ან უკიდურეს შემთხვევაში მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ, ზაფხულში იყო მოსალოდნელი. კობიაშვილის სავარაუდო მომავალზე ამ 2-3 კვირის წინაც ვწერდით. მაშინ ლევანის მსურველთა შორის გერმანული, თურქული და რუსული კლუბები დავასახელეთ. გუშინ კი გერმანულმა ვებგვერდებმა - „ფუსბალ ტრანსფერსმა“, „ნოოს ნახრიხტენმა“ და „სპოქსმა“ კობი ახსენეს. როგორც ირკვევა, ლევანის გადაბირებით ბერლინის „ჰერტაა“ დაინტერესებული.

„ჰერტა“ ორ ფრონტზე ბრძოლას აგრძელებს. ბერლინელებს ევროპის ლიგაზე დასკვნითი ტურის მატჩი დარჩათ და ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი აქვთ. თუმცა *მათთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე ფრონტი - ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება. საამისოდ, დედაქალაქურ კლუბს აქვს გეგმა, რომლის დეტალები უკვე ცნობილია. ზამთრის სატრანსფერო პაუზისას „ჰერტას“ ბოსებს სამი ფეხბურთელით სურთ გუნდის გაძლიერება. სამიდან ორი ფეხბურთელის ვინაობა უკვე ცნობილია. ბერლინური კლუბის მენეჯერ მიხაელ პრეეტცის თქმით, „ჰერტას“ უმთავრესი სამიზნე „ლევერკუზენის“ ბერძენი ფორვარდი თეოფანის გეკასია. ამავე დროს, გუნდის მთავარ მწვრთნელ ფრიდჰელმ ფუნკელს „შალკედან“ ლევან კობიაშვილის დამატება უნდა. გეკასის ტრანსფერის თაობაზე ბერლინელები „ლევერკუზენს“ პრაქტიკულად მოურიგდნენ, მაგრამ ფეხბურთელთან პირობებზე ჯერ არ შეთანხმებულან. რაც შეეხება კობიაშვილს, რომელიც ბუნდესლიგაში ერთ-ერთი გამორჩეული იყო, ბოლო თვეებია სათამაშო პრაქტიკა აღარ აქვს. დიდი შანსია, „შალკემ“ ის თავისუფალი აგენტის სტატუსითაც“ კი დათმოს“*, - წერენ გერმანული ვებგვერდები.

16 დეკემბერს ევროპის ლიგის დასკვნით მატჩში „ჰერტა“ უმასპინძლებს „სპორტინგს“, რომელსაც ჯგუფიდან გასვლა უკვე გარანტირებული აქვს. ბერლინელებს გაცილებით რთულად აქვთ საქმე ბუნდესლიგაში. **ფრიდჰეიმ ფუნკელის** გუნდი ცხრილში უკანასკნელ ადგილზეა და „შავი სიის“ სათავეში მყოფ გუნდებს 7 ქულით ჩამორჩება. „ჰერტა“ 19 დეკემბერს „ბაიერნს“ ესტუმრება და ამის შემდეგ ბუნდესლიგაში პაუზა გამოცხადდება. 2010 წლის პირველ მატჩს კი ბერლინელები 16 იანვარს, „ჰანოვერთან“ გასვლაზე ჩაატარებენ.

გუშინ ლევანთან დაკავშირება ვერა და ვერ მოვახერხეთ. ერთი სიტყვით, სარწმუნო წყარო დაბეჯითებით გვიმტკიცებს, რომ სადაცაა კობი „შალკეს“ დატოვებს და ან „ჰერტაში“ წავა, ან მოსკოვის „დინამოში“.

**დავით ცაბაძე**



სიონი



# ქასრაშვილის დაბრუნება

## ბოლნისში სხვა ცვლილებსაც ელიან

სეზონის პირველი ნახევარი დასრულდა და უმაღლეს ლიგაში კიდევ ერთი ახალი მწვრთნელი გვყავს. უკვე გადაწყვეტილი ამბავია, **ხვიჩა ქასრაშვილი** ბოლნისის „სიონს“ მიმდინარე სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს. სხვათა შორის, ქასრაშვილი გასულ უქმეებზე, ბოლნისში, მეორე წრის დასკვნით ტურში, „გაგრასთან“ თამაშსაც (1:1) დაესწრო. როგორც ირკვევა, „სიონის“ ხელმძღვანელობამ ქასრაშვილთან მოლაპარაკებები ჯერ კიდევ გასულ კვირაში დაიწყო. შეგახსენებთ, რომ ზაფხულში ქასრაშვილი „ზესტაფონის“ დუბლებს ხელმძღვანელობდა. მისთვის „სიონის“ თავკაცობა ახალი ხილი სულაც არაა. 2005/06 წლების სეზონი ბოლნისელებმა სწორედ ქასრაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყეს. შემდეგ ქასრაშვილი **კახა ცხადაძემ** შეცვალა და გუნდი ჩემპიონიც გახადა.

*„დიახ, „სიონის“ მთავარი მწვრთნელობა ამ რამდენიმე დღის წინ შემომთავაზეს. მოსაფიქრებლად დრო ვითხოვე და დღეს უკვე ყველაფერი გადაწყდა. სეზონის ბოლომდე ვუხელმძღვანელებ გუნდს, მერე კი ვნახოთ, არც ისაა გამორიცხული, რომ ხელშეკრულება გავაგრძელოთ. მანამდე კი ჩვენი უმთავრესი ამოცანა ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა და იმედი მაქვს ამას შევძლებთ“*, - „ლელოსთან“ საუბარში განაცხადა ხვიჩა ქასრაშვილმა.

იმასაც შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონის დაწყებამდე 3-4 დღით ადრე „სიონი“ **თემურ მახარაძემ** ჩაიბარა. თუმცა მახარაძემ ოქტომბრის ბოლოს „სიონი“ დატოვა და „ოლიმპი“ ჩაიბარა. მას მერე ბოლნისელთა გუნდს **გიორგი ყიფშიძე** ხელმძღვანელობდა. ბოლო ორ თვეში „სიონმა“ ბევრი ქულა დაკარგა. ამჟამად ქვემოქართლელთა გუნდი 17 ქულით მე-7 ადგილზეა.

დაბოლოს, ახლა „სიონის“ ფეხბურთელები შვებულებაში არიან და წვრთნას თვის ბოლოს განაახლებენ. ხვიჩა ქასრაშვილის გუნდი სეზონს, გაისად, 7 თებერვალს ცხინვალის „სპარტაკთან“ საშინაო მატჩით განაახლებს. როგორც გავიგეთ, ბოლნისურ კლუბთან კონტრაქტი რამდენიმე ფეხბურთელს უმთავრდება და შესაბამისად, „სიონში“ ფეხბურთელთა საკადრო ცვლილებებიცაა მოსალოდნელი. ყოველივე ამის შესახებ კი მომდევნო ნომრებში გაცნობებთ. ის კი უკვე ცნობილია, რომ გიორგი ყიფშიძე კლუბში დარჩა და ხვიჩა ქასრაშვილის შტაბში გააგრძელებს მუშაობას.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბომბარდირი

## ანდერსონ აკინო

# ბრაზილიაში ასეთ მოედნებზე მეოთხელიგელები თამაშობენ

### სიურპრიზზე, მიზანსა და გეგმებზე

ანდერსონ აკინო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის საუკეთესო ბომბარდირია. 18 გოლი 15 შეხვედრაში - ოთარ კორღალიძის, მერაბ მეგრელაძისა და გიორგი დარასელიას შემდეგ ასეთი შედეგი არავის ჰქონია. მართალია, რუსთავის „ოლიმპის" ბრაზილიელმა პლეიმეიკერმა 8 გოლი პენალტით გაიტანა, მაგრამ დაგვეთანხმებით, 11-მეტრიანსაც შესრულება უნდა...

**აკინომ რუსთაველთა გალიდერებაში დიდი წვლილი შეიტანა და სამშობლოში გაემგზავრა. შეიძლება ითქვას, „ოლიმპში" ჩამოსული ბრაზილიელებიდან, მან ყველაზე მეტად გაამართლა. თბილისიდან გამგზავრებამდე ეს ინტერვიუ ჩავწერეთ...**

**- აკინო, გილოცავ ჩემპიონატის პირველი წრის ბომბარდირობას. 18 გოლი 15 შეხვედრაში მშვენიერი შედეგია, მაგრამ ვისთვის როგორ - ბრაზილიის შემდეგ, აქ თამაში იოლი იქნებოდა...**

- ვერ დაგეთანხმებით. რთული ჩემპიონატია და ადვილი არც გოლების გატანაა. ამას პირველივე შეხვედრაში მივხვდი, საკმაოდ ხისტ მცველებთან მიწევდა თამაში. ფეხშიც ბევრჯერ მირტყამდნენ და დიდ წინააღმდეგობასაც მიწევდნენ... ასე იყო თუ ისე, შევეცადე, იმედები გამემართლებინა. ვფიქრობ, ასეც მოხდა და „ოლიმპმა" აქ ტყუილად არ ჩამომიყვანა. მეტის გატანაც შემეძლო, მაგრამ პასის გაკეთებაც მიყვარს. მეორე ეტაპზე შედეგი უნდა გავაუმჯობესო.

**- წარმატებად რამდენი გოლის გატანას ჩათვლიდი?**

- კარგი იქნება, შემდგომ სტადიაზეც დაახლოებით ამდენივეს თუ გავიტან.

**- ბრაზილიიდან ჩამოსვლას არ ნანობ? აქ გაცილებით დაბალი დონის ფეხბურთია, გულშემატკივრობა, საფეხბურთო ატმოსფეროც თქვენებურს ვერ შეედრება...**

- ბრაზილია ამ ყველაფრით მთელი მსოფლიოსთვის მისაბაძია და ბუნებრივია, სამშობლოში თამაში მერჩივნა. მაგრამ აქ კარიერის აწყობის პერსპექტივამ ჩამომიყვანა. „ოლიმპიდან" ევროპაში გადასვლა შეიძლება და ეს მხიბლავს სწორედ. მთავარია, ევროთასებზე გასვლის უფლება მოვიპოვოთ.



**- საქართველოს ჩემპიონატის დონეზე რას იტყოდი?**

- საქართველოს ჩემპიონატში თამაში იოლი ნამდვილად არ არის, რაც ჩემთვის სიურპრიზი აღმოჩნდა. გულწრფელად გეტყვით, ამას ვერ წარმოვიდგენდი. საკმაოდ საინტერესო პირველობაა... სიმართლე გითხრათ, არც ის მეგონა, ასეთ საინტერესო გუნდებსა და ფეხბურთელებს თუ ვნახავდი. ქართველებს ტექნიკური ფეხბურთის თამაში ეხერხებათ.

**- რომელი გუნდები მოგეწონა?**

- ჩვენ გარდა, კიდევ სამი გამოკვეთილი ლიდერია, რომელთა წინააღმდეგ თამაში რთულია. „ზესტაფონი", „ვიტ ჯორჯია" და თბილისის „დინამო" - ესენი მართლაც კარგი გუნდებია.

**- დანარჩენებზე რას იტყოდი?**

- (იცინის) რა უნდა გითხრათ? ბევრი არაფერი. ბრძოლა ყველას შეუძლია და წინააღმდეგობას გვიწევენ...

**- შენი აზრით, ჩემპიონობას რომელი გუნდი შეგეცილებათ?**

- ალბათ, „ზესტაფონი". ეს გუნდი საინტერესო, ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს და ძლიერი ფეხბურთელებიც ჰყავს.

**- რომელიმე მათგანი თუ დაგამახსოვრდა?**

- ბოლოსწინა ტურის შეხვედრიდან მათი გამთამაშებელი დამამახსოვრდა.

**- ალბათ, აფციაურს გულისხმობ...**

- ბურთს კარგად რომ აგორებს, ხომ? დიახ, ეგ არის. ასეთი ტექნიკური ფეხბურთელი ნებისმიერ გუნდს მოუხდება.

**- საქართველოს ჩემპიონატში კიდევ რომელ მოთამაშეებს გამოარჩევდი?**

- ჩემი გუნდის ფეხბურთელებით დავიწყებ: მომწონს ბაბუნაშვილი, იმედაშვილი, ჩვენი მეკარე, რომელსაც კარგად მიჰყავს თამაში, სწრაფია ჭედია. საერთოდ, „ოლიმპში" საკმაოდ კარგი ფეხბურთელები არიან.

**- სხვა გუნდის ფეხბურთელებზე რას გვეტყოდი?**

- „ზესტაფონის" ლიდერზე უკვე გითხარით. „დინამოში" მომეწონა ცენტრალური მცველი (გურამ კაშია - ავტ), გამთამაშებელი (ალეკო კოშკაძე - ავტ) და მერებაშვილი. „ვიტ ჯორჯიაში" ორი ძლიერი მოთამაშეა.

**- შენი აზრით, რომელიმე მათგანი ბრაზილიის ჩემპიონატში თამაშს შეძლებდა?**

- რთული კითხვაა, გამიჭირდება ამის თქმა. ბრაზილიაში სხვა დონეა და ასე დაუფიქრებლად ვერ გიპასუხებთ.

**- დაფიქრდი და ისე გვიპასუხე...**

- ვერაფერს გეტყვით... ჩემს ქვეყანაში თამაში ძალიან ძნელია.

**- ბევრი მიიჩნევს, რომ რუსთავში ჩასული ბრაზილიელების ნაწილს თამაში აქაური უხარისხო მოედნების გამო გაუჭირდა. სამშობლოში ბევრად უკეთეს საფარს ხართ მიჩვეულები?**

- ეს მართლა სერიოზული პრობლემაა. ასეთ მოედნებზე თამაში ძალიან ჭირს.

**- ალბათ, ბრაზილიის შემდეგ აქ თამაში სახალისოც არ არის...**

- რა თქმა უნდა, ჩვენ ბევრად ხარისხიან საფარზე ვთამაშობთ. აქაურ მინდვრებზე სწრაფი და გააზრებული კომბინაციების გათამაშება თითქმის შეუძლებელია.

**- ბრაზილიაში ასეთი მოედნები რა დონის კლუბებს აქვთ?**

- მხოლოდ მეოთხე-მეხუთე ლიგის გუნდებს თუ ექნებათ, მთავარ ლიგაში კი გამორიცხულია - ჩვენთან ამის პრობლემა არარსებობს. საქართველოში კი ხარისხიანი საფარი ორიოდე სტადიონზეა, მთავარ არენასა და ზესტაფონში, სხვაგან კი რა გითხრათ...

**მერაბ მამულაშვილი**

იუბილარი

გოჩა ჯოხაძე 50



# ფეხბურთისგან შორს არასოდეს ვყოფილვარ

**გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მთელი საქართველო თბილისის „დინამოს" წარმატებებით ხარობდა; მიზეზიც, რამდენიც გნებავთ იმდენი იყო: სეზონი არ გაივლიდა, საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზზე „დინამოს" მნიშვნელოვანი გამარჯვებებისთვის არ მიეღწია. მაშინდელი „დინამო", ფაქტობრივად, საქართველოს ნაკრები იყო და რა გასაკვირია, რომ იმ დროს გუნდში არნახული კონკურენცია იქნებოდა. მართლაც განსაკუთრებული შესაძლებლობის ფეხბურთელი უნდა ყოფილიყავი, „დინამოს" ძირითადში ადგილი რომ დაგემკვიდრებინა; მით უფრო, რომ იმ პერიოდში „დინამოს" თითქმის ყველა რგოლში... საერთაშორისო დონის ვარსკვლავები თამაშობდნენ...**

**...იმ დიდი „დინამოს" სრულუფლებიანი წევრი გახლდათ გოჩა ჯოხაძეც, უაღრესად ტექნიკური და შეუპოვარი ნახევარმცველი; ქართული ფეხბურთის სტაჟიან ქომაგებს კარგად ემახსოვრებათ ამ ნიჭიერი ნახევარმცველის შთამბეჭდავად ჩატარებული არაერთი მატჩი, - თბილისის „დინამოშიც" და ქუთაისის „ტორპედოშიც". ჯოხაძე მკვეთრად გამოხატული „ცაცია" იყო, ორიგინალური დრიბლინგითა და შესაშური გამძლეობითაც რომ გამოირჩეოდა; სხვა საქმეა, თუ რამდენად მოახერხა საკუთარი ნიჭის ბოლომდე რეალიზება - ამ შემთხვევაშიც სტაჟიან ქომაგებს „დავიმოწმებთ" და ვიტყვით, რომ მიზეზთა გამო, ჯოხაძესა და მისი თაობის სხვა გამორჩეულ ფეხბურთელებს, ალბათ, უფრო მეტის მიღწევაც შეეძლოთ...**

**დღეს გოჩა ჯოხაძეს საიუბილეო თარიღი აქვს - 50 წელი შეუსრულდა! იუბილარ რესპონდენტთან ინტერვიუ კი იმ კითხვით დავიწყეთ, დიდი ხანი რომ გვაინტერესებდა...**

**- 70-80-იანი წლების „დინამოს" ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა, სხვადასხვა სტატუსით, დღესდღეობით კვლავაც ფეხბურთში მოღვაწეობს; თითქმის ყველა, თქვენ გარდა...**

- ბევრი მიზეზია, თუმცა, არ დაგიმალავთ და სურვილი დღესაც მაქვს, ოღონდ, რა სტატუსით, ჯერ არ ვიცი. ყოველთვის ვოცნებობდი საფეხბურთო სკოლა გამეხსნა, ტერიტორიაც „მონიშნული" მქონდა, მაგრამ ამას სერიოზული ფინანსები სჭირდება.

**- საფეხბურთო კარიერა რომ დაასრულეთ, მერე სად მოღვაწეობდით?**

- კარიერა 1990 წელს, 30 წლის ასაკში დავასრულე და ამის შემდეგ, გარკვეული პერიოდი მოსკოვში ბიზნესში ვსაქმიანობდი. თბილისში იმ დროს დავბრუნდი, აქ რომ სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. მერე, რაღაც დროის განმავლობაში უშიშროებაში ვმუშაობდი, თუმცა ფეხბურთისგან შორს არასოდეს ვყოფილვარ. მართალია, არანაირი სტატუსით არსად მიმუშავია, მაგრამ მუდამ თვალს ვადევნებ ჩვენს ფეხბურთში მიმდინარე პროცესებს: ამას გარდა, დღემდე ვინარჩუნებ მეგობრულ ურთიერთობას ყოფილ თანაგუნდელებთან, თითქმის ყველა მათგანი დღესაც ფეხბურთში „ტრიალებს".

**- თქვენს საფეხბურთო კარიერაზე ვსაუბრობთ და, რაღა თქმა უნდა, სულ პირველი გუნდი, „ავაზა" უნდა ვახსენოთ - ამ საფეხბურთო სკოლაზე ხომ ლეგენდები დადიოდა.**

- ბედმა გამიღიმა და „ავაზაში" თვით უფროსი მიხეილ მესხის ჯგუფში მოვხვდი. საერთო აღიარებით, თანატოლებს შორის (1959-60 წლებში დაბადებულთა თაობა) იმ დროს საუკეთესო გუნდი სწორედ „ავაზა" იყო - თბილისისა თუ რესპუბლიკის მასშტაბით ყველას ვამარცხებდით. სამწუხაროდ, ჩვენი გუნდიდან დიდი ფეხბურთი მხოლოდ მე და ვაჟა ჟვანიამ ვითამაშეთ.

**- „დინამოში" როგორ მოხვდით?**

- სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში სისტემატურად მიწვევდნენ და საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისათვის ვემზადებოდი. გამგზავრების წინ საკონტროლო მატჩი ჩავატარეთ თბილისის „დინამოს" დუბლშემადგენლობასთან და შეხვედრის დასრულების შემდეგ, ფეხბურთის დიდი ქომაგის თენგიზ ჩანტლაძისგან შევიტყვე, რომ დუბლების მწვრთნელებს ჩემი თამაში მოსწონებიათ. სპარტაკიადიდან ჩამოსვლის შემდეგ კი უკვე „დინამოში" ჩამრიცხეს - სკოლა ახალდამთავრებული ბიჭისთვის ეს უდიდესი პატივი იყო.

**- რით ახსნით, იმ ფაქტს, რომ „დინამოში" ყოფნის მხოლოდ მესამე წელიწადს (ისიც - სეზონის ბოლოს) გქონდათ ძირითად შემადგენლობაში დებიუტი?**

- ალბათ, საკავშირო ჩემპიონატის მატჩებს გულისხმობთ, თორემ საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრებში რამდენჯერმე თამაშმა მომიწია. ისე კი, მინდა ბევრმა იცოდეს, რომ დუბლებში მოხვედრაც მეტისმეტად რთული იყო. 1978 წელს, ძირითად გუნდთან ერთად, „დინამოს" დუბლებიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გავხდით და ყველაზე მეტი შეხვედრა სამმა ფეხბურთელმა ჩავატარეთ: ნოდარ ბაზაზაშვილმა, ტარიელ დურდიაძემ და მე. სხვათა შორის, იმ სეზონში დუბლებში არაერთი მატჩი ჩაატარეს ოთარ გაბელიამ, ნოდარ ხიზანიშვილმა, გიორგი ჭილაიამ, დავით მუჯირმა, გია თავაძემ, ვახტანგ კოპალეიშვილმა, ამირან მინაშვილმა, რევაზ ჩელებაძემ...

**- ჩვენც გვახსოვს: თბილისში, „დინამოს" დუბლების თამაშზე საშუალოდ 20000 კაცი დადიოდა.**

- ეს ჩვენთვის დამატებითი სტიმული იყო; ამასთან, მერე, უკვე პირველ გუნდში რომ თამაშის შანსი მოგვეცემოდა, აღარც ტრიბუნების კომპლექსი გვქონდა და აღარც მეტოქისა.

**- ისევ წელანდელ კითხვას გვინდა დავუბრუნდეთ: რატომ გაჭიანურდა თქვენი ძირითადში გამოჩენა? მით უმეტეს, „დუბლების" ერთ-ერთი ლიდერი იყავით...**

- ხომ გითხარით, მართლაც არანორმალური კონკურენცია იყო-მეთქი; თან, მერე კიდევ ქუთაისის „ტორპედოდან" დაგვემატნენ ფეხბურთელები. კი, შესაძლოა, გულის სიღრმეში გულიც მწყდებოდა, მაგრამ მჯეროდა, რომ ჩემი დროც დადგებოდა. სამწუხაროდ, მერე და მერე მივხვდი, რომ კონკრეტულ შემთხვევებში მხოლოდ მონაცემები არ იყო საკმარისი, ძირითადში რომ გეთამაშა.

**- რას გულისხმობთ?**

- დაკონკრეტება საჭირო არ არის; უბრალოდ, „რაღაც-რაღაცები" რომ ხდებოდა, ფაქტია, ოღონდ მაშინ არ მჯეროდა...

**- თქვენი უთამაშებლობის მიზეზზე მთავარ მწვრთნელთან, ნოდარ ახალკაცთან საუბარი არ გქონიათ?**

- ერთხელ, მასთან ოთახში შევედი და გუნდიდან გათავისუფლება ვთხოვე: რუსთავიდან შემეხმიანნენ და მუდმივ სათამაშო პრაქტიკას მპირდებიან-მეთქი; როგორც იცოდა, წარბებქვემოდან ერთი შემომხედა და ასე მითხრა: ჩემთან სასაუბროდ ჯერ მზად არ ხარო; არ გასულა ორი-სამი დღე და ჩემპიონატის უახლოეს კალენდარულ მატჩში ძირითადში დამაყენა!

**- ნოდარ ახალკაცის სიმკაცრეზე ლეგენდები დადიოდა...**

- რა დონის მწვრთნელი იყო, ჩემგან უხერხულიც არის რაიმეს მტკიცება; დისციპლინაც საჭირო რომ იყო, ფაქტია - სხვანაირად ამდენ წარმატებას ვერ მივაღწევდით. ერთ შემთხვევას მოგიყვებით: 17 წლის ბიჭი დუბლებში რომ ჩავირიცხე, „დინამოს" მაშინდელმა გუნდის უფროსმა კახი ასათიანმა მახარა - ხელფასი დაგინიშნეთ, 60 მანეთიო. პატარა ბიჭისთვის უდიდესი სტიმული იყო - ჩემი ოცნების გუნდის სრულუფლებიანი წევრი გავხდი და ველოდი პირველი ხელფასის აღების დღეს.

» მე-5 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუბილარი

გოჩა ჯოხაძე 50

# ფეხბურთისგან შორს არასოდეს ვყოფილვარ

<< მეოთხე გვერდიდან

**- ის პირველი ხელფასი რაში დახარჯეთ?**

- ხელფასის წინა დღე იყო და ჩვეულებისამებრ, დილით ვარჯიშზე უნდა წავსულიყავი, როცა შემატყობინეს, რომ მამაჩემს ავტოსაგზაო შემთხვევა მოსვლოდა. რაღა თქმა უნდა, იქ გავიქეცი და ამის გამო, ვარჯიშზე 10 წუთი დამაგვიანდა. ახალკაცმა დაწვრილებით გამომკითხა დაგვიანების მიზეზი, მამაჩემის ჯანმრთელობის მდგომარეობითაც დაინტერესდა, თან, რამდენიმე ადგილას დარეკა და დააზუსტა: ამა და ამ დროს და ადგილას ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა თუ არაო. მეორე დღეს კი, ხელფასის ასაღებად რომ მივედი, 60 მანეთის ნაცვლად 10 მანეთი ავიღე - დანარჩენი დაგიქვითესო, მოლარემ მითხრა...

**- ნოდარ ახალკაცთან ურთიერთობის კიდევ სხვა მომენტებსაც ხომ არ გაიხსენებდით?**

- უკვე ძირითადის ფეხბურთელი ვიყავი და თავისთან, ოთახში დამიბარა; ვიცოდი, რომ ჩემი თამაშით უკმაყოფილო არ იყო, აბა, სხვანაირად, დუბლებში ვიქნებოდი. მოკლედ, შევედი და უცებ მოულოდნელად მეკითხება: სიგარეტს რატომ ეწევიო? არადა, დღესაც არ ვეწევი და მაშინ მოვწევდი? ცოტა დავიბენი, მაგრამ მაინც გავუბედე და ვუთხარი: თქვენც ხომ იცით, მე რომ სიგარეტს არ ვეწევი-მეთქი;

**- რა გიპასუხათ?**

- მაშინ, ის მითხარი, გუნდში რომელი ფეხბურთელი ეწევაო. მაინც შევბედე და ვუთხარი, რომ თქვენ ისედაც კარგად იცით, ჩვენთან სიგარეტს ვინ ეწევა-თქო. ჰო, უცნაურობები ჰქონდა, როგორც უკვე გითხარით, მკაცრიც იყო; ოღონდ, ყველასთან ერთნაირად როდი იჩენდა ამ სიმკაცრეს...

**- ამ შემთხვევაში საკუთარ თავს გულისხმობთ?**

- პირიქით - სხვისთვის რომ შეეძლო,



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეპატიებინა, მე ამით განებივრებული არ ვიყავი. ისეთი სათამაშო სტილი მქონდა, ყოველთვის მიყვარდა მეტოქის ფეხბურთელებისთვის ფინტების ჩატარება, მაგრამ, დუბლებში თუ იმპროვიზაციისგან არავინ გვზღუდავდა, ძირითადში ამის „უფლება" არ მქონდა.

**- „დინამოსა" და მერე, „ტორპედოს" შემადგენლობაში, საერთო ჯამში, საკავშირო ჩემპიონატების 99 მატჩში მიიღეთ მონაწილეობა. ის ერთი შეხვედრა რაღა იყო - რამდენიმე წუთს ითამაშებდით და ასამდეც დაამრგვალებდით.**

- თუ დამიჯერებთ, პირველად თქვენგან დღეს გავიგე, რომ ამდენი მატჩი ჩამიტარებია საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. ისე, თუ პირველი და მეორე ლიგის შეხვედრებსაც დავუმატებთ, ეს რიცხვი ორასზე ბევრად მეტიც გამოვა.

**- „დინამოსთან" ერთად ბევრ საერთაშორისო ტურნირზეც გითამაშიათ. განსაკუთრებულად რომელს გაიხსენებდით?**

- რუმინეთში „ოთხთა ტურნირზე" მიგვიწვიეს, თან საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელები არ გვყავდა. ფინალში გავედით და რუმინეთის ნაკრებს მოვუგეთ - საერთო შეფასებით, ჩვენს გუნდში ერთ-ერთი საუკეთესოები ყველაზე ახალგაზრდები, ვაჟა ჟვანია და მე ვიყავით. რაღა თქმა უნდა, ესპანეთში ჩატარებულ, „ოთხთა ტურნირებსაც" ვერ დავივიწყებ, განსაკუთრებით კი, კადისში რომ ვითამაშეთ.

**- ალბათ, „დინამოსა" და ბრაზილიური „ფლამენგოს" მატჩს გულისხმობთ.**

- ეს ჩვეულებრივი ამხანაგური შეხვედრა კი არა, უფრო სანახაობა იყო! აქეთ, დათო ყიფიანი, იქით - ლეგენდარული ზიკო, ორივე სასწაულებს სჩადიოდა და ესპანელი ქომაგებიც გაოგნებული უცქერდნენ ამ ორი ვარსკვლავის დიდოსტატურ თამაშს.

**- 1981 წელს „დინამოს" ევროპულმა ტრიუმფმა უთქვენოდ ჩაიარა...**

- თასების მფლობელთა თასის იმ გათამაშების ადრეულ ეტაპზე რამდენიმე მატჩში მონაწილეობა მივიღე, მაგრამ, სამწუხაროდ, გერმანიაში გასამგზავრებელ ფეხბურთელთა შორის ვერ მოვხვდი. არადა, დიდი შანსი იყო, დიუსელდორფში წავსულიყავი, მაგრამ გუნდში ახალმოსულ ფეხბურთელს ხვდა ეს ბედნიერება, მე კი - არა. ბიჭების გამარჯვება, რა თქმა უნდა ძალიან გამიხარდა, თუმცა გულის სიღრმეში დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაინც მქონდა. ყველაზე უცნაური მაინც ის იყო, რომ პირველსავე საშინაო მატჩში ახალკაცმა... ძირითადში დამაყენა! აი, იმ შეხვედრას ვგულისხმობ, გადაჭედილი ტრიბუნების წინ „დინამომ" თასების თასით ხელში საპატიო წრე რომ დაარტყა. არადა, მრცხვენოდა კიდეც, წრეს რომ ვარტყამდით: მე ხომ ფინალში არ მითამაშია და სულ იმას ვცდილობდი, პარტნიორების ზურგს ამოვფარებოდი და ფოტორეპორტიორებს მოვრიდებოდი.

**- „დინამოში" ცხრა სეზონი ითამაშეთ და ამ ხნის განმავლობაში საუკეთესო პარტნიორი ვინ იყო?**

- ვიტალი დარასელია! მარცხენა ნახევარმცველობა მისთვისაც უცხო არ იყო და რჩევა-დარიგებების გარდა, მუდამ ცდილობდა ახალგაზრდებისთვის სტიმული მიეცა. იმავეს ვიტყოდი დავით ყიფიანზე და ვლადიმერ გუცაევზეც. მით უმეტეს, რომ ცხრა წლის განმავლობაში თბილისში ბაზაზე თუ სტუმრად, სასტუმროში, გუცაევთან ერთად ერთ ნომერში ვცხოვრობდი.

**- გასვლითი მატჩების მერე, თავისუფალი დრო რომ გრჩებოდათ, რეჟიმთან როგორ „იყავით"?**

- ჩუმ-ჩუმად სადმე „გავძვრებოდით" ხოლმე, მაგრამ დალევა მაინც გამორიცხული იყო - ახალკაცს არაფერი გამოეპარებოდა, თანაც, ყველას და ყველაფერს „აკონტროლებდა"! ისიც ნამდვილი ამბავია, შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრს, ფეხბურთის დიდ ტრფიალს შოთა გორგოძეს რომ დახმარება სთხოვა: თბილისის ყველა რესტორნის დირექტორს დავალება ჰქონდა მიღებული, რომ როგორც კი მათ დაწესებულებაში „დინამოს" რომელიმე ფეხბურთელი შევიდოდა, მაშინვე „ზემოთ" უნდა ეცნობებინათ...

**- 1982 და 1983 წლებში „დინამოს" ძირითადში თითქმის მუდამ შეუცვლელად ასპარეზობდით. აქედან გამომდინარე, მოულოდნელიც იყო 1984 წლის დასაწყისში ქუთაისის „ტორპედოში" თქვენი გადასვლა.**

- „დინამოში" თაობათა ცვლის პროცესი დაიწყო და 1983-ში ძლივს გადავრჩით პირველ ლიგაში გავარდნას. ძალიან არეული სეზონი გვქონდა, „დინამოს" ძირითადში უამრავი ხალხი მიდი-მოდიოდა, თან, ბევრი მათგანი... ყველასათვის უცნობი იყო. იმ სეზონის ბოლოს ახალკაციც გაათავისუფლეს და ამ დროს გივი ნოდიამ ქუთაისის „ტორპედოში" მიმიწვია დიმიტრი კუდინოვთან ერთად. პირველი ლიგის კვალობაზე მართლაც, სერიოზული გუნდი გვყავდა: გაბელია, ჭილაია, კოსტავა, თავაძე, კორღალიძე, მეგრელაძე, კერესელიძე. უმაღლესი ლიგის საგზურიც მოვიპოვეთ და მომდევნო სეზონში ჩვენი მთავარი ამოცანაც შევასრულეთ - უძლიერესთა შორის ადგილი შევინარჩუნეთ.

**- გულახდილად გვითხარით: 1985 წელს, თბილისის „დინამოს" რომ მოუგეთ, პატიოსანი თამაში იყო?**

- რაც ვიცი, იმას გეტყვით: ჩვენ ძალიან გვჭირდებოდა გამარჯვება და ახალკაცთან (ვინც ახალი მობრუნებული იყო „დინამოში") ქუთაისიდან მთხოვნელიც მიავლინეს, მაგრამ უარი მიიღო: თამაშს არ დაგითმობთო. ჰოდა, მართლაც, ნაღდი მატჩი იყო და ნაღდ თამაშში მოვუგეთ...

**- „ტორპედოს" მერე გუნდებს ასე ხშირად რატომ იცვლიდით?**

- მეუღლე და ოჯახი თბილისში მყავდა, დავილალე ამხელა გზაზე წინ და უკან სიარულით. 1986-ში ახალკაცმა ისევ „დინამოში" დამაბრუნა კუდინოვთან ერთად. თუმცა, მალე „შევარდენში" გადავედი, საკავშირო მეორე ლიგაში ასპარეზობდა და საკმაო წარმატებითაც; შემდეგ კი კახი ასათიანის თხოვნით ბათუმის „დინამოში" წავედი ვაჟა ჟვანიასთან ერთად - ჩინებულ მწვრთნელთან, შოთა ჭეიშვილთან მომიწია მუშაობამ და საკავშირო პირველ ლიგაშიც არცთუ ხელწამოსაკრავ გუნდად მივიჩნეოდით.

**- ეროვნულ ჩემპიონატშიც გაქვთ ნათამაშები - პირველ ჩემპიონატში „შევარდენში" ოთხი ვეტერანი რომ გამოჩნდა (გოჩა ჯოხაძე, ნუკრი კაკილაშვილი, მერაბ ჟორდანია, ვაჟა ჟვანია).**

- ფეხბურთისთვის უკვე თავის დანებებას ვაპირებდი; თუმცა, „შევარდენის" მთავარ მწვრთნელ ალიოშა კოტრიკაძეს უარი ვერ ვუთხარი. ზუსტად არ მახსოვს, ხუთი თუ ექვსი მატჩი ჩავატარე და ფეხბურთსაც საბოლოოდ ჩამოვშორდი...

**- დაბოლოს, თქვენს ვაჟზეც გვინდა გკითხოთ - 18 წლის გიორგი ჯოხაძეს „დინამოს" შემადგენლობაში დებიუტი წინა სეზონში ჰქონდა. ოღონდ, თქვენგან განსხვავებით, მკვეთრად გამოხატული მემარჯვენეა..**

- მემარჯვენეობის გარდა, ჩემზე ბევრად სწრაფია, ოღონდ, ფიზიკურ კონდიციებში მოიკოჭლებს; ფლანგის ნახევარმცველს შეტევასა და დაცვაში ერთნაირი წარმატებით უნდა შეეძლოს თამაში, გიორგის კი უკან ჩამოსვლა არ უყვარს, მუდამ შეტევისკენ მიისწრაფვის. ამჟამად სატრენაჟორო დარბაზშიც ვარჯიშობს და სხვა ელემენტების დახვეწაზეც; პარალელურად კი სერიოზული მენეჯერისაგან სასურველ მიწვევას ველოდებით - ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ გერმანიის, საფრანგეთისა და ავსტრიის გუნდებზეა ლაპარაკი.

**გია ტუხაშვილი**

ამბები

## სომხეთს აზერბაიჯანი ურჩევნია

სომხეთში სეზონი ერთი თვის წინ დასრულდა და იქ მოთამაშე ქართველი ლეგიონერები სამშობლოში დაბრუნდნენ. ამჟამად საქართველოშია ერევნის „ულისეს" მცველი **ლევან აკობიაც**, რომლის გუნდმაც სომხეთის რვაგუნდიანი ჩემპიონატი მესამე ადგილზე დაასრულა.

ლევანი ფორმის შესანარჩუნებლად ინდივიდუალურად ვარჯიშობს და ამავდროულად, ცდილობს, უკეთესი კლუბი მონახოს:

*„ვერ ვიტყვი, რომ „ულისეში" თავს ცუდად ვგრძნობდი. საკმაოდ შედეგიანად ვთამაშობდი და მწვრთნელებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან დიდი ნდობითაც ვსარგებლობდი, მაგრამ ანაზღაურება არცთუ მაღალი მქონდა და ამიტომაც მსურს კარიერის სხვაგან გაგრძელება. „ულისე" კონტრაქტის გახანგრძლივებას მთავაზობს, მაგრამ შევეცდები, უკეთესი კლუბი ვიპოვო. სხვა სომხურ კლუბში გადასვლას აზრი არ აქვს, „ულისეზე" უკეთეს პირობებს მაინც ვერ შემომთავაზებენ. ამიტომაც მირჩევნია, კარიერა აზერბაიჯანში გავაგრძელო. ჩემი აგენტი ზაქათალის „სიმურგთან" აწარმოებს მოლაპარაკებას და იმედია, ყველაფერი დადებითად გადაწყდება. მაქვს ისრაელის ვარიანტიც, მაგრამ „სიმურგი" ყველაზე რეალურია"*, - გვითხრა აკობიამ.

## ბუალავას ზარია ეპატიჟება

მიმდინარე სეზონი **მირზა ბუალავასთვის** მეტად წარუმატებელი გამოდგა, რისი უმთავრესი მიზეზიც ტრავმაა. არადა, წინა სეზონში სათამაშო პრაქტიკა არ აკლდა. შეგახსენებთ, ბოლო წლებში ახალგაზრდა ქართველი ნახევარმცველი „აუსტრია ლუშტენაუსა" და „ბრეგენცის" ღირსებას იცავდა.

დღეისათვის მირზა თავს უკვე კარგად გრძნობს და კლუბის შეცვლა აქვს გადაწყვეტილი. როგორც მან „ლელოს" უთხრა, ავსტრიის დატოვება და კარიერის უკრაინაში გაგრძელება სურს. საამისო საფუძველიც აქვს - ბუალავას აგენტი მოლაპარაკებებს ლუგანსკის „ზარიასთან" აწარმოებს და ამ ტრანსფერის განხორციელების ალბათობა საკმაოდ მაღალია.

დღეისათვის „ზარია" უკრაინის უმაღლეს ლიგაში მე-13 ადგილზეა და იქ დასარჩენად იბრძვის.



## მაკარიანი დილიჟანში ისინჯება

„ზესტაფონის" მარცხენა მცველი **კარენ მაკარიანი** სომხეთში იმყოფება და დილიჟანის „იმპულსში" გადის სინჯებს. ცნობისათვის, „იმპულსმა" სომხეთის პირველ ლიგაში გაიმარჯვა და უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა.

მაკარიანმა კლუბის შეცვლა სათამაშო პრაქტიკის არქონის გამო გადაწყვიტა. მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში იგი „ზესტაფონის" შემადგენლობაში ერთხელაც არ გამოჩენილა. 21 წლის მაკარიანმა მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა საქართველოს თასზე და ერთიც ევროპის ლიგაზე.

მისი კარიერა „ბათუმში" დაიწყო, „ზესტაფონში" 2008 წელს გადავიდა და სხვათა შორის, იმერელთა ძირითად შემადგენლობაში მას შემდეგ დამკვიდრდა, რაც „ზესტაფონი" **გია გეგუჩაძემ** ჩაიბარა. ამ ზაფხულს კი ფეროელებმა **ზაალ ელიავა** დაიმატეს და მაკარიანმა სასტარტოში ადგილი სწორედ ამის შემდეგ დაკარგა.

## ქართველები ისევ უხელფასოდ

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მომავალი წლიდან ყაზანის „რუბინში" ერთადერთი ქართველი, **ლაშა სალუქვაძელა** დარჩება. **დავით კვირკველია** და **ნუკრი რევიშვილი** კი რამდენიმე თვის ხელფასს ალბათ, მაშინღა მიიღებენ, როცა უკვე სხვა კლუბების წევრები იქნებიან.

როგორც იცით, „რუბინს" ფინანსური პრობლემები აქვს, ამის გამო მის ფეხბურთელებს რამდენიმე თვეა, კუთვნილი ხელფასი არ მიუღიათ და მხოლოდ პრემიების ამარა თამაშობენ. ვითარება უკეთესობისკენ ვერც ჩემპიონთა ლიგაში წარმატებულმა ასპარეზობამ შეცვალა. მართალია, რუსეთის ჩემპიონები ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირის მერვედფინალში ვერ გავიდნენ, მაგრამ ქულებიც საკმაოდ მოიპოვეს (მარტო „ნოუ კამპზე" გამარჯვება რად ღირს) და უეფას ევროპის ლიგაზეც გადაინაცვლეს. ჩემპიონთა ლიგაზე მოხვედრისა და იქ მოპოვებული ქულებისთვის კი მოგეხსენებათ, უეფა მილიონებს იხდის.

*„სახელფასო დავალიანება ჯერაც გაუსტუმრებელია, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი მალე მოგვარდება"*, - აცხადებს „რუბინის" მთავარი მწვრთნელი **ყურბან ბერდიევი**. იგი კლუბის მომავალს ოპტიმისტურად უყურებს და „რუბინი" ევროპის ლიგის ერთ-ერთ ფავორიტად მიაჩნია. ბერდიევი ევროთასისთვის ბრძოლას რეალურად იმ შემთხვევაში მიიჩნევს, თუ მისი გუნდი წამყვანი ფეხბურთელების ნაწილს მაინც შეინარჩუნებს. არადა, „რუბინი" უკვე დატოვა მისმა არგენტინელმა ლიდერმა **ალეხანდრო დომინგესმა**, რომელმაც „ვალენსიას" მიაშურა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მარცხნიდან: დავით კვირკველია, ნუკრი რევიშვილი, ლაშა სალუქვაძე



იუვენტუსი

# ფერარას ჰიდინკი შეცვლისო...

## ...და რას იტყოდით რობერტო მანჩინიზე?

იტალიაში, ვისაც არ ეზარება, ყველა იმაზე ლაპარაკობს, რა შავ დღეშია ტურინის „იუვენტუსი“. ხშირად წერენ, „იუვემ“ სეზონი უკვე ჩააგდოო. როგორც ჩანს, აპენინებზე არ სჯერათ, რომ „ვეკია სენიორას“ ჯერ კიდევ შეუძლია სკუდეტოს მოპოვება. ყველაფერი **ჩირო ფერარას** ჰბრალდება - ახალგაზრდა სპეციალისტი კრიტიკის ქარცეცხლში გახვეული და როგორ გაუძლებს ამხელა წნეხს, ძნელი სათქმელია. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტურინული კლუბის ხელმძღვანელებმა ჩიროს შემცვლელი მოუძებნეს, თუმცა რამდენად სანდოა ეს ინფორმაცია, ძნელი სათქმელია. ლაპარაკია, არც მეტი, არც ნაკლები **გუუს ჰიდინკზე**.

დიდია შანსი, ჰიდინკმა რუსეთის ფეხბურთის ფედერაციასთან ხელშეკრულება აღარ გააახანგრძლივოს და საკლუბო ფეხბურთს დაუბრუნდეს, ასეთ შემთხვევაში კი ტურინულ წინადადებაზე უარის თქმა ნამდვილად გაუჭირდება. ეჭვებს ისიც აძლიერებს, რომ გასულ კვირას ჰოლანდიელი ტაქტიკოსი მილანის აეროპორტში შენიშნეს. მართალია მილანის და არა ტურინის, მაგრამ ეჭვის გასაძლიერებლად ესეც საკმარისია.

საუბრობენ ჩირო ფერარას კიდევ ერთ შესაძლო მემკვიდრეზე: **რობერტო მანჩინიზე**. „ტუტო სპორტი“ „ინტერის“ ექსთავკაცის კანდიდატურას აქტიურად ლობირებს, რაზეც არაერთი სტატია მეტყველებს. გუშინ ამ საკითხზე თავად მანჩინიმ ისაუბრა და შემდეგი განაცხადა:

*„ფეხბურთში დაბრუნებას ნამდვილად ვაპირებ, მაგრამ „იუვენტუსში“ ჩემს შესაძლო დანიშვნაზე ვერაფერს გეტყვით. ტურინიდან ჩემთვის არავის დაურეკავს და აბა რა გითხრათ. როგორც გავიგე, კლუბის მესვეურები ფერარას სრულ ნდობას უცხადებენ და მის გათავისუფლებას არ აპირებენ. ამიტომ, სიმართლე გითხრათ, „იუვენტუსზე“ არც კი ვფიქრობ. თუ ვინმე დამირეკავს და კონკრეტულ წინადადებას შემომთავაზებს, სიამოვნებით განვიხილავ“.*

მანჩინიმ აღნიშნული კომენტარით ფაქტობრივად მზადყოფნა გამოთქვა მოლაპარაკების დაწყებისთვის. ტრადიციულად, ასეთ დროს მწვრთნელი კოლეგას მხარდაჭერას უცხადებს-ხოლმე, ასეთი სიტყვებიც ნაცნობია ჩვენთვის: გუნდს ჰყავს მწვრთნელი, რომელმაც თავისი საქმე შესანიშნავად იცისო. თუმცა, მანჩინის მსგავსი არაფერი უთქვამს, როგორც ჩანს, მას ძალიან უნდა „ვეკია სენიორას“ ჩაბარება.

„იუვენტუსის“ განწრთნა რომ მწვრთნელებისთვის სასურველია, ეს არ გვიკვირს, მაგრამ უშვებენ კი ფერარას? - ამას ჯერ კიდევ დიდი კითხვის ნიშანი ადევს, რადგან კლუბის მესვეურები ჩიროს მიმართ ნდობას გამოხატავენ, ყოველ შემთხვევაში სიტყვიერად ასეა. გუშინ, პრესასთან „იუვენტუსის“ ცოცხალმა ლეგენდამ და კლუბის საბჭოს წევრმა **ფრანკო კაუზიომ** ისაუბრა:

*„ჩემი ინფორმაციით, ჩირო ფერარა როგორც მინიმუმ, სეზონის ბოლომდე „იუვენტუსის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე იმუშავებს. ამის შესახებ ჟან კლოდ ბლანმა განაცხადა და ჩიროს მკაფიო მხარდაჭერა გამოუცხადა. მეტსაც გეტყვით, დირექტორატის წევრთა უმეტესობა სწორედ იმის მომხრეა, რომ ფერარამ საქმიანობა გააგრძელოს. ჩემი პოზიციაც იგივეა, არ ვარ მწვრთნელთა ხშირი ცვლის მომხრე. „ბარისთან“ გუნდმა ძალიან ცუდად ითამაშა, მაგრამ ეს პირველ რიგში ფეხბურთელების ბრალია და არა მათი დამრიგებლის. საერთოდ, ხშირად მწვრთნელებს უაზროდ დიდ პასუხისმგებლობას ვაკისრებთ - ისინი ვერას გახდებიან თუ ფეხბურთელმა ვერ გააკეთა თავისი საქმე. ამიტომ, მე ფერარას გათავისუფლების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ“.*

თავად ფერარა ჯერჯერობით დუმს და ჟურნალისტებთან ურთიერთობას ერიდება. ვნახოთ, ბევრ რამეს უახლოეს დღეებში მოეფინება ნათელი. აქვე, კიდევ ერთი ინფორმაცია „იუვენტუსის“ შესახებ: „ბარისთან“ შეხვედრაში თეძოს ტრავმა მიიღო **მაურო კამორანეზიმ**, რომელიც იმაზე უფრო მძიმე გამოდგა, ვიდრე ამას „იუვეს“ მედიკები ვარაუდობდნენ. ტურინის ერთ-ერთ კლინიკაში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად, გაირკვა რომ მაუროს მინიმუმ სამი თვით მოუწევს საყვარელი საქმიანობისგან ჩამოშორება. უახლოეს დღეებში კიდევ ერთი გამოკვლევა ჩატარდება და ექიმები საბოლოო ვერდიქტს გამოიტანენ. აქვე გეტყვით, რომ იმავე კლინიკაში ჩაუტარდა ოპერაცია **ჯანლუიჯი ბუფონს**. იტალიის ნაკრების კიპერი თავს კარგად გრძნობს და ფეხბურთს ხუთ-ექვს კვირაში დაუბრუნდება.

**ლაშა ნიკლაური**



გუუს ჰიდინკი

ამბები

## მოურინიო ჟურნალისტს ხელით შეეხო?

**ჟოზე მოურინიო** შანსს არ უშვებს ხელიდან, რომ მედიის წარმომადგენელს არ წაეკიდოს. ბოლო პერიოდში პორტუგალიელს ამის საშუალება არ მისცემია, კვირას კი მიეცა და კარგადაც გამოიყენა. როგორც ჩანს, ეს ჟოზეს სტილია - სხვაგვარად ვერ ავხსნით იმას, რასაც მოურინიო სჩადის. რაც არ უნდა ცუდი ხასიათის იყოს ადამიანი, თუ ამას განზრახ არ აკეთებს, შეუძლებელია, რომ ნერვებმა ამდენჯერ, ყველა მნიშვნელოვან და უმნიშვნელო ამბავზე გილალატოს.

მორიგი ინციდენტი „ატალანტა“-“ინტერის“ შეხვედრის შემდეგ მოხდა. ცნობილ აპენინელ ჟურნალისტს **ანდრეა რამაცოტის** გუნდების ავტობუსებთან მუშაობის უფლება ჰქონდა. ის გახლდათ ერთადერთი ჟურნალისტი, რომელსაც ფეხბურთელებთან და მწვრთნელებთან მისვლის უფლება და კომენტარების ჩამორთმევის ნება მისცეს. მედიის წარმომადგენელი შეუდგა თავის საქმიანობას და რამდენიმე ფეხბურთელს გაესაუბრა კიდეც. ჟოზემ კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა, ჟურნალისტს ხელი გაჰკრა და ავტობუსში ავიდა. რამაცოტიმ შეურაცხყოფა გადაყლაპა და საქმიანობა გააგრძელა. თუმცა, მთავარი წინ ელოდა - მოულოდნელად, მოურინიო ავტობუსიდან ჩამოხტა, ჟურნალისტზე გაიწია და თუ თვითმხილველებს ვენდობით, ხელითაც შეეხო. პორტუგალიელი აგინებდა მედიის წარმომადგენელს და ყვიროდა, შენი ადგილი აქ არ არის და დროზე დაგვტოვეო.

მედიამ უკვე გამოუცხადა კოლეგას სოლიდარობა და მხარი აქტიურად დაუჭირა. პორტუგალიელმა კი თუ ასე გააგრძელა, მთელ იტალიურ სპორტულ ჟურნალისტიკას გადაიმტერებს. არადა, მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებს აპენინებზე უდიდესი ძალა აქვთ.

## მილანი: პანდევი პლუს კონტრაქტი გატუზოს

„პალერმოსთან“ განცდილი მარცხის შემდეგ „მილანის“ მესვეურები გუნდის გაძლიერებაზე, ეტყობა, სერიოზულად დაფიქრდნენ. პრესასთან **ადრიანო გალიანიმ** არ დამალა, რომ „როსონერის“ მინიმუმ ერთი შემტევი ფეხბურთელი მაინც სჭირდება:

*„ვეძებთ ფეხბურთელს, რომელიც სიღრმიდან შეუტევს და ფლანგზეც მაღალ დონეზე ითამაშებს. ლეონარდოს ტაქტიკა გარემარბებზეა აგებული და ამის საჭიროება ამადაც დაგვიდგა. რონალდინიო და ალექსანდრე პატო თავის ფუნქციებს შესანიშნავად ასრულებენ, მაგრამ როდესაც ერთ-ერთი მწყობრიდან გამოდის, გამოუვალ მდგომარეობაში ვვარდებით. ასე მოხდა სიცილიელებთან შეხვედრისას და დავმარცხით კიდეც. ინაციო აბატე ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ ამ ეტაპზე, ასეთ ფუნქციებს უბრალოდ ვერ იტვირთებს“.*

ჟურნალისტმა გალიანის კიდევ ერთი შეკითხვა დაუსვა - **გორან პანდევის** შეძენას ხომ არ აპირებთო. პასუხიც აქვეა:

*„პანდევი შესანიშნავი ფეხბურთელია და მასზე ნამდვილად ვფიქრობთ, მაგრამ დღეს კონკრეტულ მოთამაშეებზე საუბარი მაინც გამიჭირდება. უახლოეს დღეებში შევიკრიბებით და ვიმსჯელებთ, თუ რომელი ფეხბურთელით შეიძლება გუნდის რეალურად გაძლიერება. ბუნებრივია, ამ დისკუსიაში გადამწყვეტ სიტყვას მთავარი მწვრთნელი, ლეონარდო იტყვის“.*

ამასობაში კი **ჯენარო გატუზოსთან** დაკავშირებულ მითქმა-მოთქმას წერტილი დაესვა. გუშინ ვეტერანმა ნახევარმცველმა „როსონერისთან“ კონტრაქტი 2012 წლის ივნისამდე გააგრძელა.

**ლაშა ნიკლაური**

ინგლისი. პრემიერლიგა. XVII ტური



რაიან გიგზი BBC-ს ჯილდოთი

# როგორღაც მეორე გამარჯვება...

| დღეს | |
|---|---|
| სანდერლენდი-ასტონ ვილა | 23:45 |
| ბირმინგემი-ბლექბერნი | 00:00 |
| ბოლტონი-ვესტ ჰემი | 00:00 |
| მანჩესტერ იუნ-ვულვზი | 00:00 |
| **ხვალ** | |
| ბარნლი-არსენალი | 23:45 |
| ჩელსი-პორტსმუთი | 23:45 |
| ლივერპული-უიგანი | 00:00 |
| ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი | 00:00 |

დღეს, პრემიერლიგაში ოთხი თამაშია. „სანდერლენდი“ „ასტონ ვილას“ მასპინძლობს. მასპინძლებს ამ შეხვედრის წინ **კიერან რიჩარდსონი** და **ფილ ბერდსლი** დაუბრუნდათ. ეს ის წყვილია, რომელმაც დისკვალიფიკაციის გამო გასულ შაბათს, შინ, სუსტ „პორტსმუთთან“ შეხვედრა გამოტოვა. ვინ იცის, ისინი მოედანზე რომ ყოფილიყვნენ შეხვედრა „პორტსმუთისთვის“ დასანანი ანგარიშით, 1:1 არ დასრულებულიყო. ახლა კი საინტერესოა, რას გახდებიან „შავი კატები“ „ასტონ ვილასთან“. რასაკვირველია, სად აუტსაიდერთან თამაში და სად ბირმინგემის ძლიერ გუნდთან, რომელმაც შაბათს არც მეტი, არც ნაკლები, „მანჩესტერ იუნაიტედს“ მოუგო „ოლდ ტრეფორდზე“. ამოცანა კი ასეთია: იქნებ ბოლო რვა შეხვედრაში მეორე გამარჯვებას მიაღწიოს.

ამბობენ, რომ ამ საღამომდე, თავდამსხმელი **კენუაინ ჯონსი** ბოლო შეხვედრაში ნატკენ მხარს მოირჩენს, ნახევარმცველი **ლი კეტერმოლი** კი მყესის ტრავმის შემდეგ კვლავ შეუდგა ვარჯიშს, თუმცა პრემიერლიგა მისთვის ჯერ მეტისმეტიაო, უთქვამთ ექიმებს და ხვალ, ოთხშაბათს, რეზერვისტთა შეჯიბრებაში „ჰარტლპულთან“ შეხვედრა გამოუწერეს.

ვარჯიშს შეუდგა **ჯონ მენსაც, ანტონ ფერდინანდი, კრეიგ გორდონი** და **ბუდევინ ზენდენი** კი ჯერ კიდევ ექიმებთან დადიან.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ „ვულვერჰემპტონს“ მასპინძლობს და ამ შეხვედრაში სავარაუდოდ ვერ ითამაშებს **რაიან გიგზი**, რომელსაც ამ დღეებში BBC-მ წლის უდიდესი სპორტსმენის ჯილდო გადასცა. მიზეზი: შაბათს, „ოლდ ტრეფორდზე“, ზემოთ ხსენებულ შეხვედრაში“ „ასტონ ვილას“ წინააღმდეგ, 36 წლის ვარსკვლავს ორთავე კუნთი დაუზიანდა. ერთი სიტყვით, სერ **ალექს ფერგიუსონი** არ გარისკავს და გიგზს არ ათამაშებს.

ამბობენ, რომ „იუნაიტედის“ შემადგენლობაში ითამაშებენ **დიმიტარ ბერბატოვი** და **მაიკლ ოუენი**.

რაც შეეხება „ვულვს“, ამ გუნდს ორთვიანი მკურნალობის შემდეგ დაუბრუნდა ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი ფეხბურთელი, მარჯვენა მცველი **კევინ ფოული**, რომელმაც შაბათს „ტოტენჰემის“ წინააღმდეგ ბოლო ნახევარი საათი ითამაშა - შეგახსენებთ, რომ „ვულვზმა“ „უაით ჰართ ლეინზე“ საოცარ შედეგს მიაღწია, **ჰარი რედნაპის** გუნდი 1:0 დაამარცხა. ცნობისათვის: ზემოთ ფოულის მარჯვენა მცველი კი ვუწოდეთ, მაგრამ ის იმდენად მრავალმხრივი ფეხბურთელია, რომ „იუნაიტედთან“, სავარაუდოდ ნახევარდაცვაში ითამაშებს. საქმე ის გახლავთ, რომ მწვრთნელს, **მიკ მაკარტის** **დევიდ ედუარდსის** ტრავმის შემდეგ ნახევარდაცვაში ცარიელი სივრცე გამოუჩნდა და მისი შევსება სჭირდებოდა. ედუარდსი, რომელიც „ტოტენჰემთან“ შეხვედრაში სწორედ ფოულიმ შეცვალა, ექიმების თქმით, ათკვირიანი მკურნალობის კურსს გაივლის. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ედუარდსის პოზიციაზე ფული კი არა, „სანდერლენდის“ ყოფილი ნახევარმცველი **გრეგ ჰელფორდი** ათამაშონ.

„ბირმინგემი“ „ბლექბერნს“ მასპინძლობს. ბირმინგემელთა თავკაცს, **ალექს მაკლიშს** საქმე კარგად აქვს: ახალი ტრავმირებული არავინ ჰყავს. ვეტერანმა ნახევარმცველმა **ლი კერსლიმ** ინტენსიური ვარჯიში აღადგინა, მაგრამ **სემ ელერდაისის** გუნდის წინააღმდეგ მისი გამოყვანა მოსალოდნელი მაინც არ არის. მიმომხილველები ელიან, რომ მაკლიში კვლავ უცვლელ შემადგენლობას ათამაშებს. ეს ის შემადგენლობაა, რომელსაც აგერ უკვე შვიდი შეხვედრაა არ წაუგია და 21 შესაძლებლობიდან 17 ქულა დააგროვა.

რაც შეეხება „ბლექბერნს“ მას ბირმინგემში **დევიდ დანი** ვერ გაჰყვება. დანის ძველი ტრავმა აქვს მოსაშუშებელი და ჯერაც არ გასულა ფონს. იგი ბოლო სამი შეხვედრაა თანაგუნდელებს ვერ ეხმარება - ნოემბერში „სტოკთან“ შეხვედრაში დაშავდა. ალბათ, ვერც **ვინს გრელა** ითამაშებს. გრელამ გასულ შაბათს „ჰალ სიტისთან“ შეხვედრაში ბარძაყი იტკინა.

**ილია ბაბუნაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 16 | 12 | 1 | 3 | 40-13 | 37 |
| 2. მანჩესტერ იუნ. | 16 | 11 | 1 | 4 | 34-14 | 34 |
| 3. არსენალი | 15 | 10 | 1 | 4 | 40-19 | 31 |
| 4. ასტონ ვილა | 16 | 8 | 5 | 3 | 26-14 | 29 |
| 5. მანჩესტ. სიტი | 15 | 6 | 8 | 1 | 29-21 | 28 |
| 6. ტოტენჰემი | 16 | 8 | 3 | 5 | 35-22 | 27 |
| 7. ლივერპული | 16 | 7 | 3 | 6 | 32-22 | 24 |
| 8. ბირმინგემი | 16 | 7 | 3 | 6 | 16-16 | 24 |
| 9. ფულჰემი | 16 | 6 | 5 | 5 | 20-17 | 23 |
| 10. სანდერლენდი | 16 | 6 | 3 | 7 | 22-22 | 21 |
| 11. სტოკი | 16 | 5 | 6 | 5 | 15-19 | 21 |
| 12. ბლექბერნი | 16 | 5 | 4 | 7 | 16-28 | 19 |
| 13. ბარნლი | 16 | 5 | 3 | 8 | 20-34 | 18 |
| 14. უიგანი | 16 | 5 | 3 | 8 | 19-36 | 18 |
| 15. ევერტონი | 16 | 4 | 5 | 7 | 22-30 | 17 |
| 16. ჰალი | 17 | 4 | 5 | 8 | 17-34 | 17 |
| 17. ვულვზი | 16 | 4 | 4 | 8 | 15-28 | 16 |
| 18. ვესტ ჰემი | 16 | 3 | 5 | 8 | 24-31 | 14 |
| 19. ბოლტონი | 15 | 3 | 4 | 8 | 20-32 | 13 |
| 20. პორტსმუთი | 16 | 3 | 2 | 11 | 14-24 | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



შტუტგარტი

# ბებერი იენსის ვნებანი

## როგორ გაიფუჭა 40 წლის კაცმა სახელი ერთ კვირაში

ჯერ იყო და, ჩემპიონთა ლიგის მატჩის დროს („უნირეასთან") მოშარდვა გადაწყვიტა, მერე კლუბის ხელმძღვანელები ძალიან მაგრად გააკრიტიკა, რის გამოც 40 000 ევროთი დააჯარიმეს, კვირას კი „მაინცთან" ჭკუიდან შეშლილი ადამიანივით მოიქცა - ვერაფერს იტყვი, ვეტერან გერმანელ მეკარე **იენს ლემანს**, რბილად რომ ვთქვათ, საოცარი კვირა ჰქონდა.

აი, რა მოხდა „მაინცისა" და „შტუტგარტის" მატჩის 87-ე წუთიდან: იმ დროს, როცა შვაბები 1:0-ს დამაჯერებლად იგებდნენ და არავითარი წინაპირობა არ არსებობდა იმისათვის, რომ მასპინძლებს ანგარიში გაეთანაბრებინათ და შვაბთა ახალი მწვრთნელისთვის, **კრისტიან გროსისთვის** ბუნდესლიგური დებიუტი ჩაემწარებინათ. ლემანი „მაინცის" ფორვარდ **არისტიდ ბონსეს** დაეტაკა და ჩაარტყა! ჩაარტყა ფეხი და შეეხო სხეულის ზედა ნაწილითაც. კარნავალელთა აყლაყუდა (1.92 მეტრი) ფორვარდი, რა თქმა უნდა, მაშინვე მოედანზე გაიშხლართა. მსაჯმა **ვოლფგანგ შტარკმა** კი ლემანს, ცხადია, წითელი ბარათი აუფრიალა და „შტუტგარტის" კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნა. არბიტრი: *„იენსმა ბონსეს გამეტებით ჩასცხო და ორი აზრი არ არსებობს, გაძევებას იმსახურებდა. იმის გამო, რომ ბურთი მას ჰქონდა, ესე იგი, ბურთი თამაშში იყო, ეს პენალტის დანიშვნის მიზეზიც გახდა".*

**ოიგენ პოლანსკიმ** თერთმეტმეტრიანი უპრობლემოდ აქცია გოლად, „შტუტგარტმა" თამაში ვერ მოიგო და უაღრესად მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა. აი, ასე დაალალატა გამოცდილმა კიპერმა გუნდი, რომელსაც სამი ქულა ჰაერივით სჭირდებოდა, მაგრამ ამ მოვლენას ერთი სცენა უძღოდა წინ. ლემანი და ბონსე ერთმანეთს მე-80 წუთზეც წაეკიდნენ და სხვა საქმეა ის, რომ იმ მომენტში „მაინცის" ფორვარდი მინიმუმ გაფრთხილებას მაინც იმსახურებდა. სარევანშო ფოლის დროს კი, ვეტერანმა გოლკიპერმა წითელი ბარათი მიიღო. „მაინცის" ფანები, რა თქმა უნდა, მიხვდნენ, ვისთვის უნდა გადაეხადათ მადლობა გადარჩენილი ქულისთვის და საფინალო სასტვენის შემდეგ, რამდენიმე წუთის განმავლობაში, ლემანის გვარს სკანდირებდნენ.

მოკლედ, ეს არანორმალური საქციელი „ლემანის საშინელი კვირის" „ღირსეული" დაგვირგვინება გამოვიდა და როგორც ჩანს, 40 წლის მეკარე საკუთარ თავს საერთოდ ველარ აკონტროლებს, რაც „შტუტგარტისთვის" უკვე ძალიან სახიფათო „თამაშია".

არადა, ლემანი უკვე 22 წელიწადია, რაც ფეხბურთს თამაშობს. ეს კი აშკარად საკმარისი დროა იმისათვის, რომ უდიდესი გამოცდილება შეიძინო, რის ხარჯზეც, მერე ასეთ სისულელეებს აღარ გააკეთებ. ლემანი კი, 22 წლის შემდეგაც ისევ ის ლემანია - უცნაური, ხანდახან უაზროდ აგრესიული, უბრალოდ გიჟი. თვითონ განსაჯეთ: ამ ერთ კვირაში 40 წლის ლემანმა იმდენი სისულელე გააკეთა, რაც არც ერთ ფეხბურთელს მთელი სეზონის განმავლობაში არ გაუკეთებია.

დავიწყოთ იმით, რომ მან „უნირეასთან" მოგებული მატჩის შემდეგ გუნდის ხელმძღვანელები კრიტიკით მიწასთან გაასწორა. შეგახსენებთ, რომ მანამდე „შტუტგარტი" თითქმის ყველა თამაშს აგებდა, ბუნდესლიგის ცხრილში გასავარდნ ზონამდე დაეშვა და მოკლედ, ცუდად ჰქონდა საქმე. „უნირეასთან" მატჩის წინ კი შეფებმა მთავარი მწვრთნელი **მარკუს ბაბელი** მოხსნეს და მის ნაცვლად შვეიცარიელი კრისტიან გროსი დანიშნეს, რომლის ხელში გუნდმა პირველივე თამაში დამაჯერებლად მოიგო - 3:1 „უნირეასთან". ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვაშიც ვწერდით, რომ შეუძლებელია, მწვრთნელმა სამ დღეში ასე მაგრად გარდაქმნას გუნდი, რომელიც მანამდე თითქმის ყველა მეტოქესთან აგებდა. ფაქტია, რომ პრობლემა ბაბელში იყო. ჰოდა, სწორედ ამიტომ, „უნირეასთან" მოგებული შეხვედრის შემდეგ, რამაც შვაბენლანდური კლუბი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გაიყვანა, ლემანი ბაბელს მხარში ამოუდგა, ყოფილი მწვრთნელი დაიცვა და სამაგიეროდ, შეფებს შეუტია, რის გამოც 40 000 ევროთი დააჯარიმეს. ის ფაქტი, რომ იენსმა ბაბელი დაიცვა, მისი უფლებაა და ამის გამო არავინ გააკრიტიკებს, სამაგიეროდ, იენსი, რბილად რომ ვთქვათ, კრიტიკას იმსახურებს იმის გამო, რომ მოგებული თამაშის შემდეგ წყალი ისევ აამღვრია. ეს კი უკვე კონსტრუქციული კრიტიკა აღარ არის. უპრიანი იქნებოდა, ეს გაცილებით ადრე გაეკეთებინა. ახლა კი ეს აბსოლუტურად უსარგებლო ქცევა „მაინცთან", გუნდს ორი ქულის დაკარგვის ფასად დაუჯდა.

*„მე ძალიან კარგად ვიცნობ ფეხბურთელ ლემანს, მაგრამ საერთოდ არ ვიცნობ პიროვნება ლემანს. ვფიქრობ, რომ ასეთი რამ არ უნდა გაეკეთებინა,"* - ამბობს შვაბთა ახალი თავკაცი გროსი.

*„ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა იენსს ასეთი რამ ემართება. ეს თითქმის ყველა თამაშში მოსდის ხოლმე. არ ვიცი, რა პრობლემა აქვს ლემანს. იქნებ ჯობდეს, რომ თვითონ მას ჰკითხოთ? ფაქტია, რომ არანორმალურად იქცევა. არადა, ძალიან გამოცდილი ფეხბურთელია. ბავშვი ხომ არ არის, 40 წლისაა,"* - ეს კი **ოლივერ კანის** სიტყვებია.

დრო, როდესაც ლემანის გიჟური საქციელი გუნდის ინტერესებს ემსახურებოდა, დიდი ხანია, წარსულს ჩაჰბარდა. დღესდღეობით ლემანი მხოლოდ ეგოიზმის გამოვლენითაა დაკავებული და ის ინფანტილური თვითინსცენატორია. თუ შუა მატჩის დროს მოშარდვა და „40 000 ევროს არ გადავიხდი" მხოლოდ მცირე პრობლემებია, უქმეებზე ჩადენილი უაზრობა უკვე ყოველგვარ ჩარჩოებს გასცდა და რაც მთავარია, ეს ყველაფერი „შტუტგარტს" ორი ქულის დაკარგვის ფასად დაუჯდა - ქულებისა, რაც მე-15 ადგილზე მყოფ გუნდს ჰაერივით ესაჭიროებოდა. 40 წლის პროფესიონალმა ფეხბურთელმა საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა და ეს იმ დროს, როცა გუნდი გადარჩენისთვის იბრძვის.

იენს ლემანს შტუტგარტში და ზოგადად, გერმანიაში ძალიან კარგი სახელი აქვს და თუ ამ სახელის გაფუჭება უნდა, ეს მისი საქმეა. ფაქტია, რომ იენსი ნელ-ნელა კარგავს რეალობის შეგრძნებას, რის გამოც კლუბისთვის და ფანებისთვის აუტანელი ტიპი ხდება...


იენს ლემანი ისევ ის ლემანია

სატრანსფერო


კევინ კურანი

# კურანის რომაც გამოუჩნდა

იტალიური საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან, რომ „რომამ" მიზანი „შალკეს" თავდამსხმელ **კევინ კურანისკენ** მიმართა. 27 წლის თავდამსხმელი ამ სეზონში ძალიან კარგ ფორმაშია და განსაკუთრებით ბოლო ტურებში მოედანს უგოლოდ აღარ ტოვებს, ამ უქმეებზე კი მან ბუნდესლიგაში 101-ე გოლიც გაიტანა. კურანის „შალკესთან" კონტრაქტი სეზონის მიწურულს უმთავრდება და თუ ახალ ხელშეკრულებას არ გააფორმებს, ან ზამთარში უნდა გაიყიდოს, თუ არა და, ზაფხულში გელზენკირხენულ კლუბს უფასოდ დატოვებს.

„შალკეს" მენეჯერი და მთავარი მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** აცხადებს, რომ მან ყველა კონტრაქტი წელსვე უნდა გაუფორმოს ფეხბურთელებს. 2009 წელს მოლაპარაკებები აღარ შედგება. პრობლემა კი ის არის, რომ სანამ არ არის გარკვეული, ითამაშებს თუ არა „შალკე" გაისად ევროტურნირებზე, „ხუმარებს" არ აქვთ იმის გარანტია, რომ ექნებათ საჭირო თანხა კურანისთვის კონტრაქტის გასაგრძელებლად - ფაქტია, რომ კევინს ხელფასის მომატება უნდა.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ბაიერნი: სენდეროსი ან ბოკეტი?

## ბავარიელები ბრენოს ანათხოვრებენ და მისი შემცვლელი სჭირდებათ


სალვატორე ბოკეტი


ფილიპ სენდეროსი

ბრიტანული და გერმანული საინფორმაციო სააგენტოები ერთხმად იტყობინებიან, რომ ლონდონის „არსენალის" მცველი **ფილიპ სენდეროსი** იანვრიდან მიუნხენის „ბაიერნის" ფეხბურთელი გახდება. ეს ცნობა პირველად Mirror Football-მა გაავრცელა, რომელიც წერდა, რომ შვეიცარიელ მცველს მიუნხენელები 1.1 მილიონ ევროდ იყიდიან. აღსანიშნავია, რომ გერმანულ გრანდს შვეიცარიის ნაკრების მცველის გადაბირება ექვსი წლის წინაც სურდა. მაშინ სენდეროსი ევროპის ერთ-ერთ უნიჭიერეს მცველად მიიჩნეოდა.

...მაგრამ სენდეროსის კარიერა ისე ვერ წარიმართა, როგორც ველოდით. როდესაც ფილიპი „სერვეტიდან" „არსენალში" გადავიდა, უდიდეს ტალანტად რაცხდნენ, თავიდან იმედებს ამართლებდა, მაგრამ მერე კრიზისი დაეწყო. დღეს უკვე 24 წლის შვეიცარიელი ლონდონელებს ერთი წლით „მილანში" ჰყავდათ განათხოვრებული, მერე კი ისევ ლონდონს მიაშურა, მაგრამ სენდეროსმა „არსენალის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი ველარ დაიბრუნა.

მიმდინარე სეზონში სენდეროსს პრემიერლიგის ერთ მატჩშიც კი არ მიუღია მონაწილეობა, მით უმეტეს, არ უთამაშია ჩემპიონთა ლიგაში, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ „ბაიერნში" გადავა, ჩემპიონთა ლიგაში რეკორდმაისტერის ღირსებას უპრობლემოდ დაიცავს. აღსანიშნავია, რომ ზაფხულში სენდეროსით მადრიდის „ატლეტიკო" იყო დაინტერესებული და შვეიცარიელისთვის ბრძოლაში უმთავრეს ფავორიტადაც კი მოიაზრებოდა. *„რაკი „არსენალში" სათამაშო პრაქტიკა არ მაქვს, რაღაც უნდა ვიღონო,"* - თქვა სენდეროსმა დეკემბრის დასაწყისში.

რაში სჭირდება „ბაიერნს" სენდეროსი? ფაქტია, რომ მიუნხენელები უკმაყოფილოები არიან ბრაზილიელი **ბრენოთი**, რომელსაც სავარაუდოდ ზამთარში გაანათხოვრებენ. სენდეროსი კი, მიუნხენელთა მთავარ მწვრთნელ **ლუის ვან გაალს** სწორედ ბრენოს შემცვლელად სურს - ისევ და ისევ სათადარიგოთა სკამისთვის. საკითხავი ისაა, რამდენად სურს შვეიცარიელს მიუნხენური კლუბის სკამის ხეხვა, რადგან რეკორდმაისტერის ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აქვთ **დანიელ ვან ბუიტენს, მარტინ დემიკელისსა და ჰოლგერ ბადშტუბერს**...

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მიუნხენელები „ჯენოას" მცველ **სალვატორე ბოკეტისაც** აკვირდებიან. 23 წლის ბოკეტი შესანიშნავ ფორმაშია და უკვე იტალიის ეროვნულ ნაკრებშიც მოასწრო თამაში.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



# შამახითა ერთითა...

## ლიონი ყველამ დაიბრიყვა



ასე გაიტანა მარუან შამახმა ტურის ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი

**მარუან შამახის** თავურმა საფრანგეთის ჩემპიონატში, რომელიც წლეულს არნახულად უკომპრომისოდ და საინტერესოდ მიმდინარეობს, ჩემპიონ „ბორდოს" ერთპიროვნული ლიდერობა კიდევ უფრო განუმტკიცა. „ბორდოს" ვარსკვლავს, რომელსაც სეზონის წინ ინგლისში უწინასწარმეტყველებდნენ კარიერის გაგრძელებას, წლეულს ცოტა გოლი გააქვს, თუმცა შამახი მნიშვნელოვან თამაშებში ყოჩაღობს ხოლმე. მატჩის 86-ე წუთზე შამახის თავურმა „ბორდოს" „სტად ჟერლანზე" ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ კონკურენტ „ლიონთან" გამარჯვება მოუტანა. ეს შამახის მე-5 გოლია ჩემპიონატში.

წინა ტურში „ლიონი" 7-გოლიან თრილერში დამარცხდა „ლილთან", ახლა კი მარცხი ჩემპიონთან... მოკლედ, „ლიონს" შინაურ პირველობაზე ცუდად მისდის საქმეები. მატჩის პირველ ტაიმში **ლისანდრო ლოპესმა** ორი ხელსაყრელი მომენტი გაანიავა. ჯერ **რევეიერის** ჩაწოდების, შემდეგ **პიანიჩის** მახვილგონივრული პასის შემდეგ. ამას „ბორდომ" შამახის პირველი სახიფათო თავურით უპასუხა - **პლაშილის** ჩაწოდების შემდეგ მარუანმა ისე დაარტყა, რომ ბურთი ჯერ მიწაზე დაეცა და მერე წავიდა „ლიონის" კარში, მაგრამ საფრანგეთის ნაკრების გოლკიპერმა **უგო ლორისმა** იყოჩაღა. თანდათან „ბორდოს" უპირატესობა შესამჩნევი გახდა, ლორისმა კიდევ ერთხელ ივარგა, ამჯერად შამახის პასით დასარტყამ პოზიციაზე გასული **გურკუფის** გასროლის შემდეგ.

მეორე ტაიმში „ბორდომ" შუა ხაზი სუფთად მოუგო „ლიონს", აქ ბატონ-პატრონი **ფერნანდო** გახდა, მალე **გურკუფის** დრიბლინგს მისივე ოდნავ არაზუსტი დარტყმა მოჰყვა. თამაშის დასრულებამდე 15 წუთით ადრე, შეიძლებოდა თამაშიდან გამომდინარე, არალოგიკური გოლი გასულიყო, **გონალონსის** დარტყმის შემდეგ „ბორდო" კარასომ იხსნა. ამის შემდეგ ბორდოელებმა რამდენიმე ხელსაყრელი საგოლე მომენტი გაანიავეს, შამახმა ახლო მანძილიდან ააცილა, **კრისმა** მოულოდნელად ბურთს ფეხი ააცილა, ხოლო **ჟუსიემ** ტრიბუნებში დაარტყა. თითქოს მატჩი ნულოვანი დასასრულისკენ მიექანებოდა, როცა 86-ე წუთზე **გუფრანის** ჩაწოდებულს მაროკოელმა ფორვარდმა თავი მოხერხებულად დაუხვედრა - 0:1. „ბორდო" 34 ქულით პირველია და მეორეადგილოსან „მონპელიეს" 4 ქულით უსწრებს, თუმცა ჩემპიონს კონკურენტზე მატჩით მეტი აქვს გამართული.

**კლოდ პუელი** (ლიონი): *„ძალიან ცუდია, როცა შინ უშუალო კონკურენტთან აგებ. ჩვენ „ბორდოსთან" უკვე 8 ქულა გვაშორებს, ეს არ არის უსაშველოდ ბევრი, მაგრამ მეტი წაფორხილების უფლება „სტად ჟერლანზე" არ გვაქვს. არადა თამაში საკმაოდ კარგად დავიწყეთ. ვფიქრობ, ამ ეტაპზე ჩემს ფეხბურთელებს თვითრწმენა აკლიათ. უნდა ბევრი ვიშრომოთ, რომ დავიბრუნოთ მოწინავე პოზიციები ცხრილში. მესმის, იმ გულშემატკივრების, რომელთაც გვისტვინეს - ჩვენი ახლანდელი თამაში ტაშს ნამდვილად არ იმსახურებს".*

**ლორან ბლანი** (ბორდო): *„კარგად ვიცოდით, რა ძლიერი მეტოქე გვყავდა. „ლიონი" ფიზიკურად ძალიან ძლიერი გუნდია, თუმცა ჩვენ შევაჩერეთ ის პირველ ტაიმში, მეორეში კი გადამწყვეტი უპირატესობა მოვიპოვეთ. საერთო ჯამში, თამაშს ჩვენ უფრო ვაკონტროლებდით, ჩვენ მეტს და უფრო სახიფათოდ ვუტევდით. ასე რომ, თამამად შემიძლია ვთქვა - გამარჯვებას ვიმსახურებდით. „ლიონი" მაინც რჩება ჩვენს უმთავრეს მეტოქედ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში, სეზონის ბოლოს მაინც ასე იქნება, თუმცა 8-ქულიანი უპირატესობა ძალიან კარგია ფსიქოლოგიური კუთხით".*

**რენე ჟირარის** „მონპელიე" აღარ ხუმრობს - „ტულუზთან" საგარეო მატჩში „მონპელიემ" **სულეიმან კამარას** ერთადერთი გოლის წყალობით მოიგო და მეორე ადგილზე დამკვიდრდა. „მონპელიემ" ჩემპიონატში ზედიზედ მესამედ მოიგო. მე-10 წუთზე ყოფილმა მონაკოელმა ფორვარდმა ბურთი მარცხენა ფლანგზე მიიღო, თითქოს იქიდან დარტყმას აზრი ნაკლებად ჰქონდა, მაგრამ კამარას გასროლამ დებიუტანტი გოლკიპერი **მატიო ვალვერდე** ხახამშრალი დატოვა. მასპინძელთაგან ყველაზე კარგი შანსი შარშანდელი ჩემპიონატის ბომბარდირ **ანდრე-პიერ ჟინიაკს** ჰქონდა, მეორე ტაიმის დასაწყისში მან ბურთი გადააცილა **ჟურდრენის** კარს.

**რენე ჟირარი** (მონპელიე): *„კარგია, რომ მაშინაც ვიმარჯვებთ, როცა არც ისე კარგად ვთამაშობთ. ახლა დროულად უნდა გადავერთოთ ოთხშაბათის მატჩზე „ბორდოს" წინააღმდეგ. ეს შეხვედრა ბევრ კითხვას გასცემს პასუხს ჩვენი შესაძლებლობების ზღვარის შესახებ".*

სხვა მატჩებიდან აღვნიშნავთ „პარი სენ ჟერმენის" ულაპარაკო გამარჯვებას საფრანგეთის ერთ-ერთ ტიტულოვან, მაგრამ ახლა აუტსაიდერთა ჯგუფში მყოფ „სენტ ეტიენზე" - 3:0, „მონაკოს" მოულოდნელ მარცხს შინ, თანაც 0:4 ყოჩაღ „ლილთან". და „მარსელის" იოლ გამარჯვებას სუსტ „ბულონთან" **მამადუ ნიანგის** გარეშე - 2:0. „ლილის" ბოლოდროინდელი მიღწევები მართლაც საოცარია, **რუდი გარსიას** გუნდმა ბოლო 4 მატჩში 16 გოლი გაიტანა!

ეკიპის ტურის სიმბოლური ნაკრები: **ოდარი** (ლორიანი, 7.0) - **სეარა** (პსჟ, 6.0), **სპაჰიჩი** (მონპელიე, 7.0), **ჰაინცე** (მარსელი, 7.0), **გრიხტინგი** (ოსერი, 6.0) - **დალმა** (სოშო, 7.0), **დიარა** (ბორდო, 7.0), **მარვო** (რენი, 7.0) - **კორჩია** (ლე მანი, 7.0), **დე მელო** (ლილი, 7.0), **აკალე** (ლანსი, 7.0).

### მომდევნო ტური

**19 დეკემბერი.** ბორდო-ლორიანი, ბულონი-სოშო, გრენობლი-ნიცა, მონპელიე-ნანსი, რენი-პსჟ, ვალანსიენი-ლანსი, სენტ ეტიენი-მარსელი. **20 დეკემბერი.** ოსერი-ტულუზი, ლილი-ლე მანი, მონაკო-ლიონი.

### ლე მანი-ვალანსიენი 2:1

**ლე მანი (4-4-2):** ოვონო - ლუვიონი, ჟედერი, ანდრადე, ლორიო (60. ლამა) - კორჩია, გულონი (69. კეიტა), ტომასი, ბაალი - ლე ტალეკი, მაიგა.

**ვალანსიენი (4-3-2-1):** ნდი ასემბე - დიუკურტუა, ბიზევაცი, შმიტცი, ბონგი - კოადი, გომისი, კადირი - ბენ ხალფალაპი, დანიჩი (78. პუჟოლი) - სამასა (87. სებო).

**გოლები:** 1:0 კორჩია (29), 1:1 დანიჩი (33), 2:1 ლე ტალეკი (93)

**გაძევება:** მაიგა (45. ლე მანი)

**გაფრთხილება:** 4-3; **კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 8-14 (4-4); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 7 700

### მარსელი-ბულონი 2:0

**მარსელი (4-1-3-2):** მანდანდა - ბონარი, დიავარა, ჰაინცე, ტაივო - მბია (58. ბენ არფა) - ლ. გონსალესი, აბრიელი (80. ვალბუენა), შეირუ - ბრანდაო, კონე (70. მორიენტესი).

**ბულონი (5-4-1):** ბედენიკი - ადეფემი, პერინელი, ლაშორი, დემბელე, რაბუელი (72. კუვილიე) - ლეკონტი (64. რობერი), მარკი, და როშა (81. რამარე), კარუეუ - ბლაიაკი.

**გოლები:** 1:0 ჰაინცე (48), 2:0 ტაივო (54-პენ)

**გაძევება:** ადეფემი (89. ბულონი)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 13-19; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 25-4 (8-1); **ბურთის ფლობა:** 78%-22%.

**მაყურებელი:** 47 575

### ნანსი-რენი 1:2

**ნანსი (4-3-2-1):** ბრასილიანო - მაკალუზო, ოადო, ანდრე ლუისი, ბრიზონი (71. ბაკარი) - ფერე, ბერენგერი, მალონგა - დია (85. დიაბატე), ტრაორე (73. შრეტიე) - ალოო ეფულუ.

**რენი (4-3-3):** დუშეზი - ფანი, მანგანე, ჰანსონი, დანზე - ლემოანი, მვილა (47. ლე რუა), ტეტეი - ბანგურა (47. სოუ), ასამოა გიანი (65. ბრიანი), მარვო.

**გოლები:** 1:0 ფერე (41), 1:1 ტრაორე (48 ს.კ.), 1:2 მარვო (70)

**გაძევება:** მაკალუზო (66. ნანსი)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 10-16; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 18-6 (7-2); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 16 029

### ლანსი-ნიცა 2:0

**ლანსი (4-2-3-1):** რუნიე - დემონი, იაპია, შელი, რამოსი - სოუ (84. ერმახი), კოვაჩევიჩი - ბუკარი, რუდე, აკალე (69. ჟემაა) - მაულიდა (90. ედუარდო).

**ნიცა (4-5-1):** ოსპინა - დიაკიტე, მაბიალა, პეისლი, გასე - რემი, ელბიკი, კულიბალი, მნიე (64. მულუნგუი), ტრაორე (64. ფაე) - ბაგაიოკო.

**გოლები:** 1:0 აკალე (19), 2:0 მაულიდა (36)

**გაძევება:** ბაგაიოკო (48. ნიცა)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 15-17; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 24-11 (9-4); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 30 605

### ლორიანი-ოსერი 0:0

**ლორიანი (4-4-2):** ოდარი - სოსა, მარშალი, კოშილნი, ბაკა - ამალფიტანო, მანსური, მვუემბა (87. ფანშონი), დიარა - გამეირო, ვაირუა (79. საკუვაჰა).

**ოსერი (4-4-2):** სორენი - ენგბარი, კულიბალი, მინიო, გრიხტინგი - ოლიეჩი, პედრეტი, დუდკა, ბირსა (81. კონტუტი) - ჟელენი, ნიკულაე (62, შაფნი).

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 8-12; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 14-10 (6-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 9 088

### ტულუზი-მონპელიე 0:1

**ტულუზი (4-3-3):** ვალვერდე - ებონდო, ნუნკეუ, ფოფანა, კონგრე - მაშადო, ბერსონი (61. სისოკო), ტაბანუ - ბრაატენი (74. რეგატინი), ჟინიაკი, სირიეი (61. კაპუე).

**მონპელიე (4-3-3):** ჟურდრენი - იანგამბივა, ჯოდიჩი (57. ელ კაუტარი), სპაჰიჩი, ჟენშამი - დელაიე (63. საიპი), პიტო, კოშტა - კამარა, მონტანიო, აიტფანა (80. კომპანი).

**გოლი:** 0:1 კამარა (11)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 2-1; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 10-6 (3-1); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 17 569

### პსჟ-სენტ ეტიენი 3:0

**პსჟ (4-2-3-1):** ედელი - სეარა, კამარა, სახო, არმანი - მაკელელე, კლერმონი - ჟალე, ლუინდულა (83. შანტომი), სესენიონი (71. მორისი) - ერდინგი (56. ჟიული).

**სტ. ეტიენი (4-3-2-1):** ჟანო - ჟ. ფერნანდესი, ვაროლი, ნდავი, დაბო (66. ოტკო) - ლანდრინი, დოს რეისი, პაიე - მირალიაში (71. საკო), მატუიდი - ბერხესიო (82. ილანი).

**გოლები:** 1:0 ლუინდულა (11), 2:0 სესენიონი (13), 3:0 ერდინგი (39)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 14-19; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 17-10 (10-2); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 36 462

### მონაკო-ლილი 0:4

**მონაკო (4-4-2):** რუფიე - ადრიანო, მონგონგუ, პიუგრენიე, მურატორი (16. ლოლო) - ალონსო, პერესი, ნკოლუ ნდუბენა, ნენე - პარკი (52. მოლო), გუდიონსენი (62. ნიმანი).

**ლილი (4-3-3):** ლანდრო - დებიუში, რამი, ჩედჯუ, ბერია - ბალმონი, დუმონი, კაბაიე (86. მავუბა) - ჟერვინიო (75. აუბამეიანგი), დე მელო, ჰაზარდი (67. ფრო).

**გოლები:** 0:1 დე მელო (39), 0:2 დე მელო (55), 0:3 კაბაიე (72-პენ), 0:4 აუბამეიანგი (85)

**გაძევება:** ადრიანო (71. მონაკო)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 18-21; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 9-22 (4-8); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 6 323

### სოშო-გრენობლი 1:0

**სოშო (4-3-3):** რიშერი - ფატი, პერკისი, ბრეშე, დრამე - მარტინი, ნოგუეირა (82. პუჟოლი), დალმა - მორის-ბელაი, სვერკოში (43. ბუტენი), მიკარი.

**გრენობლი (4-2-3-1):** ლე კრომი - კალვე, პაილო, სესარი, სოუე (72. რავე) - რომაო, მაკეტი (55. კურტუა) - ბატლე, აკრური (79. დიოზე), მატსუი - ლიუბოია.

**გოლი:** 1:0 მიკარი (28)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 8-8; **ჯარიმა:** 21-18; **თამაშგარე:** 3-6; **კარში დარტყმა:** 16-15 (6-5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 10 606

### ლიონი-ბორდო 0:1

**ლიონი (4-2-3-1):** ლორისი - რევეიერი, კრისი, ბუმსონგი, სისოხო - გონალონსი, მაკუნი - ბაშტოში (55. დელგადო), პიანიჩი (72. გომისი), კალსტრიომი (88. ტაფერი) - ლ. ლოპესი.

**ბორდო (4-2-3-1):** კარასო - შალმე, სანე, პლანიუ, ტრემულინასი - ფერნანდო, დიარა - პლაშილი (63. ჟუსიე), გურკუფი, ვენდელი (63. გუფრანი) - შამახი.

**გოლი:** 0:1 შამახი (86)

**გაფრთხილება:** 4-1; **კუთხური:** 1-3; **ჯარიმა:** 19-14; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 12-16 (3-3); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 36 887

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორდო | 16 | 11 | 1 | 4 | 25-10 | 34 |
| 2. მონპელიე | 15 | 9 | 3 | 3 | 24-17 | 30 |
| 3. ლილი | 17 | 8 | 4 | 5 | 30-19 | 28 |
| 4. მარსელი | 15 | 8 | 4 | 3 | 28-17 | 28 |
| 5. ოსერი | 16 | 8 | 3 | 5 | 16-14 | 27 |
| 6. ლორიანი | 16 | 7 | 5 | 4 | 24-14 | 26 |
| 7. რენი | 16 | 7 | 5 | 4 | 23-15 | 26 |
| 8. ვალანსიენი | 16 | 8 | 2 | 6 | 28-23 | 26 |
| 9. ლიონი | 16 | 7 | 5 | 4 | 27-23 | 26 |
| 10. პსჟ | 16 | 7 | 4 | 5 | 26-16 | 25 |
| 11. ტულუზი | 17 | 7 | 3 | 7 | 17-13 | 24 |
| 12. მონაკო | 15 | 7 | 1 | 7 | 17-20 | 22 |
| 13. სოშო | 16 | 7 | 1 | 8 | 15-21 | 22 |
| 14. ლანსი | 16 | 6 | 3 | 7 | 17-23 | 21 |
| 15. ნანსი | 16 | 6 | 2 | 8 | 22-25 | 20 |
| 16. ნიცა | 16 | 6 | 2 | 8 | 17-27 | 20 |
| 17. სტ. ეტიენი | 17 | 4 | 3 | 10 | 11-25 | 15 |
| 18. ლე მანი | 16 | 3 | 3 | 10 | 15-24 | 12 |
| 19. ბულონი | 16 | 3 | 3 | 10 | 13-31 | 12 |
| 20. გრენობლი | 16 | 1 | 3 | 12 | 9-27 | 6 |

**ბომბარდირები:** 10 - ნენე (მონაკო); 8 - ფრო (ლილი), ჟერვინიო (ლილი), ასამოა გიანი (რენი), ლ. ლოპესი (ლიონი); 7 - ნიანგი (მარსელი), გამეირო (ლორიანი), რემი (ნიცა), ჰაჯი (ნანსი).

ტრანსფერი

# დომინგესი ვალენსიას დარჩა

დღეს, ადგილობრივი დროით 13 საათზე „ვალენსიას" ოფისში არგენტინელი ფორვარდის, **ალეხანდრო დომინგესის** პრეზენტაცია გაიმართება. ყაზანის „რუბინში" ბრწყინვალე თამაშის შემდეგ დომინგესმა ლამის ევროპის მოწინავე კლუბების ნახევარს მოაწონა თავი, მაგრამ თავად 28 წლის არგენტინელს, რომელსაც „ელ ჩორის" სახელით იცნობენ, ესპანურ პრიმერადივიზიონში სურდა თამაში, სადაც მისი შეძენით ყველაზე მეტად „ვალენსია" დაინტერესდა. სხვათა შორის, „ღამურებს" „ელ ჩორი" უსასყიდლოდ ერგოთ, როგორც თავისუფალი აგენტი. *„ვალენსია დიდი კლუბია, ძალიან მოხარული ვარ, რომ „მესტალიაზე" თამაში მომიწევს"*, - განუცხადა მან „მარკას" ჟურნალისტს.

„ვალენსიას" შეტევის ხაზში კი მართლაც პრობლემები აქვს, **დავიდ ვილია** თავის მოვალეობებს ბრწყინვალედ ართმევს თავს, სხვა „სუფთა" ფორვარდები კი **ნიკოლა ჟიგიჩი** და **მიკუ** არიან. დომინგესმა ევროპაში სატრანსფერო სეზონი გახსნა.

გუშინ, დილით ვალენსიის კლინიკაში ალეხანდრო დომინგესმა ყოველმხრივი დეტალური სამედიცინო შემოწმება გაიარა, რომელმაც წარმატებით ჩაიარა და დომინგესის ტრანსფერსაც მწვანე შუქი აენთო. დღეს მასთან კონტრაქტი 2012-13 წლების სეზონის ბოლომდე გაფორმდება, ანუ სამნახევარი წლით. ფეხბურთელის აგენტსა და „ვალენსიას" შორის ყველაფერი უკვე შეთანხმებულია. ახლახან დომინგესი რუსული პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

დომინგესი 2001-2004 წლებში „რივერ პლეიტში" თამაშობდა, საიდანაც ის ყაზანის „რუბინში" გადავიდა, ყაზანში თავის გამოჩენის შემდეგ ის რუსეთისათვის მაშინ რეკორდულ თანხად, 7 მილიონ ევროდ, სანკტ პეტერბურგის „ზენიტში" გადავიდა. წლეულს „ელ ჩორი" ნევისპირა ქალაქიდან ისევ თათრეთის დედაქალაქს დაუბრუნდა. ჩემპიონთა ლიგაში მან გოლები „ინტერს" და კიევის „დინამოს" გაუტანა, „ბარსელონასთან" მატჩში კი თურქ **გიოკჰან კარადენიზს** საგოლე პასი გაუკეთა. ალეხანდრო დომინგესს არასოდეს არ უთამაშია არგენტინის ნაკრებში...




ელ ჩორი დღეიდან ნამდვილი ღამურაა

# კატალონიელები აღარ ხუმრობენ

**იოჰან კრუიფმა**, არარსებული ქვეყნის - კატალონიის - ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გუნდის შემადგენლობა დაასახელა. კატალონიის „ნაკრები" ამხანაგურ მატჩში არგენტინას გაეჯიბრება, თუმცა ეს შეხვედრა არგენტინელებს ნაკრების მატჩად ოფიციალურად არ ჩაეთვლებათ. „მფრინავმა ჰოლანდიელმა" გუნდში 20 ფეხბურთელი გამოიძახა, აქედან 6 ბარსელონელია, 3 ესპანიოლელი, სიაშია „არსენალის" კაპიტანი **სესკ ფაბრეგასიც**.

მოწვევით კი მოიწვია, მაგრამ ძნელი სათქმელია საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონარიდან ორიოდ დღეში „ბარსელონას" ფეხბურთელებმა როგორ უნდა შეძლონ თამაში, ხოლო „არსენალის" ფრანგმა თავკაცმა **არსენ ვენგერმა** უკვე განაცხადა, რომ შანსი არ არის, რომ მან გუნდის კაპიტანი კატალონიის ნაკრებში გაუშვას. „ესპანიოლიდან" სიაში **კორომინასი**, **ვერდიუ** და **მოისეს ურტადო** მოხვდნენ, „ბარსელონადან": **ვიქტორ ვალდესი**, **კარლეს პუიოლი**, **ჩავი ერნანდესი**, **ჟერარდ პიკე**, **სერხი ბუსკეტსი** და **ბოიან კრკიჩი**. სიაში არიან აიაქსელი **ოლეგერი** და **გაბრი**, ვალენსიელი **ბრუნო**, სევილიელი **ფერნანდო ნავარო**, ვილიარეალელი **ხოან კაპდევილია** და სხვები.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



იოჰან კრუიფი კატალონიის ნაკრების მაისურით

ჰოლანდია



# ადვოკაატი ნაგებით იწყებს

**დიკ ადვოკაატმა** ნაგებით დაიწყო „ალკმაარში" მოღვაწეობა. გამოცდილ სპეციალისტს არ გაუმართლა, რადგან პირველ მატჩში დაუმარცხებელ „ეინდჰოვენს" შეხვდა, თანაც სტუმრად. გარდა ამისა, ამ შეხვედრის წინ მოქმედ ჩემპიონს არც ისე კარგი განწყობა ჰქონდა. „სტანდარდთან" ბოლო წუთზე გაშვებულმა გოლმა „ალკმაარი" ევროთასებიდან გამოაგდო, ამას დაემატა გუნდის ერთ-ერთი ლიდერის **მუსა დემბელეს** დისკვალიფიკაცია.

ასე რომ, ადვოკაატის შეგირების ნაგება არავის გაჰკვირვებია, თუმცა, მეორე მხრივ, სტუმრებმა არცთუ ცუდი შთაბეჭდილება დატოვეს და ვინც იცის, იქნებ ალკმაარელთა ახალმა მწვრთნელმა მართლაც აასრულოს დანაპირები და საგაისოდ გუნდი ევროთასებზე გაიყვანოს.

მატჩის დებიუტი მასპინძლებს დარჩათ. უკვე მეორე წუთზე **ლაზოვიჩს** შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მის დარტყმას **მორენო** გადაელობა.

ლიდერმა იმავე განწყობით გააგრძელა თამაში, მაგრამ მეტოქის მისსავე ნახევარზე შებოჭვა მაინც ვერ შეძლო. უფრო მეტიც, მე-11 წუთზე სტუმრებმა საკმაოდ კარგი შეტევა განახორციელეს და **პელეს** რამდენიმე სანტიმეტრი არ ეყო **ელ ჰამდაუის** გადაცემის გამოსაყენებლად.

„ალკმაარი" შემდეგაც სახიფათოდ პასუხობდა მეტოქის იერიშებს, მაგრამ დაცვაში შეცდომებიც მრავლად ჰქონდა და ეს „ეინდჰოვენს" საქმეს უადვილებდა.

მეორე ტაიმში **რომეროს** კარზე ზეწოლა გაიზარდა. იმ მომენტისთვის **რუტენის** შეგირდებმა იცოდნენ, რომ პარალელურად მიმდინარე მატჩში „ტვენტე" „ბრედას" ამარცხებდა, ამიტომაც მასპინძლებისთვის გოლს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. რა გასაკვირია, რომ ასეთი განწყობით მოთამაშე „ეინდჰოვენმა" მაინც შეძლო გამარჯვების მოპოვება, თუმცა სამი ქულა შეიძლება არც ყოფილიყო, რომ არა ელ ჰამდაუის სულელური გაძევება. მაროკოელმა პირველ ტაიმში მსაჯთან კამათისთვის მიიღო ყვითელი, მეორეში კი სრულიად უწყინარ სიტუაციაში **მანოლევი** წააქცია და მეორე ყვითელი ბარათი წითლად გადაიქცა.

ერთადერთი გოლი ამ მატჩში **ოლა ტოივონენმა** გაიტანა - შვედმა თავით გადაგზავნა კარში **პეტერსის** ჩაწოდებული ბურთი.

ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანმა გუნდმა - „აიაქსმა" წინა ტურში ვერ შეძლო „უტრეხტის" კარის აღება და ბუნებრივია, „ნიიმეგენთან" შინ რეაბილიტაციას ეცდებოდა.

ამ ერთი კვირის განმავლობაში ამსტერდამელთა რიგებში ერთი ცვლილება მოხდა. **დარიო ცვიტანიჩს** მექსიკურ „პაჩუკაში" არენდით უშვებენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ **მარკო პანტელიჩს** ალტერნატივა არ რჩება. სერბი ამჯერადაც ძირითადში იყო და ერთ გოლში მიიღო მონაწილეობა. „აიაქსმა" იოლად დაამარცხა ტრავმებით შესუსტებული მეტოქე. მასპინძლებისთვის **ისმაელ აისატის** ტრავმასაც არ შეუშლია ხელი. ნახევარმცველი მატჩის დებიუტში **რადომსკის** შეეჯახა და ბარძაყის ტრავმის გამო ვერ შეძლო თამაშის გაგრძელება.

მასპინძელთა უდიდესი უპირატესობის მიუხედავად, ანგარიში პირველი ტაიმის ბოლოს გაიხსნა. „ნიიმეგენის" მეკარე **ბაბოშმა** სასწაულები მოახდინა, მაგრამ ბოლოს მაინც დანებდა **სუარესს**, რომელმაც ჯერ ძელს გაარტყა, რამდენიმე წამში კი **ვერტონგენის** პასი გამოიყენა.

„აიაქსმა" მეორე ტაიმში განავრცო უპირატესობა. ჯერ აისატის შემცვლელმა **დე იონგმა** ზუსტი დარტყმით დაასრულა პანტელიჩისა და სუარესის გათამაშებული კომბინაცია, 13 წუთში კი სუარესის პასით მეკარესთან ერთი ერთზე გასულმა **მიტჩელ დონალდმა** საბოლოო წერტილი დასვა მატჩში.

ლიდერმა „ტვენტემ" დიდი გაჭირვებით შეძლო „ბრედას" დამარცხება. **სტივ მაკლარენის** გუნდის გულშემატკივრებს ჰქონდათ შეშფოთების მიზეზი, რადგან წინა ტურში „ტვენტემ" სამი გოლი გაუშვა „ნიიმეგენისგან", „ბრედა" კი არ არის ის გუნდი, რომელიც თუნდაც ლიდერთან რაიმეს უბრძოლველად დათმობს.

მასპინძელი ფანების შეშფოთება პირველ ტაიმში კიდევ უფრო გაიზარდა. დებიუტში **ბლეზ ნ'კუფომ** პენალტი გააფუჭა, 43-ე წუთზე კი **დე გრააფი** აღმოჩნდა ხელსაყრელ სიტუაციაში და პირველი ნახევარი „ბრედამ" მოიგო.

მაგრამ მეორე ტაიმში „ტვენტე" თავადაც დამშვიდდა და საკუთარი მწვრთნელი და გულშემატკივრებიც დაამშვიდა. მასპინძლებმა ძალიან მალე გაათანაბრეს ანგარიში. „ბრედას" კარში კიდევ ერთი პენალტი დაინიშნა. ამჯერად ბურთთან **შტოხი** მივიდა და იოლად მოატყუა მეკარე. სლოვაკმა გაიტანა მეორე გოლიც - შტოხმა საჯარიმოს ხაზიდან ლამაზი დარტყმით ცხრიანში გაახვია ბურთი.

სასურველი უპირატესობის მოპოვების შემდეგ მასპინძლები რისკს მოერიდნენ და თამაში მოედნის ცენტრში გადაიტანეს, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია **რუისისთვის** სეზონში მე-13 გოლის გატანაში.

| XVII ტური | |
|---|---|
| აიაქსი-ნიიმეგენი | 3:0 |
| ვენლო-ვაალვიკი | 3:0 |
| ტვენტე-ბრედა | 3:1 |
| ჰერენვეენი-ფეიენოორდი | 0:2 |
| ეინდჰოვენი-ალკმაარი | 1:0 |
| დენ ჰააგი-ჰერაკლესი | 1:4 |
| ვიტესი-უტრეხტი | 2:2 |
| ვილემი-როდა | 1:3 |
| სპარტა-გრონინგენი | 2:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტვენტე | 17 | 15 | 2 | 0 | 38-15 | 47 |
| 2. ეინდჰოვენი | 17 | 14 | 3 | 0 | 43-13 | 45 |
| 3. აიაქსი | 17 | 12 | 2 | 3 | 53-15 | 38 |
| 4. ფეიენოორდი | 17 | 10 | 4 | 3 | 28-15 | 34 |
| 5. უტრეხტი | 17 | 8 | 6 | 3 | 23-16 | 30 |
| 6. ჰერაკლესი | 17 | 9 | 2 | 6 | 25-24 | 29 |
| 7. ალკმაარი | 17 | 8 | 1 | 8 | 29-21 | 25 |
| 8. ბრედა | 17 | 6 | 4 | 7 | 24-28 | 22 |
| 9. ვენლო | 17 | 4 | 8 | 5 | 25-25 | 20 |
| 10. ვიტესი | 17 | 5 | 3 | 9 | 20-30 | 18 |
| 11. სპარტა | 17 | 5 | 3 | 9 | 18-31 | 18 |
| 12. გრონინგენი | 17 | 4 | 5 | 8 | 20-28 | 17 |
| 13. როდა | 17 | 4 | 5 | 8 | 23-33 | 17 |
| 14. ჰერენვეენი | 17 | 5 | 2 | 10 | 17-30 | 17 |
| 15. ვილემი | 17 | 4 | 2 | 11 | 20-33 | 14 |
| 16. დენ ჰააგი | 17 | 3 | 5 | 9 | 18-32 | 14 |
| 17. ნიიმეგენი | 17 | 2 | 7 | 8 | 19-31 | 13 |
| 18. ვაალვიკი | 17 | 3 | 0 | 14 | 12-35 | 9 |

**ბომბარდირები:** 18 - სუარესი (აიაქსი); 13 - რუისი (ტვენტე); 9 - იუნკერი (როდა); 8 - ჯუჯაკი (ეინდჰოვენი), ნკუფო (ტვენტე), დოსტი (ჰერაკლესი), ტოივონენი (ეინდჰოვენი), შტოხი (ტვენტე).

პორტუგალია

# პორტუ ლიდერებს ნამოეწია

„ბრაგამ" რეალური შანსი გაუშვა ხელიდან კიდევ ერთხელ ჩადგომოდა სათავეში გათამაშების ცხრილს. მას ეს შანსი „ბენფიკამ" მისცა, რომელმაც შაბათს მოულოდნელად ოლაოში ადგილობრივ „ოლანენსესთან" წაიფორხილა. მასპინძლებს მოგებაც შეეძლოთ, რომ არა **ნუნუ გომეშის** მიერ 92-ე წუთზე გატანილი გოლი.

„ოლანენსე" გათამაშების ცხრილის ფსკერიდან ამოსვლას ლამობს და შესაბამისად, ლიდერის წინააღმდეგ ძალიან მოტივირებული იყო. ხოლო, როცა სურვილი დიდია, ხანდახან მსგავსი სენსაციებიც ხდება ხოლმე. თავად თამაში შესანიშნავი გამოვიდა - ოთხი გოლი, სამი გაძევება, ათი გაფრთხილება, დაძაბული ბრძოლა...

მასპინძლებმა კარგად გამოიყენეს „არწივების" სუსტი წერტილი - სტანდარტული მდგომარეობები. ორივე გოლი ჩაწოდებების შემდეგ გავიდა. „ოლანენსე" 32-ე წუთიდან მოყოლებული იგებდა და სულ ცოტა ვერ გაძლო. აუტსაიდერი კაცნაკლული ასრულებდა შეხვედრას და „ბენფიკას" ამანაც გაუადვილა საქმე. თანაც, ნუნუ გომეშის გოლი აშკარა თამაშგარედან გავიდა - გამეორებისას ეს აშკარად გამოჩნდა. და მაინც, მასპინძლებს შეეძლოთ გამარჯვების მოპოვება. ოლაოს ყველა მაცხოვრებელი, ალბათ, იმ ღამით სიზმარში ნახავდა 95-ე წუთზე ცენტრალური ნახევარმცველის **ტენგარინიას კიმთან** ერთი ერთზე გასვლასა და მის აცილებულ დარტყმას.

„ბრაგამ" შინ უსახური თამაში აჩვენა „ნავალთან" და „ბენფიკას" ლიდერობა შეუნარჩუნა. ამასობაში კი თავი წამოყო „პორტუმ", რომელიც წამყვან დუეტს ერთი ქულით მიუახლოვდა. ბევრ რამეს ამ წელიწადს გასამართი ბოლო ტური გადაწყვეტს - მასში ერთმანეთს „ბენფიკა" და „პორტუ" შეხვდებიან.

| XIII ტური | |
|---|---|
| ფერეირა-ნასიონალი | 2:1 |
| სპორტინგი-ლეირია | 0:1 |
| ოლანენსე-ბენფიკა | 2:2 |
| აკადემიკა-ლეიქსოეში | 2:0 |
| მარიტიმუ-რიუ ავე | 0:1 |
| ბრაგა-ნავალი | 0:0 |
| პორტუ-სეტუბალი | 2:0 |
| ბელენენსეში-გიმარაეში | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 13 | 9 | 3 | 1 | 37-9 | 30 |
| 2. ბრაგა | 13 | 9 | 3 | 1 | 18-6 | 30 |
| 3. პორტუ | 13 | 9 | 2 | 2 | 27-10 | 29 |
| 4. ნასიონალი | 13 | 6 | 3 | 4 | 18-21 | 21 |
| 5. მარიტიმუ | 13 | 5 | 4 | 4 | 21-16 | 19 |
| 6. რიუ ავე | 13 | 4 | 7 | 2 | 13-10 | 19 |
| 7. სპორტინგი | 13 | 4 | 6 | 3 | 14-11 | 18 |
| 8. ლეირია | 13 | 4 | 5 | 4 | 16-13 | 17 |
| 9. გიმარაეში | 13 | 4 | 4 | 5 | 12-15 | 16 |
| 10. ნავალი | 13 | 4 | 3 | 6 | 9-16 | 15 |
| 11. ფერეირა | 13 | 3 | 5 | 5 | 12-14 | 14 |
| 12. აკადემიკა | 13 | 3 | 4 | 6 | 15-19 | 13 |
| 13. ბელენენსეში | 13 | 1 | 7 | 5 | 7-16 | 10 |
| 14. ლეიქსოეში | 13 | 2 | 4 | 7 | 11-23 | 10 |
| 15. ოლანენსე | 13 | 1 | 6 | 6 | 9-19 | 9 |
| 16. სეტუბალი | 13 | 2 | 2 | 9 | 4-25 | 8 |

**ბომბარდირები:** 14 - კარდოსო (ბენფიკა); 8 - ფალკაო გარსია (პორტუ), ედგარი (ნასიონალი); 6 - ჟოაო ტომაში (რიუ ავე), სავიოლა (ბენფიკა).

ბელგია

# ანდერლეხტი ტიტულს მიუახლოვდა

„ანდერლეხტი" თანდათან უახლოვდება ჩემპიონის ტიტულს. მე-18 ტურში ბრიუსელურ კლუბს „ვესტერლოსთან" უწევდა თამაში, რომელიც მთლად ხელწამოსაკრავი მეტოქე არ გახლავთ. მიუხედავად ამისა, ლიდერი იოლად გაუსწორდა მოწინააღმდეგეს. ერთადერთი, რაც „ვესტერლომ" მეტოქეს დაუპირისპირა, სტანდარტული მდგომარეობებიდან დარტყმები იყო. მართლაც, ხანდახან **იაკოვენკო** კარგად აწვდიდა ან ურტყამდა, მაგრამ საერთო ჯამში **პროტოს** კართან დიდი ხიფათი არ იქმნებოდა.

„ანდერლეხტმა" საკმარისი მომენტი შექმნა სამი ქულის გასანაღდებლად. პირველ ტაიმში მორიგი გოლი გაიტანა **ლუკაკუმ**, რითაც დაადასტურა, რომ ის ამ მომენტისთვის **იაკობსის** გუნდში საუკეთესო ფორვარდია. 16 წლის იუნიორი მცველის შეცდომას დაუდარაჯდა და ახლოდან გამოიყენა **ბუსუფას** პასი.

ბრიუსელელთა უპირატესობა არც მეორე ტაიმში იწვევდა ეჭვს და ეს კიდევ ერთ გოლში გამოიხატა. თავი გამოიჩინა ოდნავ დავიწყებულმა **ფრუტოსმა**.

„ანდერლეხტის" უპირატესობა ასეთი სოლიდური არ იქნებოდა, რომ არა მეორე ლიდერის „ბრიუგეს" წაფორხილება. **ანდრე კოსტერისთვის** საუბედუროდ, მისმა შეგირდებმა ძალიან გვიან გაიტანეს გოლი, რომელიც შეიძლება მასპინძლებისთვის გამარჯვების მომტანი ყოფილიყო, მაგრამ მანამდე „ბრიუგემ" ერთი გაუშვა და ამიტომაც, მხოლოდ ფრეს დასჯერდა.

ფავორიტის გაუთავებელი შეტევები დამაგვირგვინებელ ფაზაში არ ვარგოდა. ბურთი ან კარს ცდებოდა ან „მეხელენის" მცველებს ხვდებოდა. მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ამ „ღობეს" საპირისპირო კართანაც შეეძლო პრობლემების შექმნა. ამის დამამტკიცებელი აღმოჩნდა **დე სტორმეს** გოლი. მისი დარტყმის შემდეგ ბურთმა სულ რამდენიმე სანტიმეტრით გადაკვეთა კარის ხაზი, საიდანაც ის **დირარმა** გამოაგდო, მაგრამ მსაჯმა სამართლიანად ჩათვალა გოლი და „ბრიუგე" მდევრის როლში აღმოჩნდა.

მაგრამ ეს ცოტა ხანი გაგრძელდა. ერთი გოლი „მეხელენის" კარში მაინც გავიდა, რომელიც **კუემაჰეს** ანგარიშზეა. ამან მასპინძლებს მატჩის მოგებით იმედი მისცა, მაგრამ რამდენიმე შანსის მიუხედავად, ანგარიში აღარ შეცვლილა და „ბრიუგე" უკვე შვიდი ქულით ჩამორჩა „ანდერლეხტს".

ჩემპიონთა ლიგაზე „ალკმაართან" მატჩის გმირი, „სტანდარდის" მეკარე **სინან ბოლატი** ამჯერად ვერაფრით დაეხმარა თავის გუნდს. მან არათუ გადარჩენის გოლი ვერ გაიტანა, საკუთარ კარშიც გაუშვა ბურთი. საბოლოოდ, ლიეჟელებმა სეზონში მეოთხე მარცხი იწვნიეს და როგორც ჩანს, საბოლოოდ უნდა გამოეთხოვონ ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებაზე ფიქრს.

| XVIII ტური | |
|---|---|
| ვესტერლო-ანდერლეხტი | 0:2 |
| ბრიუგე-მეხელენი | 1:1 |
| ბეერსხოტი-შარლერუა | 0:0 |
| მუსკრონი-ლოკერენი | 0:5 |
| სტ. ტრუიდენი-კორტრიიკი | 0:2 |
| სტანდარდი-რუზელარე | 0:1 |
| ვარეგემი-სერკლი | 1:0 |
| გენტი-გენკი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 18 | 14 | 2 | 2 | 35-13 | 44 |
| 2. ბრიუგე | 18 | 11 | 4 | 3 | 33-21 | 37 |
| 3. გენტი | 18 | 10 | 3 | 5 | 35-21 | 33 |
| 4. ბეერსხოტი | 18 | 9 | 5 | 4 | 27-21 | 32 |
| 5. ვარეგემი | 18 | 8 | 5 | 5 | 29-23 | 29 |
| 6. კორტრიიკი | 18 | 7 | 6 | 5 | 21-17 | 27 |
| 7. სტანდარდი | 18 | 6 | 8 | 4 | 27-19 | 26 |
| 8. მუსკრონი | 18 | 6 | 5 | 7 | 22-27 | 23 |
| 9. მეხელენი | 18 | 7 | 1 | 10 | 23-32 | 22 |
| 10. სტ. ტრუიდენი | 18 | 6 | 4 | 8 | 20-25 | 22 |
| 11. ვესტერლო | 18 | 6 | 4 | 8 | 19-26 | 22 |
| 12. გენკი | 18 | 4 | 6 | 8 | 20-23 | 18 |
| 13. სერკლი | 18 | 4 | 5 | 9 | 24-30 | 17 |
| 14. შარლერუა | 18 | 3 | 7 | 8 | 17-30 | 16 |
| 15. ლოკერენი | 18 | 4 | 3 | 11 | 21-27 | 15 |
| 16. რუზელარე | 18 | 3 | 4 | 11 | 21-39 | 13 |

**ბომბარდირები:** 10 - იოვანოვიჩი (სტანდარდი); 9 - ლუკაკუ (ანდერლეხტი); 8 - ტერეო (შარლერუა), ოკვუნვანე (მუსკრონი), ჰარუნი (ბეერსხოტი), სიდიბე (სტ. ტრუიდენი), იანჩუკი (ლოკერენი), შევალიე (ვარეგემი).

შოტლანდია

# სეზონის მატჩი ფირ პარკზე

შოტლანდიის პრემიერლიგაში კვლავ უცვლელია ლიდერთა მდგომარეობა. „რეინჯერსმა" და „სელტიკმა" განსხვავებული მატჩები ჩაატარეს. პირველმა მათგანმა „სენტ ჯონსტონთან" იოლი სამი ქულა აიღო. **უოლტერ სმიტის** გუნდმა პირველივე წუთზე გახსნა ანგარიში - **დამარკუს ბიზლიმ კრის ბოიდს** მისცა პასი და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა შანსი ხელიდან არ გაუშვა.

მასპინძლებს ტემპი არ დაუგდიათ, რასაც სულ მალე მეორე გოლი მოჰყვა **გრემ სმიტის** კარში. „სენტ ჯონსტონის" მეკარემ **ნაჩო ნოვო** წააქცია და პენალტი ბოიდმა გამოიყენა. შესვენების შემდეგ ნოვომ თავად გაიტანა. საბოლოოდ, „რეინჯერსი" სამ გოლზე გაჩერდა.

„მოზერველისა" და „სელტიკის" მატჩი კი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამ სეზონში. „ფირ პარკზე" ნისლმა განსაკუთრებული ელფერი შემატა ამ ბრძოლას. ყველაფერი ძალიან ლამაზი და დრამატული გამოვიდა.

მე-14 წუთზე თითქოსდა ყველაფერი ლოგიკურად მიდიოდა - **სამარასმა** ულამაზესი დარტყმით ზედა კუთხეში შეაგდო ბურთი. მასპინძლებმა თამაში გაათანაბრეს, რასაც ჯერ **იუტკევიჩის**, შემდეგ კი **რეინოლდსის** გოლი მოჰყვა. შესვენებაზე „მოზერველი" წინ იყო - 2:1.

„სელტიკს" მეორე ტაიმში ძალიან სჭირდებოდა სწრაფი გოლი და სტუმრებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება - **მაკგიდიმ** სამარასის პასით გაიტანა. სამაგიეროდ, **ბარი რობსონმა** ვერ შეძლო „სელტიკის" წინ გაყვანა - ნახევარმცველმა პენალტი ააცილა. მატჩის ბოლოს მოედანზე **ფორტუნე** გამოვიდა და მისმა პირველივე შეხებამ ბურთთან ვიცე-ჩემპიონს სამი ქულა მოუტანა.

*„ბრწყინვალე მატჩი, კარგი ფეხბურთი. ფორტუნეს რაც შეეხება, მას ნებისმიერი სიტუაციიდან შეუძლია გოლის გატანა, რაც დაამტკიცა კიდეც",* - განაცხადა „კელტების" დამრიგებელმა **ტონი მაუბრეიმ**.

| XV ტური | |
|---|---|
| მოზერველი-სელტიკი | 2:3 |
| აბერდინი-ჰემილტონი | 1:2 |
| ჰართსი-დანდი იუნ | 0:0 |
| კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 1:1 |
| რეინჯერსი-სტ. ჯონსტონი | 3:0 |
| სტ. მირენი-ფალკირკი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 15 | 10 | 3 | 2 | 33-16 | 33 |
| 2. რეინჯერსი | 14 | 9 | 4 | 1 | 26-9 | 31 |
| 3. ჰიბერნიანი | 15 | 8 | 5 | 2 | 22-10 | 29 |
| 4. დანდი იუნ | 14 | 7 | 6 | 1 | 21-12 | 27 |
| 5. მოზერველი | 15 | 4 | 8 | 3 | 19-19 | 20 |
| 6. აბერდინი | 15 | 4 | 6 | 5 | 12-16 | 18 |
| 7. ჰემილტონი | 15 | 4 | 4 | 7 | 15-24 | 16 |
| 8. ჰართსი | 15 | 3 | 5 | 7 | 13-18 | 14 |
| 9. სტ. მირენი | 15 | 3 | 5 | 7 | 18-24 | 14 |
| 10. სტ. ჯონსტონი | 15 | 3 | 4 | 8 | 20-29 | 13 |
| 11. კილმარნოკი | 15 | 3 | 4 | 8 | 11-20 | 13 |
| 12. ფალკირკი | 15 | 1 | 6 | 8 | 12-25 | 9 |

**ბომბარდირები:** 12 - ბოიდი (რეინჯერსი); 8 - მაკდონალდი (სელტიკი); 7 - იუტკევიჩი (მოზერველი), რაიორდანი (ჰიბერნიანი).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამოხმაურება

# ვენგერი გასახდელში ღრიალებდა



არსენ ვენგერი არც თამაშის დროს იყო მშვიდად

**რაფა ბენიტესმა** მორიგი მწარე გაკვეთილი მიიღო - მისი „ლივერპული" საკუთარ „ენფილდზე" „არსენალთან" პირველი ტაიმის შემდეგ 1:0-ს იგებდა, მაგრამ შესვენების შემდეგ, **არსენ ვენგერის** დამოძღვრილი „მეთოფეები" მოედანზე სხვა ჭკუაზე დაბრუნდნენ და გარდა იმისა, რომ მასპინძლებს ორი გოლი გაუტანეს, თან, რომ იტყვიან, ფეხიც არ გაანძრევინეს. სტატისტიკაც დიდი გუნდისთვის შემზარავ შედეგს გვაცნობს: „წითლებს" თხუთმეტ თამაშში სამად სამი შეხვედრა მოუგიათ. ხოლო, ჩრდილოლონდონელთა გახარებულმა ლიდერმა და კაპიტანმა, **სესკ ფაბრეგასმა** მატჩის შემდეგ ჟურნალისტებს უთხრა:

*„შესვენებისას მწვრთნელმა გვიყვირა. მას პირველ ტაიმში ჩვენი თამაში არ მოეწონა. ასეთი განრისხებული ვენგერი ადრე არასდროს მინახავს. ამბობდა, რომ არც ერთი ჩვენგანი „არსენალის" მაისურით თამაშის ღირსი არ არის და მე თუ მკითხავთ, იმ მომენტში ცამდე მართალი იყო. შესვენებამდე მართლაც არაფრად ვვარგოდით. მეორე ტაიმში კი გაირკვა, რომ ყვირილმა გვიშველა. შესვენების შემდეგ უკვე სულ სხვა ფეხბურთი ვითამაშეთ. ეს გახლდათ საუკეთესო მეორე ტაიმი, რაც ამ სეზონში ჩვენი შესრულებით მინახავს".*

კაპიტანს მცველმა **თომას ვერმალენმაც** აუბა მხარი: *„ასე განრისხებული ვენგერი მეც არასდროს მინახავს, მაგრამ ფაქტია, რომ განრისხებამ შედეგი გამოიღო. ამ გამარჯვების შემდეგ ლიდერებთან ჩამორჩენა ცოტა შევამცირეთ და ვფიქრობ, საჩემპიონო დოლსაც დავუბრუნდით".*

საკუთრივ ვენგერს მაინცდამაინც არ უნდოდა ეთქვა, რა უთხრა ან რა უყვირა ფეხბურთელებს შესვენებისას, თუმცა, მეორე ტაიმში გუნდის გადასხვაფერებით კმაყოფილება ვერ დამალა.

*„არ მიყვარს იმაზე ლაპარაკი, თუ რა ვუთხარი ფეხბურთელებს შესვენებისას, მაგრამ ვფიქრობ, ცამეტწლიანი ნაცნობობის მიუხედავად, „არსენალში" ხალხის გაკვირვება ჯერ კიდევ შემიძლია. საერთოდ, ძალიან იშვიათად ვლიზიანდები. ყოველთვის ვცდილობ თავშეკავებული და პოზიტიური ვიყო და ვფიქრობ, დღესაც პოზიტიური გახლდით".*

საბრალო ბენიტესმა კი ხელები გაასავსავა და აღიარა, რომ მის გუნდს საკუთარი თავის რწმენა აკლია. ჩახედეთ პრემიერლიგის ცხრილს და ნახავთ, რომ მერსისაიდელები ლიდერს 13 ქულით ჩამორჩებიან, ხოლო გასავარდნთა ზონას მხოლოდ ათით აღემატებიან. ესპანელმა სპეციალისტმა პრესკონფერენციაზე განაცხადა:

*„როდესაც თამაშის მსვლელობისას ერთმანეთს პასებს ვაწვდით, ვატყობ, რომ ამას საკუთარი თავის რწმენის გარეშე ვაკეთებთ. აქ ოსტატობის ნაკლებობა არაფერ შუაშია, ოსტატობა ვერსად წავიდოდა. ეტყობა ჩვენ გოლების გატანა და იმის დანახვა გვჭირდება, რომ მეტოქეს ვჯობეთ, თორემ, ყველამ ნახეთ, საკუთარ კარში გატანილი გოლის შემდეგ გუნდი მთლიანად რომ მოიშალა".*

**ილია ბაბუნაშვილი**



...და ვისი ბრალია ეს გოლი?

# ეს არ იყო ბუუუ...ნებრივი

**პეტრ ჩეხი** „სტემფორდ ბრიჯის" იმ ფანებზე გაბრაზდა, შაბათს, „ევერტონთან" შეხვედრაში მისთვის „ბუუ" რომ არ დაიშურეს. შეგახსენებთ, რომ „ლურჯებმა" ლივერპულელ სტუმრებს, მართალია, სამი გოლი გაუტანეს, მაგრამ ამდენივე გაუშვეს და ამ საქმეში ჩეხი უცოდველი არ გახლდათ.

*„ძალიან გამიკვირდა, როდესაც ტრიბუნებიდან „ბუუ" მომესმა. ნეტავ, ამ ხალხს ხომ არ დაავიწყდა, რომ ამ სეზონში, შინ, პირველი ფრე ვითამაშეთ. აქამდე სულ ვიგებდით. გაიხსენეთ, გეთაყვა, ის შეხვედრები, „სტემფორდ ბრიჯზე" რომ ჩავატარეთ. გნებავთ პრემიერლიგის თამაშები მოიგონეთ, გნებავთ ჩემპიონთა ლიგისა და გნებავთ „ქარლინგის თასის". თქვენ ნახავთ, რომ ამ შეხვედრებში გოლი გოლზე გაგვქონდა, გაშვებით კი არ ვუშვებდით. ჰოდა, ამის შემდეგ ფანების განაწყენება ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო. გულახდილად გეტყვით, არ მესმის, რით დავიმსახურეთ ობსტრუქცია",* - განაცხადა დასავლეთლონდონელთა კარის მცველმა.

გუშინ, პრემიერლიგის მეთექვსმეტე ტურის მიმოხილვაში აღვნიშნეთ, რომ „ჩელსის" კარში სამივე გოლი სტანდარტულ მდგომარეობას მოჰყვა, მაგრამ ჩეხი აცხადებს, რომ ეს მარტო მისი ბრალი არ არის:

*„თუ დააკვირდით, მთელი შეხვედრის განმავლობაში ძალიან ბევრი ბურთი დავუთმეთ მოწინააღმდეგეს. ეგრეთ წოდებული, პირველი თავურები სულ მათ წაიღეს. რაც შეეხება სტანდარტულ მდგომარეობებს, როდესაც გუნდი გოლს ჯარიმიდან ან კუთხურიდან უშვებს, ეს პირადად არასდროს არავის ბრალდება. სტანდარტული სიტუაციების დროს პასუხისმგებლობა ყოველთვის კოლექტიურია".*

**ილია ბაბუნაშვილი**

მოსაზრება

# ჯერ ღორის გრიპი, მერე წითელი ბარათი

**„რატომ ერთგულებენ მსაჯები ზოგ წესს ასე პედანტურად, ზოგს კი არა? - კითხულობს წარსულში ცნობილი ინგლისელი მსაჯი გრემ პოლი „დეილი მეილის" ფურცლებიდან, სადაც ყოველი ტურის შემდეგ მოვლენათა მისეულ ანალიზს აქვეყნებს. პედანტური ერთგულების მაგალითი გნებავთ? ინებეთ: საკმარისია, გოლით გახარებულმა მავანმა ფეხბურთელმა მაისურა გაიხადოს, რომ ყვითელი ბარათი გარანტირებული აქვს. კი მაგრამ, ასეთი რა დანაშაულია მაისურის გახდა? ვის რა უშავდება ამით? განა, ყოველდღიურად გაცილებით სერიოზულ დარღვევებს არ ვაწყდებით? მაგალითად, ხელების შლა და ყვირილი, მსაჯთან კამათი, დაბღავლება - ესა თუ ის ჯარიმა რატომ დანიშნეო და ასე შემდეგ. განა ეს ყველაფერი მაისურის გახდაზე მეტად არ უნდა ისჯებოდეს? არადა, ძალიან ხშირად ვხედავთ, რომ მყვირალა და მოკამათე ფეხბურთელები სრულიად დაუსჯელნი გამოდიან სიტუაციიდან.**

*„ბოლო ტურში, ორ სხვადასხვა შეხვედრაში გააფრთხილეს ფეხბურთელი მსაჯთან შეპასუხების გამო და, ბედის ირონიით, ორივეგან მოვლენები ისე განვითარდა, რომ ცოტა ხნის შემდეგ იმავე მოთამაშეებს სხვა მიზეზით კიდევ ერთხელ ამოუღეს ყვითელი ბარათი, რაც ავტომატურად მათ გაძევებას ნიშნავდა, - წერს პოლი, - იმედი მაქვს, ასეთი სიუჟეტი არბიტრებს კამათის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილს არ გაუნელებს. ბოლოს და ბოლოს, როგორც „მანჩესტერ სიტის" მოთამაშის კრეიგ ბელამის, ასევე ვესტჰემელი მარკ ნობლის პირველი გაფრთხილების დროს მსაჯები მართლები იყვნენ. თუმცა, მედალს მეორე მხარეც აქვს - დანარჩენი მსაჯები ფეხბურთელთა პროტესტს ეგუებიან და აყვირებულებს არ სჯიან. არც მე ვყოფილვარ უკეთესი პრემიერლიგაში ნამსაჯი 329 შეხვედრის განმავლობაში. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ვარსკვლავებისთვის ხელების შლის საშუალება უნდა მიმეცა, რადგან ეს სანახაობის ნაწილი მეგონა. თან, ვითვალისწინებდი იმ ზეწოლას, რომელსაც ფეხბურთელები განიცდიან. ერთი სიტყვით, წეს-კანონზე ცოტათი თვალს ვხუჭავდი. ასე რომ, ზემოთ ნახსენები ორი მსაჯის, მარკ კლეტენბერგისა და ლი მეისონის პრინციპულობას პატივს ვცემ და ვამართლებ, მაგრამ, იმავდროულად უნდა აღვნიშნო, რომ კლეტენბერგი შეცდა, როდესაც მანჩესტერელი კრეიგ ბელამი მოედნიდან გააძევა. ზედმეტად მკაცრი გახლდათ ნობლის მიმართ მეისონიც. და მაინც, იმედი მაქვს, რომ ფეხბურთის ასოციაციაში მომუშავე მსაჯთა შეფები ყურადღებას ამ მსაჯების შეცდომებზე კი არ გაამახვილებენ, არამედ იმ ორ ეპიზოდზე, სადაც მათ პრინციპულობა გამოიჩინეს და ფეხბურთელებს შეპასუხების საშუალება არ მისცეს. ვიმედოვნებ, აგრეთვე, რომ ისინი კლეტენბერგისა და მეისონის პრინციპულობას მაგალითად აიღებენ და დანარჩენ მსაჯებს ასეთსავე მიდგომას მოსთხოვენ. დააკვირდით, წესები ყოველ ტურში ირღვევა. მეკარეებს ბურთი ხელში ექვს წამზე მეტხანს უჭირავთ, იცვამენ ისეთ მაისურებს, როგორის ჩაცმაც ეკრძალებათ და პენალტის წინ ხაზზე ნაბიჯებს დგამენ, რაც, წესის თანახმად, კატეგორიულად აკრძალულია".*

ასეთი გახლდათ პრემიერლიგის მეთექვსმეტე ტურის პოლისეული შეფასება, რომელიც „მანჩესტერ სიტის" ვარსკვლავის, **კრეიგ ბელამის** ეპიზოდსაც გადასწვდა. რაკილა ბელამი ვახსენეთ: იცოდით, რომ მან ამ ცოტა ხნის წინ „ღორის გრიპი" მოიხადა? დიახ, ბელამიმ ვირუსი დაამარცხა და ახლა მსაჯებთან აქვს პრობლემები, აი, მისი თანაგუნდელი, **ნაიჯელ დე იონგი** კი ჯერ გრიპს ებრძვის. ისტლენდელთა მწვრთნელმა, **მარკ ჰიუზმა** დე იონგი ორშაბათს ვარჯიშიდან გაათავისუფლა. ჰოლანდიელი ნახევარმცველი არც შაბათს გახლდათ ბოლტონში „სიტისთან" ერთად და სავარაუდოდ, არც ოთხშაბათს ითამაშებს „ტოტენჰემთან".

*„ჯერჯერობით, ჩვენი ამოცანა დანარჩენი ფეხბურთელების ინფექციისგან დაცვა გახლდათ. გვინდა დავრწმუნდეთ, რომ ნაიჯელს გაუარა დაავადების იმ ეტაპმა, რომლის დროსაც ავადმყოფთან კონტაქტი სახიფათოა. თუ ეს ეტაპი უკვე ზურგს უკან არის, მაშინ შეიძლება „სფურზთან" შეხვედრაში ის საქმეშიც ჩავრთოთ",* - განაცხადა ჰიუზმა.

**ილია ბაბუნაშვილი**

ამბები

## მსოფლიოს ჩემპიონატზე მესის თამაში საეჭვოა

**ლიონელ მესიმ** გამოტოვა „ბარსელონას" გუშინდელი ვარჯიში და მისი თამაში ოთხშაბათს საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში, მექსიკურ „ატლანტესთან" ძალზე საეჭვოა. ეს შეხვედრა არაბთა გაერთიანებული საამიროების დედაქალაქ აბუ დაბიში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ „ოქროს ბურთის" მფლობელმა და ამავდროულად „ვორლდ სოკერის" გამოკითხვის გამარჯვებულმა არგენტინელმა კოჭის მეორე ხარისხის ტრავმა კიევში, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის გადამწყვეტ მატჩში მიიღო.

## პეპეს შემცვლელს აღარ იყიდიან

„მარკას" მიხედვით, მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობამ უკვე დაასახელა, თუ ვინ შეცვლის პორტუგალიელ **პეპეს** დაცვის ცენტრში იმ შემთხვევაში, თუკი ან **რაულ ალბიოლი** ან **ეზეკიელ გარაი** მიიღებს ტრავმას. **პელეგრინისა** და კომპანიის არჩევანი საკმაოდ მოულოდნელია - **სერხიო რამოსი.**

ესპანეთის ნაკრების მარჯვენა მცველს დროებით დაცვის ცენტრში მოუწევს შეწევა, თუმცა ეს მისთვის უცხო ნამდვილად არ არის. იყო ლაპარაკი ახალი ცენტრალური მცველის ყიდვაზე, თუმცა საბოლოოდ ფონს გასვლა სერხიო რამოსის უნივერსალიზმის წყალობით გადაწყვიტეს. როცა რამოსი ცენტრში დადგება, მარცხენა ფრთაზე **მარსელო** დაიხევს, ხოლო **ალვარო არბელოა** მარჯვნივ, მის უფრო ბუნებრივ პოზიციაზე გადაინაცვლებს. შეგახსენებთ, რომ პეპემ „ვალენსიასთან" მატჩში მუხლის ჯვარედინი მყესები სერიოზულად დაიზიანა, მისი თამაში სეზონის ბოლომდე გამოირიცხა, დიდი შანსია, ის ვერც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გამომჯობინდეს.

## ჯირაუდო ჩააყუდეს

„იუვენტუსი" ყოფილი დირექტორი **ანტონიო ჯირაუდო** სამი წლით დაიჭირეს. ის 2006 წლის კალჩოპოლის სასამართლო პროცესზე ცნეს ბრალდებულად სპორტულ მაქინაციებში. ნეაპოლის სასამართლოში მბრალდებელმა ჯირაუდოსთვის 5-წლიანი სასჯელი მოითხოვა, თუმცა მოსამართლე **ედუარდო დე გრეგორიომ** ყოფილ დირექტორს თავისუფლების აღკვეთა სამი წლით შეუფარდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის დეპარტამენტში

DEPARTMENT OF SPORT AND YOUTH AFFAIRS OF GEORGIA
www.sport.gov.ge

## მონიტორინგი სრულყოფისთვის

ორგანიზაციულად გამართული, მწყობრი სისტემა საერთო მიზნისკენ სავალ გზას აადვილებს - ეს ყველა დონის ხელმძღვანელმა კარგად იცის. მთავარი კი ორგანიზაციულ საკითხებში მაინც საფინანსო დისციპლინის განმტკიცება და სწორი მენეჯმენტია.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში სერიოზულად შეუდგნენ ამ მხრივ დარგში მუშაობის სრულყოფას. პირველ ეტაპზე დეპარტამენტის სპეციალურმა ჯგუფმა დახმარების გაწევისა და სიახლეების დასანერგად საფუძვლების შესწავლის მიზნით მონიტორინგი განახორციელა ეროვნულ სპორტულ ფედერაციებში. მთავარი მოთხოვნა იყო ფედერაციების საწესდებო დოკუმენტების, რეგისტრაციის, საქმის წარმოების, ოფისების მუშაობის, საფინანსო დოკუმენტაციის, საბიუჯეტო დავალიანებების, ბანკებთან ურთიერთობის მდგომარეობის და ა.შ საკითხების შესწავლა.

რეალური სურათი საშუალებას მისცემს დეპარტამენტს, მომავალი საბიუჯეტო წლისთვის გაითვალისწინოს თავჩენილი ხარვეზები ფედერაციებთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებისას. ამასთან, ფედერაციებს წინადადებებისა და შენიშვნებისთვის გადაეცათ დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანების პროექტი „საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაციებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის, ანგარიშგებისა და ამ თანხების მიზნობრივად გამოყენებაზე მონიტორინგის დებულების დამტკიცების თაობაზე".

**თენგიზ თომაშვილი**

კრივი

## დღეიდან ახალქალაქში...

დღეს საქართველოს თასის ყველა მონაწილე ახალქალაქში შეიკრიბება, დღესვე გაიმართება წილისყრა და ხვალიდან ბრძოლები დაიწყება. ამ ტურნირის მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მასში ყველა საუკეთესო ქართველი მოკრივე მიიღებს მონაწილეობას. გამონაკლისები არიან **კახაბერ ჟვანია** და **ნიკოლოზ იზორია**. საამისოდ ორივეს საპატიო მიზეზი აქვს – ჟვანიამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ხელი დაიზიანა, იზორია კი ახალნაოპერაციებია და სარეაბილიტაციო პერიოდს გადის.

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის **რამაზ ფალიანის** თქმით, საქართველოს თასის შედეგები გადამწყვეტი იქნება ნაკრების დაკომპლექტების საქმეში.

საქართველოს თასისთვის დიდი მონდომებით ემზადება **კობა ფხაკაძეც**, რომელმაც სექტემბერში მილანში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. *"თითოეული ჩვენგანი კარგად აცნობიერებს საქართველოს თასის მნიშვნელობას. ნაკრებში დასამკვიდრებლად ჯანსაღი კონკურენციაა და ამიტომაც გულშემატკივრები მაღალი დონის კრივს იხილავენ. საკუთარი ფორმით უკმაყოფილო არ ვარ და მინდა, ბრძოლით დავამტკიცო, რომ ნაკრებში ყოფნის ღირსი ვარ"*, - გვითხრა ფხაკაძემ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ძიუდო

# ყლულგჯხილი...

ძიუდოისტთა საქართველოს წლევანდელი პირველობა ალბათ გარდამტეხი მნიშვნელობისა აღმოჩნდება და მნიშვნელოვან საკადრო ცვლილებებსაც დაუდებს სათავეს. ამის უმთავრესი წინა პირობა ნაკრების ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებებია, რადგან ყველა მწვრთნელი საკუთარი შეხედულებებით აფასებს ამა თუ იმ სპორტსმენს, მაგრამ უმთავრესი ფაქტორი მაინც თაობათა ცვლა გვგონია - ქუთაისურ ტატამზე ცხადად გამოჩნდა, რომ ახალი თაობა წარმატებით ავიწროებს ძველებს და დამსახურებულად იკავებს ლიდერის ადგილს. ამ ჩემპიონატმა ახალი სახეების წარმოჩენაზე მეტად უფრო იმით დაგვამახსოვრა თავი, რომ ახლებურად, ახალი შემართებით წარმოჩნდნენ ის პერსპექტიული ბიჭები, რომლებიც წლების განმავლობაში ვერ ახერხებდნენ გაცემული ავანსების რეალიზებას - **ბეთქილ შუკვანი, დავით ასუმბანი** (60), **მინდია ხომიზური, ხვიჩა ხუციშვილი** (66), **დავით კობერიძე** (73), **დავით კარბელაშვილი** (81), **საბა გავაშელიშვილი** (90), **ნოდარ მეტრეველი** (100). თავის დროზე ყველა მათგანზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე რეალიზება დღემდე ვერც ერთმა შეძლო. სიმართლე რომ ვთქვათ, მათ უმეტესობას ახალი არც ამჯერად შემოუთავაზებია რამე - ზოგმა გაიმარჯვა კიდეც, ზოგი სხვა სინჯის მედალს დაეუფლა, მაგრამ ძირითადად ისევ ის ძველი ფალავანი, ძველი დონე ვიხილეთ, თუმცა რამდენიმემ მკვეთრი პროგრესიც გვაჩვენა - ასუმბანი, ხომიზური, გავაშელიშვილი, **დავით ლორიაშვილი** (100)... ამჯერად ისინი ბევრად უკეთ გამოიყურებოდნენ, ვიდრე ბოლო წლებში.

ცალკე ჯგუფად გამოვყოფ იმათ, რომლებსაც ახალბედები აღარ ეთქმით და არც განსაკუთრებული სიახლე შემოუთავაზებიათ - ბოლო წლებშიც სტაბილურად ტრიალებენ მედლის ზონაში და ახლაც ასე მოხდა: **ამირან პაპინაშვილი** (60), **შალვა ქარდავა** (66), **ამბაკო ავალიანი** (73), **ლევან წიკლაური, უჩა ხუციშვილი** (81), **მინდია ბოდაველი** (90), **რევაზ ჩიკოიძე** (100)...

ცხადია, გამოჩნდნენ ახალი სახეებიც, თუმცა მათ უმეტესობას ასე თუ ისე ვიცნობთ სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებიდან, სრულიად უცნობი კი 73-ის გორელი ვიცე-ჩემპიონ **ანზორ ხმიადაშვილს** ეთქმის. საერთოდ, ახალბედები ყველაზე მეტად ამ წონამ წარმოაჩინა - **ზურაბ დილებაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი, ზვიად ბაზანდარაშვილი**... სხვათაგან **პაატა მერებაშვილს, შმაგი ლაგაზაურს, ლაშა შავდათუაშვილს** (60), **გიორგი შოშიაშვილს** (66), **იოსებ წელაურს, დავით ჭაბუკაშვილს** (81), **გიორგი ცოციაშვილს, ლაშა გურულს** (90), **გიგა გუბელაძეს და სლავა რეზესიძეს** (+100) გამოვარჩევთ. ამათგან ზოგიერთს ახალგაზრდაც აღარ ეთქმის, მაგრამ პირველ სერიოზულ წარმატებას ახლა მიაღწიეს, ზოგი კი მედალოსანიც ვერ გახდა, მაგრამ მთელ რიგ შეხვედრაში დამაიმედებელი მომენტები დაგვანახეს.

ამჯერად საგანგებოდ არ შევჩერდები ბოლო წლებში ეროვნულ ნაკრებთან გაიგივებულთა ჯგუფზე: **ნესტორ ხერგიანი** (60), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ზურაბ ზვიადაური, ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი** (+100) - მათგან წარუმატებლობა უფრო გასაკვირი იყო, ვიდრე - წარმატება. აქ მხოლოდ იმაზე თუ შეიძლება კამათი, რატომ ვერ გამოვიდა ზოგიერთი მათგანი უფრო უკეთ, ვის შეეძლო უკეთესად ჭიდაობა და რატომ ვერ იჭიდავა... ამათგან საგანგებოდ ერთზე შევჩერდებით - ოლიმპიურ ჩემპიონ **ზურაბ ზვიადაურზე**, რომლისადმი ინტერესი საქართველოში ოდნავადაც არ განელებულა. ოთხწლიანი ტრავმული პერიოდისა და მრავალჯერადი ოპერაციების შემდეგ, როგორც იქნა, დაუბრუნდა ტატამს, თუმცა შორსაა ადრინდელი ზვიადაურისგან. ეს არცაა გასაკვირი - ამდენი ტანჯვა-უქმობა აუცილებლად დაასვამდა დაღს, მაგრამ გულმოდგინე ვარჯიშით ისევ შეუძლია დიდი გამარჯვებების მოპოვება.

მის გამოსვლაში ერთსაც გამოვარჩევ - როცა ფინალი წააგო **ლორიაშვილთან**, იქვე ხომ ალალად მიულოცა, დაჯილდოების მერეც დიდხანს ელაპარაკებოდა ხელიხელგადახვეული. მათი საუბარი არ

> წარუმატებლობა უფრო გასაკვირი იყო, ვიდრე - წარმატება. მხოლოდ იმაზე თუ შეიძლება კამათი, რატომ ვერ გამოვიდა ზოგიერთი მათგანი უფრო უკეთ, ვის შეეძლო უკეთესად ჭიდაობა და რატომ ვერ იჭიდავა...

მესმოდა, მაგრამ მომეჩვენა, არიგებდა ახალგაზრდა კონკურენტს. ზვიადაური ზუსტად ასე მოიქცა 2006 წელსაც, როცა ლორიაშვილთან პირველად დამარცხდა საქართველოს ჩემპიონატზე.

ჩემპიონატის მოულოდნელობებზე მსჯელობისას ორი ჩემპიონი უნდა გამოვყოთ - გავაშელიშვილი და ლორიაშვილი. ოღონდ აქაც ერთი განსხვავებაა - ლორიაშვილი ბოლო წლებში შეუპოვრად მიიწევდა ლიდერის ტახტისკენ და მისგან გამარჯვებას კიდეც ველოდით. უბრალოდ, ახლა ადრინდელზე ბევრად ძლიერად იჭიდავა, ადრინდელთან შედარებით წინსვლა ეტყობოდა და მოულოდნელი სწორედ ასეთ დონეზე ჭიდაობა აღმოჩნდა, გავაშელიშვილისგან კი ასეთი პროგრესი მისი ბოლოდროინდელი ჩავარდნის ფონზე სრული მოულოდნელობა იყო. 2002 წელს ის ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი გახდა და სპეციალისტებიც აალაპარაკა. იმავე სეზონში მის გამოსვლას თბილისში, ქართული ჭიდაობის ტურნირზე ვუყურე და, მართალია, ეს ძიუდოსგან განსხვავებული სახეობაა, მაგრამ ამ ბიჭის ნიჭში დასარწმუნებლად საკმარისი იყო - ეტყობოდა, ჭიდაობა ესმოდა. მომდევნო სეზონში მან ევროპის ბავშვთა ოლიმპიადაზე ბრინჯაო მოიპოვა, მის გამოსვლას იქაც ვესწრებოდი და მაშინაც კმაყოფილი დავრჩი. აი, ამის შემდეგ იყო გარკვეული წარმატებები - მესამე ადგილი ევროპის 23-წლიანთა პირველობაზე, მედლები მსოფლიოს თასებიდან, მაგრამ ეს მაინც არ იყო მისი ნიჭის სრული რეალიზება, ქუთაისში კი ზუსტად ის მოჭიდავე ვიხილეთ, როგორსაც მისგან ველოდით. ერთხელ ვიტყვი, რომ ყველაზე ძნელი ბადე მას ერგო - **ზვიად გოგოჭური, გრიგოლ მამრიკიშვილი**, ლიპარტელიანი, ბოდაველი, ცოციაშვილი... ამათგან ერთიც კი უძნელესი მეტოქეა ნებისმიერისთვის, არათუ ყველა ერთად. მან კი ხუთივე ორთაბრძოლა წმინდად მოიგო. თან იყო შებოჭვაც, გდებაც, ბრუნიც, დგომიც, ჩოქბჯენიც... ბოდაველს და ლიპარტელიანს ვაზარი გაუქვითა... ეს ყველაფერი კი მისი ჩინებული გამოსვლის დასტურია. სამომავლოდ ბევრ რამეს ის განსაზღვრავს, რამდენად კარგად ივარჯიშებს, მაგრამ რაც ქუთაისში ვნახეთ, გავაშელიშვილს ამ წონის ლიდერად ქცევა უცხოეთშიც თავისუფლად შეუძლია, თუმცა იქამდე ჯერ შიდაკონკურენციაა დასაძლევი. საკითხავია, წონის შეცვლა თუ ასე შველოდა, აქამდეც რატომ აყურყუტეს 81-ში?!

რაც უნდა ვილაპარაკოთ ლორიაშვილის ძალისმიერ სტილზე და რაც უნდა ვუყოყინოთ ტექნიკური არსენალის სიმწირეზე, ფაქტია - მან ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო და ამ წონის ღირსეული ლიდერია. იქნებ ის მართლაც არაა ტექნიკური სტილის მოჭიდავე, მაგრამ, რაც იცის - უმაღლეს დონეზე! ამიტომაა ძლიერი, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ტექნიკასთან საერთოდ მწყრალადაა - არც ისე იშვიათად გდებებსაც აკეთებს. იქნებ დახვეწილ ფანდებს ვერა და ფონს მაინც ძალით გადის, მაგრამ გდებებს მაინც ასრულებს და ამიტომ მისი ჭიდაობა სხვა „ძალოვანებივით" მოსაწყენი არაა. ძალისმიერთაგან ისიც განასხვავებს, რომ მოძრაობს, სწრაფია, არ ჩერდება, მთელი შეხვედრა უტევს, ეტყობა ჟინი და შემართება... ამ თვისებებით და ამ ძალით ის უცხოეთშიც ბევრს გაამწარებს. ახლაც ამით მოიგო, თორემ ორი თუ სამი კვირის წინ მენისკის ოპერაცია გაიკეთა, ვარჯიში სულ ათი დღის განახლებული ჰქონდა და ჩემპიონატიდანაც გათავისუფლებული იყო. საბოლოოდ ისევ მან დაიჟინა ჭიდაობა, რასაც უმეტესობა არ იზამდა. მოდი და ამის შემდეგ თქვი, რომ მასზე წარმატება ალალი არ არის!

როგორც ინტერნეტფორუმებიდან თუ პირადი საუბრებიდან ვატყობ, ლიპარტელიანის წაგებამ ქომაგების შიში გამოიწვია - ხომ არ შეეყარა ვარსკვლავური სენი და ხომ არ დამთავრდა მისი კარიერა? ვფიქრობ, ერთი წაგებისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ, რადგან მას ურიგოდ არ უჭიდავია - წაგებული შეხვედრის გარდა, ყველა წმინდად მოიგო. თან ერთი ვაზარი გავაშელიშვილსაც გაუკეთა, რაც მისი იმდღევანდელი გამოსვლიდან გამომდინარე, არ იყო იოლი. „ლიპომ" ის შეხვედრაც უფრო გამოუცდელობით და ახალგაზრდული, მჩქეფარე სისხლით წააგო - ვაზარიუკოთი დაწინაურების შემდეგ ნებისმიერი გამოცდილი, შეჯიბრებებით დადინჯებული ფალავანი ტაქტიკურ ჭიდაობაზე გადავიდოდა და არ გარისკავდა, ამან კი პირვანდელი შემართებით გააგრძელა შეტევა, თითქოს იმ ანგარიშით თვითონ აგებდა. შესაძლოა, გავლენა იმ არეულობამაც მოახდინა, რამაც ისინი სხვადასხვა ბანაკში მოახვედრა. ასე იყო თუ ისე, ლიპარტელიანმა გააგრძელა მისთვის ჩვეული ავანტიურისტული, ანუ უკანმოუხედავი შეტევა, რასაც გავაშელიშვილის კონტრილეთი მოჰყვა.

ვერც იმას ვიტყვი, რომ ლიპარტელიანს ვარსკვლავური სენი შეეყარა, თუმცა, შესაძლოა, ცოტა გადამეტებული თავდაჯერება კი იყოს. თუ ადრე შეხვედრის წინ სახეზე ეწერა „ამას მოვუგებ", ახლა მის სახეზე რაღაც ამგვარი იკითხება - „ამას ხომ მოვუგებ"! ამიტომ მგონია, რომ ეს წაგებები მასზე კარგად იმოქმედებს - ის მიხვდა, რომ იოლად ვერავის მოუგებს; რომ მოსაგებად მხოლოდ ბუნებრივი მონაცემები და შეტევა არ კმარა. ამბობენ, ჭკვიანი სხვის შეცდომებზე სწავლობს, ბრიყვი - საკუთარზეც ვერაო... გვჯერა, ის საკუთარ შეცდომებზეც ისწავლის და სხვისაზეც. კიდევ ვიმეორებ - ამ წონაში ნამდვილი ბრძოლა თბილისის ტურნირზე გაჩაღდება, თუმცა გავაშელიშვილმა თუ ასე გააგრძელა, მისი დამარცხება არ იქნება იოლი.

ჩემპიონატის წინ ნაკრების ახალი თავკაცი **ამირან ტოტიკაშვილი** ამბობდა, ვინც ქვეყნის ჩემპიონატში არ იჭიდავებს, ვერც ნაკრებში მოხვდებაო. ასეთი პრინციპულობისა იმთავითვე არ გვჯეროდა, თუმცა, იქნებ, არც ის ფალავნები გვემეტებოდნენ ნაკრებიდან ამოსაგდებად, რომლებიც ჩემპიონატს ტოვებდნენ - **დავით ქევხიშვილი** (73) და განსაკუთრებით მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** (100), თუმცა მოგვიანებით ამათ ევროპის სამგზის ჩემპიონი **ზაზა კედელაშვილიც** (66) დაემატა. ტოტიკაშვილის მდგომარეობა ბრმად ჩატარებულმა წილისყრამ კიდევ უფრო დაამძიმა. კენჭისყრა ცალკე საუბრის თემაა - ძალიან კარგია, რეგიონები მაინც რომ განთესეს, მაგრამ გუნდების პირველი ნომრების დაცალკევებაც რომ მომხდარიყო, მთლად უკეთესი. საქმე იმანაც არია, რომ ბევრმა საკუთარი რეგიონის პირველობაზე არ იჭიდავა და ჩემპიონატში სხვა რეგიონის სახელით გამოვიდა. მაგალითად, დედოფლისწყაროელი გავაშელიშვილი გურიის სახელით ჭიდაობდა, კასპელი პაპინაშვილი და თბილისელი ლიპარტელიანი - აჭარის და ასე შემდეგ... თუმცა ტოტიკაშვილს საფიქრალი არა მხოლოდ განუთესავად ჩატარებულმა წილისყრამ მოუმატა. მაგალითად, წაგების მიუხედავად, არა გვგონია, **ლაშა გუჯეჯიანზე** ასე ერთბაშად თქვას უარი, რადგან აქ ამდენი ფუფუნების საშუალება არ არის. თუმცა ამ წაგებაში წილისყრა სულაც არაა დამნაშავე - პირიქით, ბედმა მას ყველაზე მეტად გაუღიმა, რადგან წონის ლიდერები ბადის ზედა ნახევარში ერთმანეთს დაერივნენ, მაგრამ ის ძალიანაა გასუქებული – გინდ, დაიჯერეთ, გინდ, არა და 150 კილოგრამზე მეტია. მან თუ დაიკლო და კარგად ივარჯიშა, აუცილებლად ჩაერევა ლიდერთა დავაში. ამ მარცხში დიდი როლი ფეხის ტრავმამაც ითამაშა - გუბელაძესთან იტკინა და ტატამზე კოჭლობდა. ტოტიკაშვილი ხელაღებით უარს ვერც იმ სამეულზე იტყვის, რომლებმაც ეს ჩემპიონატი გამოტოვეს. მით უფრო, 73-სა და 81-ში საკადრო პრობლემები აშკარაა. არადა, მოგეხსენებათ, კედელაშვილიც და ქევხიშვილიც ზედა წონებში აპირებენ გადანაცვლებას. 73-ში ხუთეულში სულ ახალგაზრდები შევიდნენ, მათ კი ჯერ საგრძნობლად გაუჭირდებათ უცხოეთში... სადღეისოდ ისინი ვერც კედელაშვილს გაუწევენ ღირსეულ კონკურენციას.

რთულადაა საქმე 81-შიც, სადაც წელაურის შანსებზე ვერაფერს გეტყვით. არადა, ის კარგი ჭიდაობით რამდენიმე წლის წინ დამამახსოვრდა საქართველოს ჩემპიონატიდან, მერე ქართული ჭიდაობის ტურნირებშიც მინახავს, მაგრამ აქამდე ვერაფერს მიაღწია. ფინალამდე ძლიერი მეტოქეები არც ახლა შეხვედრიან, იქ კი ევროპის პრიზიორი წიკლაური ხელის ტრავმით ჭიდაობდა. თვითონ წიკლაურის გამოსვლაც უკეთესის სურვილს ტოვებს. იგი სამბისტია, საიდანაც თავი ჟინიანი, შემტევი ჭიდაობით დაგვამახსოვრა, მაგრამ, ვგონებთ., ახლა გადაჭარბებულ სიფრთხილეს იჩენს. შესაძლოა, ახლა უფრო ბევრს დაკარგავს და იმიტომ. მიგვაჩნია, რომ აქ ქევხიშვილის ჩარევა კონკურენციას გაამძაფრებს.

მოკლედ, იმის მიუხედავად, რომ ტურნირზე ტალანტების ცვენა არ ყოფილა, მაინც მნიშვნელოვანი გამოდგა და ძალიან ბევრი რამ დაგვანახა, საბედნიეროდ - უფრო დადებითი. აი, უარყოფითი უფრო წესრიგის თვალსაზრისით გამოვლინდა. სამწუხაროდ, მთავარ მსაჯად სლოვაკი **მარიან ჰეპკას** ჩამოყვანამ აყალმაყალი ბოლომდე ვერ აღმოფხვრა და აქა-იქ უსიამოვნო ინციდენტებიც მოხდა. ამჯერად სპორტსმენებს ერთმანეთში არ უჩხუბიათ, მაგრამ აგინეს მსაჯებს. მათ შორის - მანდილოსანსაც და თვით ჰეპკასაც. საბედნიეროდ, ძიუდოს ფედერაცია ამ ფაქტებზე მკაცრ რეაგირებას აპირებს, რასაც მხოლოდ მივესალმებით. თვალში საცემია, რომ ამ დარღვევებს ძირითადად ერთი და იგივე ფალავნები სჩადიან, ამას კი იმიტომ ბედავენ, რომ აქამდე არ დასჯილან. დაუსჯელობა რომ ახალი დანაშაულს იწვევს, საყოველთაოდ ცნობილი სენტენციაა, დასჯა კი, არათუ მათ, არამედ ახალგაზრდებსაც ჩაუხშობს ჩხუბის სურვილს. დასჯილთა შორის ზემოთ დასახელებული რამდენიმე ახალგაზრდაც მოხვდება, მაგრამ არა უშავს - „შიში შეიქმს" წესრიგისადმი სიყვარულს.

> მთავარ მსაჯად სლოვაკი მარიან ჰეპკას ჩამოყვანამ აყალმაყალი ბოლომდე ვერ აღმოფხვრა და აქა-იქ უსიამოვნო ინციდენტებიც მოხდა. ამჯერად სპორტსმენებს ერთმანეთში არ უჩხუბიათ, მაგრამ აგინეს მსაჯებს. მათ შორის - მანდილოსანსაც და თვით ჰეპკასაც.

**ირაკლი თავაძე**

კალათბურთი

საქართველოს ნაკრები

# 2 აგვისტოს ვიწყებთ



## რუსეთიც აგვცდა და გერმანიაც

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის წილისყრა დღეს გაიმართება. აქამდე საკალათბურთო მსოფლიო ელოდა ფიბა-ს ვერდიქტს, რომელსაც უნდა გაერკვია, ვინ მიიღებდა თურქეთში გასამართი მუნდიალის ველურ ბარათებს. მათი განაწილება ქართველებსაც ძალიან გვაინტერესებდა, რადგან სწორედ „უაილდ ქარდების" გაცემის შემდეგ უნდა გარკვეულიყო, საქართველოს ნაკრებთან ერთად A დივიზიონში რამდენი ნაკრები ითამაშებდა.

ველური ბარათები მიიღეს რუსეთმა, ლიტვამ, გერმანიამ და ლიბანმა. აზიელი "კედრები" ნაკლებად გვაინტერესებს, ხოლო სამი ევროპული გუნდის ველური ბარათით დაჯილდოება იმას ნიშნავდა, რომ A დივიზიონში 15 ნაკრები რჩებოდა. ლიტვა 2011 წლის ევრობასკეტის მასპინძელია და 2011 წლის შესარჩევს ისედაც ტოვებს.

ახლა ჩამოგითვლით A ლიგაში დარჩენილ თხუთმეტ ნაკრებს. ოღონდ მათ სამეულებად დავყოფთ, რადგან ფიბა-ევროპა მათ კალათებში სამ-სამად გაანაწილებს (ბოლო ორი წლის შედეგების მიხედვით).

პირველი კალათი: **მაკედონია, პოლონეთი, ბრიტანეთი.**

მეორე კალათი: **ისრაელი, ბულგარეთი, ლატვია.**

მესამე კალათი: **ბელგია, ბოსნია, ფინეთი.**

მეოთხე კალათი: **იტალია, პორტუგალია, უნგრეთი.**

მეხუთე კალათი: **უკრაინა, ჩერნოგორია, საქართველო.**

სავარაუდო და სასურველ მეტოქეებზე ახლო მომავალში ამომწურავად გესაუბრებით, ახლა კი სიახლეებზე...

ეს თხუთმეტეული სამ-სამად იმიტომ დავყავით, რომ შესარჩევ ეტაპზე სამ-სამი ხუთგუნდიანი ჯგუფი შეიქმნება.

მათგან პირველადგილოსნები და ორი საუკეთესო მეორეადგილოსანი ავტომატურად მოიპოვებენ ევროპის ჩემპიონატის საგზურს, ხოლო ჯგუფებში ნაჩვენები შედეგების მიხედვით მეექვსე-მეთერთმეტეები (ექვსი) 2011 წელს დამატებით შესარჩევ ტურნირში ერთი საგზურისთვის იბრძოლებენ.

გვრჩება ოთხი გუნდი, სამი ბოლოადგილოსანი და უარესი მაჩვენებლის მქონე მეოთხეადგილოსანი. ისინი 2011 წელს A დივიზიონში დარჩენისთვის ოთხგუნდიან ჯგუფში ითამაშებენ. ლიგიდან 2 ვარდება.

გუშინ დავუკავშირდით კალათბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **მერაბ რატიშვილს**, რომელიც 2010 წლის შესარჩევი ტურნირის გამართვის ვადებზე გვესაუბრა.

- დღეს შევიტყვე სანაკრებო მატჩების ჩატარების ზუსტი თარიღები. შესარჩევი ეტაპი 2 აგვისტოს დაიწყება და 28 აგვისტოს დასრულდება. ამ დროში 8 მატჩი უნდა ჩავატაროთ. რადგან თითოეულ ჯგუფში ხუთ-ხუთი გუნდია, ყოველ ტურში თითო ისვენებს. საქართველოს ნაკრებსაც კვირაში ორი მატჩის გამართვა მოუწევს. მხოლოდ ერთ კვირას დაისვენებს - ორის ნაცვლად ერთ თამაშს ჩაატარებს.

ისღა დაგვრჩენია, წილისყრას დაველოდოთ, რომელიც 16 იანვარს გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



გიორგი შერმადინი

## ეული

სეზონის დასაწყისში საბერძნეთის ჩემპიონატში სამი ქართველი კალათბურთელი ჩაერთო. მათ ურთიერთშეხვედრებსაც მოუთმენლად ველოდით, მაგრამ ჯერ **ნიკა ცქიტიშვილი** გაიქცა „პანიონიოსიდან" ესპანურ „ფუენლაბრადაში", შემდეგ კი **გიორგი ცინცაძემ** დატოვა „ტრიკალა" და უკრაინულ „დონეცკს" მიაშურა.

პანათინაიკოსელი **გიორგი შერმადინი** ეულად დარჩა. „კავალასთან" მატჩში მან კინკილა ქულა ჩააგდო, 1 ქულას თითო მოხსნა - პასი მიამატა. და ექვსწუთნახევარში 4 ფოლი მიიღო.

სატურნირო ცხრილში „ტრიკალა" და „პანიონიოსი"... თუმცა, ეს გუნდები ახლა ისევე გვაინტერესებს, როგორც ბანგლადეშური „მუჰარაქი". რაც შეეხება „პანათინაიკოსს", "მწვანეები" მეორე ადგილზე არიან (6 მოგება, 1 წაგება), მხოლოდ წაუგებელ „ოლიმპიაკოსს" ჩამორჩებიან.

„პანათინაიკოსი" 17 დეკემბერს ათენში, ევროლიგის მატჩში მადრიდის „რეალს" „შეხვდება".

**ვაჟა სიმონიშვილი**

ადრიატიკა

## 7 და 4

ადრიატიკის თასზე წარმატებით ასპარეზობს **ვლადიმერ ბოისას** „ზადარი".' ხორვატულმა კლუბმა სერბეთის „ცრვენა ზვეზდას" უმასპინძლა და 89:83 დაამარცხა. ბოისას ოთხმა თანაგუნდელმა 10-10 ქულა ჩაიწერა, „ზადარის" ბომბარდირი კი **პერიჩი** გახდა (15 ქულა). ქართველ ფორვარდს 10 ქულამდე 2 დააკლდა: 8 ქულა (7-დან 4 ორქულიანი), 2 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა. ვოვამ 39-ე წუთზე მიღებული მეხუთე ფოლის გამო დასკვნით მონაკვეთს სათადარიგოთა სკამიდან მიადევნა თვალი. თუმცა, სირენამდე წუთით ადრე „ზადარს" საქმე მოთავებული ჰქონდა - 82:71-ს იგებდა...

ხორვატებს სადღეისოდ იმდენი მოგება აქვთ, რამდენიც ბოისამ ორქულიანი ისროლა - 7, ხოლო წაგებათა რაოდენობა ვოვას მიერ ჩაგდებული ორქულიანების რაოდენობას ემთხვევა - 4. ამ მაჩვენებლით „ზადარი" სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილზეა.

ზადარელები ადრიატიკის თასზე მორიგ მატჩს 19 დეკემბერს გამართავენ, თანამემამულე „ზაგრებს" ესტუმრებიან. მოგების შემთხვევაში ბოისას გუნდი მეტოქეს მესამე ადგილს წაართმევს.

**ვაჟა სიმონიშვილი**





ვლადიმერ ბოისა

## მიტელდოიჩერმა მოუკლო...

„მიტელდოიჩერმა" სეზონის დასაწყისში აკრეფილი სიჩქარე ვერ შეინარჩუნა. **ლაშა გამყრელიძის** თანაგუნდელებმა წაგებებს მოუხშირეს და სადღეისოდ გერმანიის ბუნდესლიგაში მეათე ადგილზე არიან (7 გამარჯვება, 6 მარცხი).

პლეი ოფში რვა გუნდი გადის. ბოლო ტურში „მიტელდოიჩერი" „პადერბორნს" ეწვია და 70:75 დათმო. მატჩის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა.

ლაშა გამყრელიძე სასტარტო ხუთეულში იყო და პირველ პერიოდში 4 ქულა ჩააგდო. დარჩენილ დროში მან ქულათა მონაგარი ველარ შეავსო, სამაგიეროდ, 5 პასი და თითო ჩაჭრა-მოხსნა მიითვალა.

„მიტელდოიჩერი" 19 დეკემბერს „ოლდენბურგს" უმასპინძლებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ქართველი NBA-ში

## ატლანტამ ნიუ ჯერსისთან წაიგვარჯიშა

ტორონტოდან დაბრუნებულმა **ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა ჰოქსმა" „ნიუ ჯერსისთან" წაივარჯიშა. ჯორჯიელებს მანამდე 22-დან 16 მატჩი ჰქონდათ მოგებული და მხოლოდ 2 გამარჯვების (21 შეხვედრიდან) პატრონ „ჯერსისთან" შინ რომ არ დამარცხდებოდნენ, წინასწარვე ცხადი იყო.

ასეც მოხდა, „ატლანტამ" მეორე პერიოდის ბოლოდან მოპოვებული მცირე უპირატესობა თანდათან გაზარდა და საფინალო სირენამ „ჰოქსის" 130:107 გამარჯვება დააფიქსირა.

ზაზა ფაჩულიამ, როგორც ყოველთვის, იბრძოლა, 8-დან ოთხი მოხსნა მეტოქის ფარზე მოიპოვა. საინტერესოა, რომ მეორე და მესამე პერიოდებში სირენამდე 4 წამით ადრე ტაბლოზე ანგარიში ზაზამ შეცვალა.

ქართველი ცენტრი „ჯერსისთან" ისეთი შედეგიანი ვერ იყო, როგორც ტორონტოში: 6-დან 3 საჯარიმო, 5-დან 2 ორქულიანი ჩააგდო და 7 ქულას 8 მოხსნა მიამატა.

მასპინძელთა ბომბარდირი სათადარიგო **მო ევანსი** გახდა - 22 ქულა ჩააგდო.

სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში „ატლანტა" „ორლანდოს" დაეწია. ორივეს 17 მოგება და 6 წაგება აქვს.

16 დეკემბერს „ჰოქსი" „მემფისს" მიიღებს.

| ატლანტა–ნიუ ჯერსი | 130:107 |
|---|---|
| ზაზა ფაჩულია: 19 წუთი, 7 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი, 1 ფოლი, 1 შეცდომა | |
| **I პერიოდი** | |
| 08:21 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 06:09 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 06:09 | ორქულიანი: 2ქ (18:19) |
| 04:34 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 04:10 | საჯარიმოები: 2/0 |
| 00:47 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 00:07 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| **II პერიოდი** | |
| 10:38 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| 01:04 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 00:08 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 00:04 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 00:04 | საჯარიმოები: 2/2 (4ქ, 62:50) |
| **III პერიოდი** | |
| 03:33 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 02:55 | მოხსნა: შეტ-3, დაც-2 |
| 02:52 | პასი: 1 (ჯონსონი 3ქ, 94:74) |
| 02:05 | მოხსნა: შეტ-3, დაც-3 |
| 01:51 | საჯარიმოები: 2/1 (5ქ, 97:74) |
| 01:11 | შეცდომა: 1 |
| 00:04 | ორქულიანი: 7ქ (101:82) |
| **IV პერიოდი** | |
| 11:47 | მოხსნა: შეტ-4, დაც-3 |
| 11:38 | ფოლი: 1 |
| 09:06 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:52 | მოხსნა: შეტ-4, დაც-4 |
| 07:38 | ზაზა მორისმა შეცვალა |

**ვაჟა სიმონიშვილი**



ჩოგბურთი

## წვიმა დუბაიში

გუშინ გამოქვეყნებულ რეიტინგლისტში ქართველთათვის მინიმალური ცვლილებებია. ბუნებრივია, ეს ტურნირების ნაკლებობითაა გამოწვეული. გაეცანით ქართველთა დღევანდელ მდგომარეობას: 176 (-) **ანა ტატიშვილი** - 328 ქულა; 180 (-) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 320; 206 (-1) **მაკა ჩახნაშვილი** - 258; 353 (+1) **სოფიო შაფათავა** - 109; 432 (-1) . **სოფიო ქვაცაბაია** - 80; 477 (+1) **მანანა შაფაქიძე** - 66; 485 (-) **თათია მიქაძე** - 63; 537 (+3) **ეკა გორგოძე** - 50; 1019 (+1) **მაგდა ოქრუაშვილი** - 6; 1077 (-) **ია ჯიქია** - 4. ვაჟთა რეიტინგში **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 48 ქულით 558-ე (-1) პოზიციაზეა.

ამათგან მხოლოდ ოქსანა კალაშნიკოვას დარჩა გასამართი ერთი ტურნირი, დუბაიში 75-ათასიან შეჯიბრებაში მისი პირველი მეტოქე მე-5 ნომრად განთესილი ლატვიელი **ანასტასია სევასტოვა** (82) იქნება. გუშინ დუბაიში ძირითადი ბადის მატჩები იმ უბრალო მიზეზით ვერ დაიწყო, რომ საკვალიფიკაციო შეხვედრები წინა დღეს ამ რეგიონისთვის იშვიათმა წვიმამ ჩაშალა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

## კვარცხლბეკი გვერდზე დარჩათ

ირანის ქალაქ ურმიაში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს ხუთი წარმომადგენელი მონაწილეობდა. გუშინ შეჯიბრებაზე ორი დასკვნითი ტური გაიმართა. მე-8 ტურში **ივერი ჭილლაძე** **ავეტიკ გრიგორიანთან** დამარცხდა. ასევე ქულა დათმო **კონსტანტინე შანავამ** **ნიმა ჰუსეინზადეჰთან** შეხვედრისას. სამაგიეროდ, წარმატებას მიაღწიეს **მერაბ გაგუნაშვილმა** და **მალხაზ სულაშვილმა**, რომლებმაც, შესაბამისად, **სადეგსა** და **მორთეზა აბედინის** სძლიეს. **ვალერიან გაფრინდაშვილი** **ჰრაირ სიმონიანს** დაუზავდა.

მეცხრე ტურში კვლავ იყოჩაღეს გაგუნაშვილმა და სულაშვილმა. მათ გაფრინდაშვილსა და **აფშარი მოჰამადრეზას** დააყრევინეს ფარ-ხმალი, ივერი ჭილლაძემ **აჰმადინიას** აჯობა, კონსტანტინე შანავა კი სათამაშოდ არ გამოცხადდა და მის მეტოქეს **მერდედ სედათათის** მუქთი ქულა ჩაეწერა.

ცხრა შესაძლებლიდან 7,5 ქულით ტურნირი აზერბაიჯანელმა **ფარიდ აბასოვმა** მოიგო. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ერთბაშად რვა მოჭადრაკე ჩამორჩა, მათ შორის — მერაბ გაგუნაშვილი და მალხაზ სულაშვილი, რომლებსაც უარესი კოეფიციენტით მეოთხე და მეშვიდე ადგილები ხვდათ. მეორე-მესამე ადგილები ირანელმა **ელშან მორადიაბადიმ** და სომეხმა ავეტიკ გრიგორიანმა გაიყვეს. 6,5 ქულით მე-14 იყო ივერი ჭილლაძე, 6 ქულით მეცხრამეტეზე გავიდა ვალერიან გაფრინდაშვილი, ხოლო კონსტანტინე შანავას 5 ქულით 38-ე ადგილი ერგო.

**ვაჟა დანელია**

მძლეოსნობა

## ბაჩანა ხორავამ ყველას ზემოდან გადმოხედა

სპორტული სეზონის მიწურულს, 1993-1995 წლებში დაბადებულმა სპორტსმენებმა ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზეს. საქართველოს ნაკრები შეჯიბრებაზე სამი ათლეტით იყო წარდგენილი. **ბაჩანა ხორავამ** სამჭიდში 2472 ქულას მოუყარა თავი და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. **ლაშა ღულელაურს** მეშვიდე ადგილი ხვდა, გოგონებში 2515 ქულით მეორე ადგილი **სალომე აბშილავამ** დაიკავა.

**ვაჟა დანელია**

ჭიდაობა ჩვენი, ქართული

# ფალავანი ფალავნობდეს

17 დეკემბერს ძიუდოს აკადემიაში საქართველოს ფალავნობა გაიმართება ქართულ ჭიდაობაში.

ფალავნობის ათვლა ოფიციალურად 81 წლის წინათ, 1928 წლიდან დაიწყო. ხუთშაბათს, 17 დეკემბერს კი სამოცდამეერთედ იჭიდავებენ. ანუ ომიანობის თუ უსახსრობის გამო 20 ფალავნობის გამართვა ვერ მოხერხდა...

თუმცა 1944 წელს გაგანია ომის დროს მაინც მოუწყვიათ და ექვსი წლის იძულებითი შესვენების შემდეგ ისევ გაუმართავთ ფალავნობა. გამარჯვება პატარძეულელ **არჩილ ონაშვილს** (1917-1998) მოუპოვებია.

უკვე შემდგარ 60 აბსოლუტურ პირველობაზე 36 მოჭიდავეს აქვს მოპოვებული ფალავნის წოდება. რეკორდსმენია მოქმედი ფალავანი, რვაგზის გამარჯვებული **ალექსი დავითაშვილი**. ხუთ-ხუთი პირველობა აქვთ მოგებული **ზაქარია ბაკურაძეს, ანზორ კიკნაძეს** და **მალხაზ ბერუაშვილს**. სამჯერ იზეიმა გამარჯვება **არსენ მეკოკიშვილმა.** დანარჩენებმა ერთხელ ან ორჯერ მოიპოვეს ფალავნის სახელი.

საქართველოს ფალავნის ტიტულს ფლობდა 3 ოლიმპიური, 4 მსოფლიოს და 3 ევროპის ჩემპიონი ძიუდოსა და სამბოში. ფალავნები **ზაქარია მუხიაშვილი** და **ანზორ კიკნაძე** წარმატებით გამოდიოდნენ თავისუფალ ჭიდაობაშიც.

36 ფალავნიდან დღეს 24 ცოცხალია, აქედან კი სამი აგრძელებს აქტიურ ჭიდაობას...

სამოცდამეერთე ფალავნობა დიღომში ერთობ საინტერესო და თვალსასეირო უნდა იყოს.

ქართველმა მოჭიდავეებმა 2009 წელი არცთუ ისე წარმატებით განვლეს. ქართული ჭიდაობა კი ძირითადად გუნდური ტურნირებით იყო დახუნძლული. არც საქართველოს პირადი ჩემპიონატი გამართულა და აბსოლუტური პირველობა (ფალავნობა), ვფიქრობთ, დაძაბული და უშელავათო იქნება. ქომაგები, ალბათ, იმდენი ეყოლება წლევანდელ ფალავნობას, ვეჭვობთ, დიღმის დარბაზმა ამდენი გულშემატკივარი დაიტიოს.

ქვემძიმე და მძიმე წონის ყველა ნანრთობ მოჭიდავეს უხმობს ფალავნობა.

*„მუშა უნდა მუშაობდეს, ქარავანი ქარავნობდეს, შენისთანა კარგი ბიჭი, ხალხში უნდა ფალავნობდეს“.*

სამოცდამეერთე ფალავნობაზე თავისი ტიტულის დაცვას კვლავ შეეცდება ალექსი დავითაშვილი. მოიპოვებს თუ არა ის მეცხრედ ფალავნობას, 17 დეკემბერს შევიტყობთ.

საჭიდაო სარბიელზე ვიხილავთ სხვა ტიტულოვან მოჭიდავეებსაც.

ვფიქრობთ, წლევანდელი ფალავანი ღირსი იქნება, მოხვდეს საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენს შორის...

17 დეკემბერს, შუადღისას, დიღმის არენაზე ჯერ პირველი ზურნა აზუზუნდება, მერე მეორე, ამას დოლის ბრაგუნი მოჰყვება და იქ მყოფთა გულებიც აბაგუნდება. სისხლი ჩუხჩუხს დაიწყებს, აჩქროლდება ძარღვები, აძაგძაგდება კუნთები და ფალავნები ერთმანეთისკენ დაიძრებიან...

აქვე მოეწყობა ახალი საჭიდაო სამოსის წარდგენა და გამოცდაც.

### საქართველოს ფალავნები 1928-2009 წწ

1928 წ. — **შალვა რჩეულიშვილი** (თბილისი), 1931 — **გიორგი რჩეულიშვილი** (გორი), 1934 — **ვახტანგ ჭიჭინაძე** (თბილისი), 1935 — **სანდრო ნაკაშაშვილი** (გორი), 1936-1937-1938 — **არსენ მეკოკიშვილი** (საგარეჯო), 1944 — **არჩილ ონაშვილი** (საგარეჯო), 1945-1946-1947-1948-1949 — **ზაქარია ბაკურაძე** (ახმეტა), 1952 — **სიმონ მაისურაძე** (ახმეტა), 1957 — **ზაქარია მუხიაშვილი** (ს. გლდანი), 1958 — **ამირან ვარდოშვილი** (კასპი), 1959-1960-1961-1962-1964 — **ანზორ კიკნაძე** (თბილისი), 1963 — **ანზორ ზურაბაული** (საგარეჯო), 1967 — **ბუღდან ბალაკაშვილი** (გორი), 1969 — **გივი კახაბრიშვილი** (ს. მარტყოფი), 1970-1971 — **შოთა გულიაშვილი** (კასპი) 1972-1977 — **შოთა ჩოჩიშვილი** (გორი), 1973-1975 — **ოთარ ყურაშვილი** (კასპი), 1974 — **იგორ ძეგლიგაშვილი** (ახმეტა), 1976 — **თემურ ხუბულური** (გორი), 1978 — **აბესალომ ნიკლაური** (მცხეთა), 1979-1982-1984-1987-1989 — **მალხაზ ბერუაშვილი** (ქარელი), 1980 — **ტარიელ მუთოშვილი** (ახმეტა), 1981 — **შოთა ხაბარელი** (გორი), 1983 — **დავით დავითაშვილი** (ახმეტა), 1985-1986 — **ჯემალ მჭედლიშვილი** (გორი), 1988 — **გელა ბერუაშვილი** (ქარელი), 1990 — **გიორგი გაჩეჩილაძე** (ზესტაფონი), 1991 — **ლერი ჟორჟოლიანი** (მესტია), 1992 — **არმაზ ჯალაბაძე** (გორი), 1993 — **კობა კუპატაძე** (საგარეჯო), 1994 — **ვანო გამხიტაშვილი** (კასპი), 1995 — **ვალერი პარუნაშვილი** (თბილისი), 1996-1998-2000-2002-2003-2004-2008 — **ალექსი დავითაშვილი** (ახმეტა), 2006 — **ზვიად ხანჯალიაშვილი** (თელავი), 2007 — **ლაშა გუჯეჯიანი** (თბილისი).

**გაბრიელი ბარჯაძე**




დღეს 13 საათზე სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია გაიმართება

რაგბი

სემინარი

# ყურადღება, დოპინგი!



თემურ უკლება, პავლე კასრაძე

საქართველოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (GADA) სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში სარაგბო კლუბების ხელმძღვანელებს, მორაგბეებსა და სამედიცინო პერსონალს სემინარი ჩაუტარა.

სემინარზე განიხილეს მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს (WADA) 2009 წლის კოდექსი, WADA -ას სტრუქტურა. საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს გენერალურმა მდივანმა **თემურ უკლებამ** ვრცლად ილაპარაკა ტესტირების სტანდარტებზე, ეროვნული სააგენტოების წესებზე, მსოფლიო სტანდარტებზე. დამსწრეთ გააცნო აკრძალული პრეპარატების სია და უამბო ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი უარყოფითი ზემოქმედების შესახებ.

როგორც საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს პრეზიდენტმა **პავლე კასრაძემ** თქვა: *„საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში, არის საგანმანათლებლო სემინარების ჩატარება, რათა ქართულ სპორტში გაღრმავდეს ცოდნა დოპინგისა და სპორტული ღირებულებების შეუთავსებლობის შესახებ. სწორედ ამ მიზანს ემსახურება დღევანდელი სემინარიც და იქ წამოწეული თემების განხილვაც“.*

**ბესიკ ჯანგავაძე**

ლეგიონერები

# მალაღურას თხუთმეტი ქულა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა. ქართველ მორაგბეთა სამი გუნდი თავიანთი ჯგუფების სატურნირო ცხრილს დღემდე სათავეში ედგა. სამწუხაროდ, ერთ-ერთმა, **თენგიზ გელანტიას** „სენ ნაზერმა“ მარცხი განიცადა და A ჯგუფის ლიდერობა „ლიმოჟს“ დაუთმო.

სენნაზერელებმა სტუმრად გამართეს შეხვედრა, კიდევ ერთი ქართველის, **ავთანდილ კოპალიანის** „ორლეანთან“ და 3:20 წააგეს. კოპალიანი ძირითად შემადგენლობაში იყო და 70-ე წუთზე შეცვალეს. გელანტია კი თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო.

A ჯგუფი: **ვანი-სენ მედარი 20:12, ორლეანი-სენ ნაზერი 20:3, ნუარი-ბობინი 12:0, პუატიე-ლიმოჟი 12:38.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ლიმოჟი - 36 ქულა, 2. სენ ნაზერი - 32, 3. ვანი - 29, 4. ბობინი - 25, 5. ორლეანი - 20, 6. ნუარი - 19, 7. სენ მედარი - 14, 8. პუატიე - 9.**

B ჯგუფში მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად სამი „ქართული გუნდიდან“ ორი იბრძვის. მე-10 ტურში ერთმანეთს სწორედ ისინი დაუპირისპირდნენ. **ელიზბარ ყუფარაძის** „მონლუსონმა“ **დავით აშვეთიას, სანდრო ესაკიას, შალვა სუთიაშვილის, გიორგი ნემსაძისა** და **არჩილ კობაურის** „მასის“ უმასპინძლა და 17:11 მოუგო. ყუფარაძე თამაშში 57-ე წუთიდან ჩაერთო. აშვეთია 72-ე წუთზე შეცვალეს, ხუთი წუთის შემდეგ მოედანი სუთიაშვილმაც დატოვა. ესაკიას, ნემსაძეს და კობაურს არ უთამაშიათ.

შინ დაამარცხა აუტსაიდერი „ეპერნაი“ **დავით ბოლღაშვილისა** და **სოსო ნიკოლაენკოს** „ლილმა“ - 37:5. ბოლღაშვილმა სრულად ითამაშა, ნიკოლაენკო განაცხადში არ იყო.

B ჯგუფი: **ლილი-ეპერნაი 37:5, მონლუსონი-მასი 17:11, შალონი-ტური 37:14, ბურგ ან ბრესი-დიჟონი 27:0.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. შალონი - 38 ქულა, 2. ბურგ ან ბრესი - 35, 3. მასი - 31, 4. მონლუსონი - 27, 5. დიჟონი - 22, 6. ლილი - 19, 7. ტური - 16, 8. ეპერნაი - 2.**

C ჯგუფში ორხელისუფლებიანობაა. **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიემ“ და **დავით კაჭარავას** „ნიცამ“ 35-35 ქულა დააგროვეს და პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ.

„ბეზიემ“ მე-10 ტურში სტუმრად ითამაშა „ტურნეფოისთან“ და 20:22 წააგო. მალაღურაძემ ამჯერად მგეზავად ითამაშა და გუნდს 15 ქულა მოუტანა (5 საჯარიმო). მარცხმა გუნდის მწვრთნელთა მწვავე რეაქცია გამოიწვია. სპეციალურ კომუნიკეში, რომელიც ლანგედოკელთა ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა, მწვრთნელები **დიეგო მინარო** და **ჟან ფრანსუა ბელტრანი** კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ გუნდის გამოცდილ მორაგბეთა ნაწილის საქციელს, რომლებიც უდიერად მოეპყრნენ მეტოქეს, არ გამოამჟღავნეს სათანადო პროფესიონალიზმი. ჩვენი ერთადერთი, უმთავრესი მიზანი - ამბობენ ბეზიელთა მწვრთნელები - ელიტურ, მეორე დივიზიონში აღზევებაა, ვისაც ეს სრულად გათავისებული არ აქვს, მისი ადგილი ჩვენს გუნდში არ არის. ამ მორაგბეების ვინაობას მინარო და ბელტრანი კომუნიკეში არ ამჟღავნებენ. მათ მალე ჩამოვაცილებთ გუნდს და ამის მერელა შეიტყობთო.

„ბეზიეს“ კონკურენტმა „ნიცამ“ სტუმრად მოუგო **ირაკლი გუნდიშვილის** „ბედარიდეს“ - 38:13. კაჭარავა, პირველად მიმდინარე სეზონში, სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 55-ე წუთიდან ჩაერთო. გუნდიშვილს არ უთამაშია.

სტუმრად დამარცხდა **გიორგი კუთარაშვილის** „შატორენართან“ **ირაკლი მაჩხანელის, შოთა საყვარელიძისა** და **ბესო უდესიანის** „სენტ ეტიენი“ - 19:30. კუთარაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 56-ე წუთზე შეცვალეს. მაჩხანელმა სრულად ითამაშა. საყვარელიძე და უდესიანი განაცხადში არ იყვნენ.

C ჯგუფი: **ბედარიდე-ნიცა 13:38, რომანი-მონტო 30:10, შატორენარი-სენტ ეტიენი 30:19, ტურნეფოი-ბეზიე 22:20.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ბეზიე - 35 ქულა, 2. ნიცა - 35, 3. სენტ ეტიენი - 30, 4. შატორენარი - 29, 5. ტურნეფოი - 21, 6. რომანი - 20, 7. მონტო - 13, 8. ბედარიდე - 5.**

ორი „ქართული გუნდი“ იბრძვის შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის D ჯგუფშიც. **გია ლაბაძის** „მარსელმა“, რომელიც ყველასთვის მოულოდნელად დღესდღეობით მე-3 ადგილზეა, შინ დაამარცხა „კასტანე“ - 23:12. ლაბაძე განაცხადში არ იყო.

შინ დაამარცხა „მაზამე“ **შოთა მელიქიძის** „ობენამ“ - 35:15. ჩვენებურის გუნდი ამჟამად მეოთხე ადგილზეა და „მარსელს“ ორი ქულით ჩამორჩება. მელიქიძე თამაშში 61-ე წუთიდან ჩაერთო.

საკუთარ მოედანზე გაიმარჯვა გათამაშების ლიდერ „კარკასონთან“ **ირაკლი გიორგაძისა** და **ვახტანგ მაისურაძის** „შამბერიმ“ - 22:19. გიორგაძემ სრულად ითამაშა, მაისურაძე 54-ე წუთზე შეცვალეს.

D ჯგუფი: **ლა სეინი-მონმელიანი 41:16, შამბერი-კარკასონი 22:19, მარსელი-კასტანე 23:12, ობენა-მაზამე 35:15.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. კარკასონი - 40 ქულა, 2. ლა სეინი - 28, 3. მარსელი - 27, 4. ობენა - 25, 5. კასტანე - 22, 6. შამბერი - 16, 7. მაზამე - 15, 8. მონმელიანი - 10.**

E ჯგუფში მორიგი გამარჯვება მოიპოვა ლიდერმა, **გიორგი მჭედლიშვილის** „ვალანსმა“. ჩვენებურის გუნდმა შინ დაამარცხა „მორლაა“ - 45:6. მჭედლიშვილი თამაშში 48-ე წუთიდან ჩაერთო. ვალანსიელებს 37 ქულა დაუგროვდათ და მეორეადგილოსან „მარმანდს“ ხუთი ქულით უსწრებენ.

F ჯგუფში „ქართული დერბი“ შედგა. **თედო ზიბზიბაძის, ირაკლი ნინიძის, ალექსანდრე მარგველაშვილისა** და **დავით დადუნაშვილის** „პერიგომ“ სტუმრად დაამარცხა **დიმიტრი ბასილაიას, დავით გასვიანისა** და **ნიკოლოზ მალალდაძის** „სლე ბუგე“ - 19:13. მალალდაძე 68-ე წუთზე შეცვალეს. მარგველაშვილი თამაშში 57-ე წუთზე ჩაერთო, დადუნაშვილი კი მოედანზე 11 წუთის მერე გამოჩნდა. ზიბზიბაძეს, ნინიძეს, გასვიანს და ბასილაიას არ უთამაშიათ.

F ჯგუფი: **ლე ბუგე-პერიგო 13:19, ოლორონი-ლანჟონი 12:9, გროლე-ტიროსი 14:19, ჟირუ-ლურდი 0:6.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ტიროსი - 39 ქულა, 2. პერიგო - 34, 3. გროლე - 24, 4. ოლორონი - 23, 5. ლურდი - 22, 6. ლანჟონი - 22, 7. ლე ბუგე - 14, 8. ჟირუ - 11.**

**ბესიკ ჯანგავაძე**



www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი



# უეიდს მაჯა სტკივა

რეგულარული ჩემპიონატის დღევანდელ მიმოხილვაში აღვნიშნეთ, რომ „მაიამის" ლიდერი **დუეინ უეიდი** არც ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდა „მემფისის" წინააღმდეგ, რამაც ფლორიდელთა საკუთარ მოედანზე წაგება გამოიწვია. თურმე დუეინის ცუდ თამაშს ობიექტური მიზეზი ჰქონია. უეიდმა ჯერ კიდევ პარასკევს, „დალასთან" მატჩში ბურთის კალათში ჩატენვის დროს მაჯა დაიზიანა და ტკივილი დღემდე აწუხებს.

*„ნახტომი არც ისე მაღალი გამომივიდა და ამიტომაც ფარს ძალიან მტკივნეულად ჩამოვარტყი ხელი"*, - განაცხადა „მაიამის" მცველმა.

კალათბურთელი აღიარებს, რომ ეს დაზიანება მის შედეგიანობაზე მოქმედებს, მაგრამ უეიდი არ აპირებს დახმარებისთვის ექიმებს მიმართოს:

*„ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი წესრიგში მაქვს. მაგრამ თუ სიმართლე გაინტერესებთ, ასეთი ტრავმით ადრეც მითამაშია. მთავარია, დაზიანება არ გავიმიზეზო, ამიტომაც მაქსიმალურად ფრთხილად ვითამაშებ".*

■ ■ ■

„ნიუ იორკ ნიქსს" ახალი კალათბურთელი ჰყავს. კლუბმა თავისუფალი აგენტის სტატუსით ფორვარდი **ჯონათან ბენდერი** დაიმატა.

*„ის ძალიან მონდომებით ემზადებოდა მოედანზე დასაბრუნებლად. ჩვენ ათი წელია ვიცნობთ ერთმანეთს და ჯონათანი ყოველთვის ბრწყინვალე ხასიათითა და ბრძოლის ჟინით გამოირჩეოდა*, - ამბობს „ნიქსის" გენერალური მენეჯერი **დონი უოლში**. - *ეჭვგარეშეა, რომ ის გააძლიერებს ჩვენს გუნდს".*

ბოლო კლუბი, რომელშიც ბენდერი თამაშობდა, „ინდიანა პეისერსი" იყო, თუმცა ამ ფორვარდს შარშან არც ერთ მატჩში არ მიუღია მონაწილეობა.

■ ■ ■

კვირას „ლოს ანჯელეს ლეიკერსისა" და „იუტა ჯაზის" შეხვედრა გამორჩეული იყო კალიფორნიელთა მცველ **რონ არტესტისთვის**. „ლეიკერსის" წაგების მიუხედავად, რონმა სწორედ ამ მატჩში კარიერაში მე-10000 ქულა და მე-2000 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. ამ შედეგის მისაღწევად არტესტს რეგულარულ ჩემპიონატში 636 მატჩის ჩატარება დასჭირდა.

წლევანდელ სეზონში რონმა 22 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 12.8 ქულა, 4.7 მოხსნა და 3.9 შედეგიანი პასი დააგროვა.

■ ■ ■

„ფინიქს სანზის" სამწვრთნელო შტაბი იმედოვნებს, რომ ბრაზილიელი მცველი **ლეანდრო ბარბოზა**, რომელიც მარცხენა ფეხის ტრავმას მკურნალობს, შობისთვის დაუბრუნდება შემადგენლობას. კლუბის სპორტული ინსტრუქტორის **აარონ ნელსონის** თქმით, ბრაზილიელი ლეგიონერის მდგომარეობა ყოველდღიურად უმჯობესდება.

ბარბოზამ ტრავმა 29 ნოემბერს მიიღო. მანამდე მან ჩემპიონატში 14 მატჩში მიიღო მონაწილეობა და თავის გუნდს 11.6 ქულითა და 2.0 შედეგიანი გადაცემით დაეხმარა.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მეფემ ოკლაჰომა დაბომბა

რეგულარული ჩემპიონატის მორიგი დღე არც ისე მდიდარი იყო დაძაბული ფინიშებითა და ოვერტაიმებში ურთიერთობის გარკვევით. ამ ტურში მოდაში იყო დამაჯერებელი გამარჯვებები - არც ერთ მატჩში ინტრიგა არ ყოფილა და წაგებული გუნდების ჩამორჩენამ მინიმუმ 13 ქულა შეადგინა.

ყველაზე პატარა ანგარიშით წააგო „ჰიუსტონმა", რომელმაც ბოლო დროს შინაარსიანი კალათბურთის თამაში დაიწყო. მაგრამ ტორონტოში „რაკეტებს" პირველივე მეოთხედში იმედგაცრუება ელოდათ. **კრის ბოშის** მონდომებით მასპინძლებმა საწყისი 12 წუთი 15 ქულით მოიგეს და მატჩის დარჩენილი დრო ამ უპირატესობის შენარჩუნებით იყვნენ დაკავებულნი, რაც საბოლოოდ კარგად გამოუვიდათ. მაქსიმუმი, რაც სტუმრებმა შეძლეს, იყო **ლუის სკოლას** ზუსტი ორქულიანით ანგარიშის ცხრა ქულამდე შემცირება. ეს მეოთხე მეოთხედის დასაწყისში მოხდა, მაგრამ იქვე **პოპს მენსა-ბონსუს** ჩატენვამ და **ჯარეტ ჯეკის** სამქულიანმა „ტორონტოს" რვაქულიან გაქცევას დაუდო სათავე და თამაშიც სწორედ აქ დასრულდა. აღსანიშნავია, რომ „რეპტორზმა" ამ სეზონში რვავე შეხვედრა მოიგო, როცა მეტოქე 100 ქულაზე ნაკლებს აგროვებდა.

კანადელების ტაქტიკა აირჩია „სან ანტონიომ" „ლოს ანჯელეს კლიპერსთან" მატჩში - **გრეგ პოპოვიჩის** გუნდმაც პირველივე მეოთხედში შეიქმნა კომფორტული ჰანდიკაპი - 39:23. „სპურსმა" ამის შემდეგ თავს მოდუნების უფლება მისცა და შეხვედრას კინაღამ ინტრიგა დაუბრუნა. კალიფორნიელებმა შვიდ ქულამდე შეამცირეს სხვაობა. მაგრამ იმ დროს, როცა მოედანზე ნამდვილი ბრძოლა უნდა დაწყებულიყო, „სან ანტონიომ" **ტიმ დანკანის** მეთაურობით მესამე მეოთხედის ბოლოსა და მეოთხეს დასაწყისში 27:6 გაქცევა მოაწყო და გამარჯვებულის საკითხი ავტომატურად მოიხსნა დღის წესრიგიდან.

ოკლაჰომაში ადგილობრივი კლუბისა და „კლივლენდის" შეხვედრაში გაცილებით დაძაბული ბრძოლა იყო. მასპინძლებს სერიოზულად ჰქონდათ განზრახული გამარჯვებათა სერიის სამ მოგებამდე აყვანა. მოტივირებულმა „ოკლაჰომამ" პირველი ტაიმი უკეთ ჩაატარა და დიდ შესვენებაზე სავსებით კანონზომიერად ხუთქულიანი უპირატესობით გავიდა. მესამე მეოთხედში სტუმრებმა ინიციატივის ხელში ჩაგდება სცადეს, მაგრამ „ოკლაჰომას" ლიდერმა **კევინ დურანტმა ჯეფ გრინისა** და **რასელ უესტბრუკის** დახმარებით ძველ კალაპოტში დააბრუნა შეხვედრა და უფრო მეტიც - შვიდ ქულამდე გაზარდა თავისი გუნდის უპირატესობა.

მაგრამ ეს მასპინძლების ბოლო წარმატება აღმოჩნდა. მეოთხედის ბოლო მათ პირწმინდად წააგეს. ოღონდ წააგეს არა „კლივლენდთან", არამედ ერთ ადამიანთან. ალბათ, ხვდებით ვისთანაც. **ლებრონ ჯეიმსმა** წუთზე ოდნავ მეტ დროში ზედიზედ სამი (!) სამქულიანი ჩააგდო და სტუმრები წინ გაიყვანა - 78:76.

ბოლო მეოთხედის დასაწყისში „ოკლაჰომამ" ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მეტოქისთვის გაქცევის საშუალება არ მიეცა, მაგრამ „კავალიერზი" პერიმეტრიდან ტყორცნას არ აცილებდა და ასეთ სიტუაციაში ნებისმიერი მეტოქე ვერაფერს გააწყობდა. **ჯამარიო მუნმა** და სამჯერ **მო უილიამსმა** ზედიზედ ჩააგდეს სამქულიანები. ხოლო, როცა „მეფემ" 14:0 გაქცევას თავისი ექვსი ქულაც დაუმატა, მოედანზე ყველაფერი ცხადი გახდა. „ოკლაჰომამ" შვიდი (!) წუთის განმავლობაში ბურთი ვერ ჩააგდო. მხოლოდ საფინალო სირენამდე 29 წამით ადრე **ნენად კრსტიჩმა** შეწყვიტა ეს „მშრალი" სერია და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 89:102.

საოცარია, მაგრამ „მაიამიმ" ზედიზედ მეოთხე შეხვედრა წააგო საკუთარ მოედანზე - ამჯერად მასზე კლასით დაბლა მყოფ „მემფისთან". სწორედ ეს იყო გუშინდელი სათამაშო დღის მთავარი სენსაცია.

„ჰიტი" ისე გადათელეს მატჩის დასაწყისში, რომ ფლორიდელებს მატჩის გადარჩენის შანსი უბრალოდ არ ჰქონიათ. **დუეინ უეიდი** და მისი პარტნიორები „მემფისის" თამაშის ფონზე საცოდავი სანახავები იყვნენ, **რუდი გეი** კი ნამდვილ პროფესორს ჰგავდა. სწორედ მისმა 41-მა ქულამ, ოთხმა მოხსნამ, ორმა პასმა და ორმა ჩაჭრამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ტენესური კლუბის გამარჯვებაში. 41 ქულა გეის კარიერის რეკორდი გახლავთ.

## დღის გმირი

როგორც ვთქვით, გასული დღის ყველაზე დაძაბული შეხვედრა „ოკლაჰომასა" და „კლივლენდს" შორის გაიმართა და რომ არა ლებრონ ჯეიმსი, მატჩს უფრო დაძაბული ფინალი ექნებოდა. „კავალიერზის" ლიდერმა ჯერ თავისი გუნდის გაქცევას დაუდო სათავე, ბოლოს კი სამი ზუსტი გასროლით ბოლო მოუღო „ოკლაჰომას" წინააღმდეგობას. სულ „მეფის" ანგარიშზე 44 ქულა (თამაშიდან - 16/29, სამქულიანი - 5/8, საჯარიმო - 7/10), 7 მოხსნა, 6 პასი, 4 ჩაჭრა და ერთი დაფარება მოდიოდა. რომ არა ასეთი შთამბეჭდავი რიცხვები, გმირად რუდი გეი უნდა გამოგვეცხადებინა.

„ოკლაჰომასთან" მატჩში ლებრონი კიდევ ერთი საინტერესო მომენტით გამოირჩა. ერთ-ერთი სწრაფი გარღვევის ზუსტად დასრულების შემდეგ, ჯეიმსი მოედნის გარეთ გავიდა და ერთ-ერთი გულშემატკივრის გვერდით აღმოჩნდა, რომელიც კარტოფილ „ფრის" შეექცეოდა. „მეფემ" გულშემატკივარს რამდენიმე ნაჭერი კარტოფილი შეუჭამა, ხელი ჩამოართვა და მოედანზე დაბრუნდა. ამ ეპიზოდის ხილვა ვებგვერდ YouTube-ზე შეგიძლიათ.

**ტორონტო-ჰიუსტონი 101:88**

32:17, 23:25, 20:21, 26:25

ტ: ბოში 27+6 მოხსნა, თურქოგლუ 23+6 მოხსნა+5 პასი, ჯეკი 17+8 მოხსნა+8 პასი, ბარნიანი 14+7 მოხსნა, უიმსი 11.

ჰ: ლენდრი 25+7 მოხსნა, სკოლა 21+15 მოხსნა, ბრუქსი 20.

**ატლანტა-ნიუ ჯერსი 130:107**

31:29, 31:21, 39:32, 29:25

ა: ევანსი 22+9 მოხსნა, ჯონსონი 21+10 პასი+4 ჩაჭრა, ჰორფორდი 16+9 მოხსნა, სმიტი 16+8 მოხსნა, კროუფორდი 13+5 პასი, ბიბი 12+5 პასი, ტიგი 12.

ნ-ჯ: ჰარისი 23+9 პასი, ლოპესი 19+12 მოხსნა, ტ. უილიამსი 18+7 მოხსნა, ლი 13, ჰასელი 13.

**მაიამი-მემფისი 90:118**

25:37, 24:25, 18:31, 23:25

მაი: უეიდი 25, რაიტი 16, ჯ. ო'ნილი 12.

მემ: გეი 41, გასოლი 16+15 მოხსნა, მაიო 16, რენდოლფი 13+7 მოხსნა.

**ოკლაჰომა-კლივლენდი 89:102**

29:27, 25:22, 22:29, 13:24

ო: დურანტი 29+5 მოხსნა+4 ჩაჭრა, გრინი 26, უესტბრუკი 10+5 პასი.

კ: ჯეიმსი 44+7 მოხსნა+6 პასი, უილიამსი 22.

**კლიპერსი-სან ანტონიო 90:115**

23:39, 33:27, 19:22, 15:27

კ: ბ. დეივისი 20+6 პასი, კამანი 19+10 მოხსნა, ტორნტონი 16+9 მოხსნა, კემბი 11+5 მოხსნა, გორდონი 10.

ს-ა: დანკანი 21, ჯეფერსონი 17, ჯინობილი 17, ბლეირი 14+9 მოხსნა, ჰილი 11, პარკერი 10+7 პასი.



ფორმულა 1

# ლოტუსის ლოგო და შემადგენლობა

ფორმულა 1-ის დებიუტანტმა გუნდმა „ლოტუსმა" გუშინ ოფიციალურად გამოაცხადა მომავალი სეზონისთვის შემადგენლობა. დადასტურდა წინადღეს გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაცია - 2010 წლის ჩემპიონატში „ლოტუსის" ღირსებას დაიცავენ იტალიელი **იარნო ტრული** და ფინელი **ჰეიკი კოვალაინენი**.

მალაიზიური გუნდის სათადარიგო პილოტი იქნება **ფაირუზ ფაუზი**, რომელიც პირველი მალაიზიელი იქნება ფორმულა 1-ის ისტორიაში. პილოტთა კონტრაქტის ვადები პრესისთვის ჯერჯერობით უცნობი დარჩა.

ტრულისა და კოვალაინენს ფორმულა 1-ში თითო-თითო გრან-პრი აქვთ მოგებული. იტალიელი შარშან „ტოიოტას" ღირსებას იცავდა, კოვალაინენი „მაკლარენში" გამოდიოდა.

შემადგენლობის გამოცხადებასთან ერთად, „ლოტუსმა" ახალი ლოგო წარადგინა, რომელიც საჯინიბოს კლასიკურ მწვანე და ყვითელ ფერებშია გადაწყვეტილი.

*„ჩვენ პრეტენზიას არ ვაცხადებთ „ლოტუსის" წარსულზე, მაგრამ გვაქვს პატივი, დავაბრუნოთ ეს ბრენდი ფორმულა 1-ში. ჩვენ ამ გუნდის ძველ ფერებს პერსონალის მოტივაციისთვის გამოვიყენებთ.*

*იმედი მაქვს, ჩვენი ახალი ლოგო და ბოლიდების შეფერილობა ყველას მოეწონება"*, - განაცხადა „ლოტუსის" შეფმა **ტონი ფერნანდესმა**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

მსოფლიოს ჩემპიონატი 2010

# დღეს წილისყრაა

დღეს, თბილისის დროით 13 საათზე და 30 წუთზე სტამბოლში მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართება. ამ პროცედურამდე კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ჩემპიონატის 24 მონაწილე FIBA-ის რეიტინგის მიხედვით ექვს კალათში გაანაწილა.

მთავარ განთესილებს შორის მოხვდნენ ოლიმპიადისა და მსოფლიოს პირველობის მოქმედი ჩემპიონები - აშშ და ესპანეთი. მათ დაემატათ არგენტინისა და საბერძნეთის ნაკრებები. ჯგუფების შემადგენლობების დაკომპლექტებისას გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა კონტინენტის წარმომადგენელთა ბალანსი. ექვსგუნდიან ჯგუფში არ შეიძლება იყოს ოთხზე მეტი ევროპული და ორზე მეტი ამერიკული გუნდი.

წილისყრის წინ განთესვა ასეთი გახლავთ:

**პირველი კალათი:** აშშ, არგენტინა, ესპანეთი, საბერძნეთი;

**მეორე კალათი:** სერბეთი, სლოვენია, საფრანგეთი, თურქეთი;

**მესამე კალათი:** ბრაზილია, პუერტო რიკო, კანადა, ავსტრალია;

**მეოთხე კალათი:** ხორვატია, რუსეთი, ლიტვა, გერმანია;

**მეხუთე კალათი:** ახალი ზელანდია, ჩინეთი, ირანი, ანგოლა;

**მეექვსე კალათი:** იორდანია, ლიბანი, ტუნისი, კოტ დ'ივუარი.

წილისყრის პირდაპირი რეპორტაჟის ხილვა მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალურ ვებგვერდზე (turkey2010.fiba.com) იქნება შესაძლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი




# ნალბანდიანი მოგებით დაბრუნდა

## ფედერერმა კუშთან წააგო, მალისე კი ჩოგბურთიდან წასვლით იმუქრება

შვიდთვიანი პაუზის შემდეგ არგენტინელმა ჩოგბურთელმა **დავიდ ნალბანდიანმა** პირველი მატჩი ითამაშა. ქალაქ სან ხუანში საჩვენებელ ტურნირზე უიმბლდონის ყოფილი ფინალისტი მსოფლიოს 112-ე ჩოგანს, 30 წლის ჩილელ **ნიკოლას მასუს** შეხვდა და 6:2, 6:1 გაანადგურა მეტოქე.

ამ გამარჯვებით ნალბანდიანი ფინალში გავიდა, სადაც თავის თანამემამულე **გასტონ გაუდიოს** შეხვდება, რომელმაც თავის მხრივ კიდევ ერთი არგენტინელი - **გილერმო კანიასი** დაამარცხა.

მასუსთან მატჩის შემდეგ 27 წლის ნალბანდიანმა განაცხადა, რომ კმაყოფილია თავისი თამაშით და 2010 წლის სეზონს დიდი იმედით ელოდება.

*„მატჩის წინ ოდნავ ვნერვიულობდი, მაგრამ როგორც კი კორტზე გავედი, მაშინვე დამაჯერებლად ვიგრძენი თავი,* - ამბობს ნალბანდიანი, რომელსაც ჩილელთან მატჩში 5 ათასი გულშემატკივარი ამხნევებდა. - *სასიამოვნოა, როცა ამდენი ადამიანი გიჭერს მხარს. ასეთ დროს გაცილებით ძლიერად გრძნობ თავს“.*

2009 წელს ნალბანდიანმა მხოლოდ ცხრა ტურნირში მიიღო მონაწილეობა. მის აქტივშია 14 მოგება და შვიდი წაგება, აგრეთვე გამარჯვება სიდნეის ტურნირზე. ამის შემდეგ დავიდმა ტრავმირებულ ბარძაყზე ოპერაცია გაიკეთა და ნახევარ წელზე მეტი დაისვენა.

გუშინ გაიმართა ფინალური შეხვედრა, რომელშიც ნალბანდიანი ასევე მონოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. მასუს შემდეგ მან უკვე გაუდიო გაანადგურა - 6:2 6:2. ასე რომ, დავიდმა ტურნირი ისე დაასრულა, რომ სეტი არ წაუგია, სულ ოთხ ნათამაშებ სეტში კი ჯამში მხოლოდ შვიდი გეიმი დაუთმო მეტოქეებს.

არგენტინელ გულშემატკივრებს სულ მალე ისევ შეეძლებათ თავიანთი კერპის საქმეში ხილვა. 17 დეკემბერს ბუენოს აირესში სტარტს აიღებს საჩვენებელი ტურნირი - კოპა არგენტინა, სადაც ნალბანდიანის მეტოქეები იქნებიან რუსი **მარატ საფინი**, რომელმაც ოფიციალურად დაასრულა კარიერა, ესპანელი **კარლოს მოია**, ჩილელი **ფერნანდო გონსაესი**, კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისი** და კოპა არგენტინას შარშანდელი ჩემპიონი, კიდევ ერთი მასპინძელი **ხუან მონაკო**.

რაც შეეხება ნალბანდიანის ოფიციალურ დაბრუნებას, ის მომავალი წლის დასაწყისში ახალ ზელანდიაში, ოკლენდის ტურნირზე შედგება.

■ ■ ■

საჩვენებელი ტურნირი გაიმართა ბილბაოშიც, რომლის გამარჯვებულიც გახდა ესპანელი ვეტერანი **ხუან კარლოს ფერერო**. ფინალურ მატჩში მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ურთულეს ბრძოლაში დაამარცხა თანამემამულე **ნიკოლას ალმაგრო.** ჩოგბურთელებმა ორ საათზე მეტი გაატარეს კორტზე და ფერერომ მესამე სეტის ტაი-ბრეიკში გამოსტაცა გამარჯვება 24 წლის მეტოქეს. მატჩის საბოლოო ანგარიშია - 6:1, 3:6, 7:6(4).

ფინალამდე ფერერომ **გილერმო ოლასოსა** და **ტომი რობრედოს** წინააღმდეგობა დაძლია. ალმაგრომ კი, რომელმაც ბოლო მომენტში შეცვალა ტრავმირებული **ფერნანდო ვერდასკო**, მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში დევისის თასის ფინალის გმირები - **ფელისიანო ლოპესი** და **დავიდ ფერერი** დაამარცხა.

■ ■ ■

ბელგიელი ჩოგბურთელი **ქსავიე მალისე** კარიერას დაასრულებს იმ შემთხვევაში, თუ სპორტული საარბიტრაჟო სასამართლო არ დააკმაყოფილებს მის აპელაციას. როგორც იცით, 29 წლის მალისემ და მისმა 19 წლის თანამემამულე **იანინა ვიკმაიერმა** სადოპინგო წესების დარღვევისთვის თითო წლით დისკვალიფიკაცია მიიღეს. ნოემბრის შუაში მალისემ და ვიკმაიერმა სასამართლოში აპელაცია შეიტანეს და იანვრის შუაში ელიან პასუხს.

მსოფლიოს 94-ე ჩოგანის, მალისეს თქმით, თუ მისი აპელაცია არ დაკმაყოფილდება, ის არასოდეს მიიღებს მონაწილეობას ATP-ის ტურნირში.

თავის მხრივ, მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო (WADA) მის მიერ შედგენილი კოდექსის დარღვევისთვის უფრო მკაცრ სასჯელს ითხოვს. WADA-ს სურს, რომ მალისემ და ვიკმაიერმა არა ერთი, არამედ ორწლიანი დისკვალიფიკაცია მოიხადონ.

P. S. გუშინ გვიან ბელგიის სასამართლომ შეაჩერა ჩოგბურთელებისთვის გამოტანილი დისკვალიფიკაცია. ახლა ვიკმაიერისა და მალისეს ადვოკატები იმედოვნებენ, რომ სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მათ კლიენტებს სულ მალე კორტზე დაბრუნების საშუალებას მისცემს. ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალისტ ვიკმაიერს სჯერა, რომ ავსტრალიის ღიას უაილდქარდს მიიღებს და სეზონის „დიდი სლემის“ პირველი ტურნირის ძირითად ბადეში მოხვდება.

■ ■ ■

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **როჯერ ფედერერი** ზედიზედ მეორედ ვერ გახდა შვეიცარიის წლის საუკეთესო სპორტსმენი. 2009 წელს როჯერმა კარიერაში პირველად მოიგო როლან გაროსი, მეექვსედ - უიმბლდონი, დაიბრუნა პირველი ადგილი რეიტინგში და „დიდი სლემის“ ტურნირების“ გამარჯვებათა რაოდენობით აბსოლუტური რეკორდი დაამყარა. მიუხედავად ამისა, გამოკითხვაში ფედერერმა სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიოს ჩემპიონთან **დიდიე კუშთან** წააგო. შეგახსენებთ, რომ შარშან მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა წლის სპორტსმენის ტურნირი ველომრბოლ **ფაბიან კანჩელარას** დაუთმო.

ფედერერი ოთხჯერ იყო შვეიცარიის წლის საუკეთესო სპორტსმენი, რაც რეკორდის გამეორება გახლავთ. მანამდე ასევე ოთხჯერ მოიგო ეს პრიზი ლეგენდარულმა ველომრბოლმა **ტონი რომინგერმა**.

## რეიტინგი

# ვუდსი და დანარჩენები

ერთ-ერთ წინა ნომერში გაგაცანით ჟურნალ Sports Illustrated-ის მიერ გამოქვეყნებული ყველაზე მდიდარი არაამერიკელი სპორტსმენების საუკეთესო ოცეული. დღეს ამავე გამოცემის კიდევ ერთ რეიტინგს ვაქვეყნებთ, რომლის მეშვეობით ყველაზე მაღალანაზღაურებად ამერიკელ სპორტსმენებს გაეცნობით.

ოცეულში ყველაზე დიდი წარმომადგენლობა კალათბურთს, კერძოდ კი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას ჰყავს. აქ NBA-ის 12 კალათბურთელს ვხედავთ. Sports Illustrated-ის სიაში მეორეა ბეისბოლი - ოთხი წარმომადგენელი, მესამე გოლფი - ორი სპორტსმენი. სწორედ გოლფისტები უდგანან სათავეში ამ რეიტინგს - **ტაიგერ ვუდსმა** და **ფილ მიკელსონმა** შარშანდელი პოზიციები შეინარჩუნეს.

საინტერესოა, რომ სიაში ვერ ვხედავთ ჰოკეის ეროვნული ლიგის წარმომადგენლებსა და ჩოგბურთელებს. აქვე ერთი მინიშნება უნდა გავაკეთოთ. ეს მონაცემები 2009 წლის ზაფხულის პერიოდშია დაფიქსირებული.

| | |
|---|---|
| 1(1). ტაიგერ ვუდსი (გოლფი) | $99 737 626 |
| 2(2). ფილ მიკელსონი (გოლფი) | $52 950 356 |
| 3(3). ლებრონ ჯეიმსი (კალათბურთი) | $42 410 581 |
| 4(6). ალექს როდრიგესი (ბეისბოლი) | $39 000 000 |
| 5(6). შაიკლ ო'ნილი (კალათბურთი) | $35 000 000 |
| 6(8). კევინ გარნეტი (კალათბურთი) | $34 750 000 |
| 7(5). კობი ბრაიანტი (კალათბურთი) | $31 262 500 |
| 8(12). ალენ აივერსონი (კალათბურთი) | $28 937 500 |
| 9(10). დერეკ ჯეტერი (ბეისბოლი) | $28 500 000 |
| 10(9). პეიტონ მენინგი (ამერიკული ფეხბურთი) | $27 000 000 |
| 11(11). დეილ ირნჰარდტი (ავტოსპორტი) | $26 611 290 |
| 12(16). დუეინ უეიდი (კალათბურთი) | $26 410 581 |
| 13(22). დუაიტ ჰოვარდი (კალათბურთი) | $25 758 000 |
| 14. მაძ ტეიშეირა (ბეისბოლი) | $25 250 000 |
| 15(17). ტრეისი მაკგრეიდი (კალათბურთი) | $25 126 874 |
| 16(19). ტიმ დანკანი (კალათბურთი) | $24 098 705 |
| 17(25). სტეფონ მარბერი (კალათბურთი) | $23 937 500 |
| 18. სისი საბატია (ბეისბოლი) | $23 250 000 |
| 19(24). ჯეისონ კიდი (კალათბურთი) | $22 872 000 |
| 20(27). ჯერმეინ ო'ნილი (კალათბურთი) | $22 102 500 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონატი** | |
| ვესტ ბრომვიჩი-ქუინზ პარკი | 2:2 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| რეჯინა-ტრიესტინა | 3:1 |
| **სერია C1/B** | |
| ტარანტო-კოზენცა | 2:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კოტბუსი-ჰანზა | 0:0 |
| **პორტუგალია** | |
| ბელენენსეში-გიმარაეში | 0:1 |
| **შოტლანდიის თასი** | |
| ლივინგსტონი-კლაიდი | 7:1 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ოფი-ტრასივულოსი | 2:1 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ადანა-ორდუ | 2:0 |
| **კვიპროსი** | |
| ეთნიკოსი-არისი | 0:0 |
| **რუმინეთი** | |
| უნირეა (უ)-პოლიტეხნიკა | 2:0 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (თ-ა)-აშდოდი | 2:0 |

## TV პროგრამა

**15 დეკემბერი. სამშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

**09:15** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**10:15** Libero. ანალიტიკური პროგრამა.
**11:15** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შალკე.
**12:55** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ევერტონი.
**14:40** ჩოგბურთი. ATP-ის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**16:45** კრივი.
**17:05** სპორტული სამყარო.
**17:30** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-ოტავა.
**19:20** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**19:30** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**19:55** კალათბურთი. ევროთასი. აზოვმაში-ტერამო (LIVE).
**21:45** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:45** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**22:55** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:55** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ვულვზი (LIVE).
**02:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-ასტონ ვილა.
**03:45** ჩოგბურთი. ATP-ის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**05:50** 100% დინამო.
**06:10** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**06:35** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-ლოს ანჯელესი (LIVE).

**SPORT 2 (უკრაინა)**

**08:20** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ლევერკუზენი.
**10:00** კალათბურთი. ევროლიგა. VII ტური. მაკაბი-კახა ლაბორალი.
**11:45** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-კალგარი.
**13:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-რომა.
**15:15** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:10** Red Bull-ის საჰაერო რბოლა. ბუდაპეშტი. უნგრეთი.
**17:05** სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. ფინალი. შტუტგარტი. გერმანია.
**21:00** სპორტული სამყარო.
**21:30** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
**21:55** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-ოტავა.
**23:40** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-ასტონ ვილა (LIVE).
**01:45** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**02:05** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ვულვზი.
**03:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-რომა.
**05:45** კალათბურთი. ევროლიგა. VII ტური. მაკაბი-კახა ლაბორალი.

**EUROSPORT**

**11:30** მულტისპორტი.
**11:45** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**12:30** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. ფინალი. ტელფორდი. ბრიტანეთი.
**14:15** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**15:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
**16:30** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. ფინალი. ტელფორდი. ბრიტანეთი.
**18:30** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. ესტაფეტა. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
**19:30** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. კაცები. ესტაფეტა. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
**20:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
**22:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**22:10** რალი. დაკარი. ტელეჟურნალი.
**22:30** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. ესტაფეტა. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
**23:15** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. კაცები. ესტაფეტა. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
**00:00** პროფესიული კრივი. WBA-ის სატიტულო ბრძოლა. ნახევრადმჩატე წონა. იურიორკის გამბოა (კუბა)-უაიბერ გარსია (პანამა). აშშ.
**02:00** ექსტრემალური სპორტი.
**02:15** რალი. IRC-ის სერია.
**02:45** სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი.
**03:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
**04:15** მულტისპორტი.

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ჩიკაგო-ტამპა ბეი 4:0**

1:0, 2:0, 1:0

**გოლები:** 1:0 კეინი-10 (კეიტი-20), 2:0 იგერი-2 (მარიან ჰოსა-5, სოპელი-4), 3:0 მარიან ჰოსა-4 (შარპი-15, სიბრუკი-11), 4:0 ტეუვზი-9 (ბიფულინი-3, სიბრუკი-12).

**კოლორადო-კალგარი 3:2**

1:0, 2:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ვოლსკი-13 (კ. სტიუარტი-14, ქუინსი-14), 2:0 კ. სტიუარტი-7 (პ. შჩასტნი-26, ვოლსკი-20), 2:1 რენე ბურკი-9 (დეივსი-9), 3:1 ტაკერი-5 (გალიარდი-8, უილსონი-7), 3:2 ჯორდანო-2 (ლენგკოუ-10, რენე ბურკი-16).

## სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი

**ვალ დ'იზერი (საფრანგეთი). კაცები**

**სუპერკომბინაცია**

1. **ბენჯამინ რაიხი** (ავსტრია) - 2:07.71 (1:17.77+49.94); 2. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 2:08.60 (1:17.48+51.12); 3. **მანფრედ მოელგი** (იტა) - 2:09.26 (1:18.88+50.38); 3. **რომედ ბაუმანი** (ავსტრია) - 2:09.26 (1:18.15+51.11); 5. **ბოდე მილერი** (აშშ) - 2:09.40 (1:18.36+51.04); 6. **მარკუს ლარსონი** (შვედ) - 2:09.44 (1:18.81+50.63).

**სუპერგიგანტი**

1. **მიხაელ ვალხოფერი** (ავსტრია) - 1:20.78; 2. **ტედ ლიჯეტი** (აშშ) - 1:21.06; 3. **ვერნერ ჰეელი** (იტა) - 1:21.53; 4. **პატრიკ შტაუდახერი** (იტა) - 1:21.92; 5. **ბენჯამინ რაიხი** (ავსტრია) - 1:21.95; 6. **მარიო შრაიბერი** (ავსტრია) - 1:21.97.

**გიგანტური სლალომი**

1. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 2:16.28 (1:06.39+1:09.89); 2. **მასიმილიანო ბლარდონე** (იტა) - 2:17.05 (1:06.44+1:10.61); 3. **ბენჯამინ რაიხი** (ავსტრია) - 2:17.60 (1:07.32+1:10.28); 4. **მანფრედ მოელგი** (იტა) - 2:17.68 (1:06.88+1:10.80); 5. **აქსელ-ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 2:17.81 (1:07.45+1:10.36); 6. **რომედ ბაუმანი** (ავსტრია) - 2:18.08 (1:06.63+1:11.45).

**საერთო ჩათვლა**

1. **ბენჯამინ რაიხი** (ავსტრია) - 486; 2. **კარლო იანკა** (შვეიც) - 460; 3. **დიდიე კუში** (შვეიც) - 384; 4. **აქსელ-ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 288; 5. **ტედ ლიჯეტი** (აშშ) - 281; 6. **მიხაელ ვალხოფერი** (ავსტრია) - 268.

**არე (შვედეთი). ქალები**

**გიგანტური სლალომი**

1. **ტესა ვორლი** (საფ) - 2:23.22 (1:10.55+1:12.67); 2. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 2:23.79 (1:11.36+1:12.43); 3. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 2:23.91 (1:11.36+1:12.55); 4. **ფედერიკა ბრინიონე** (იტა) - 2:24.33 (1:12.38+1:11.95); 5. **კატრინ ჰოლცლი** (გერ) - 2:24.70 (1:13.10+1:11.60); 6. **მიხაელა კირხგასერი** (ავსტრია) - 2:24.87 (1:12.36+1:12.51).

**სლალომი**

1. **სანდრინ ობერი** (საფ) - 1:43.24 (53.22+50.02); 2. **მარია რიში** (გერ) - 1:43.69 (52.62+51.07); 3. **სუზან რიში** (გერ) - 1:44.20 (54.16+50.04); 4. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 1:44.62 (53.59+51.03); 4. **ანია პერსონი** (შვედ) - 1:44.62 (53.91+50.71); 6. **მარია პიეტილაე-ჰოლმნერი** (შვედ) - 1:44.68 (53.60+51.08).

**საერთო ჩათვლა**

1. **მარია რიში** (გერ) - 441; 2. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 421; 3. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 330; 4. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 275; 5. **ანია პერსონი** (შვედ) - 248; 6. **ელიზაბეტ გიორგლი** (ავსტრია) - 214.

ჩოგბურთი. ინტერვიუ ბორის ბეკერთან

# ჩოგბურთში დოპინგით ვერ მოიგებ

**ცოტა ხნის წინ გერმანული ჩოგბურთის ლეგენდა ბორის ბეკერი ჩეხეთს სტუმრობდა. მან პრაღის სასტუმრო Hilton-ში პოკერის ევროპული სერიის ტურნირში მიიღო მონაწილეობა, სადაც მთელი მსოფლიოდან ექვსასამდე მოთამაშე იყო შეკრებილი. ბეკერი პირველივე წრიდან გამოეთიშა ტურნირს. თანხა ვერ მოიგო და დაკარგა სასტარტო შენატანი - 5250 ევრო. თუმცა ეს ფული ჩოგბურთელის ნაცვლად მისმა სპონსორებმა გადაიხადეს. ცნობისთვის, ტურნირის გამარჯვებულმა, ჩეხმა იან სკამპამ 682 ათასი ევრო გამოიმუშავა.**

**ბეკერი ორი წელია პოკერით არის გატაცებული. მისი ინტერვიუც სწორედ ამ თემაზე საუბრით იწყება.**

**- ბორის, როდის დაიწყეთ პოკერის თამაში?**

- პოკერს საჩოგბურთო კარიერის დროსაც ვთამაშობდი. მეგობრებთან, კოლეგებთან, ფიზიოთერაპევტებთან. მაგრამ პროფესიულ დონეზე არასოდეს მიცდია ძალები და არც ფულზე მითამაშია. Pokerstars-მა შემომთავაზა მის გუნდში შევსულიყავი და მთელ მსოფლიოში პოკერის ელჩი გავმხდარიყავი. მანამდე ტურნირებზე არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ვთქვი: თუ მასწავლებელს მომიჩენთ, შევძლებ ამის გაკეთებას-მეთქი. შარშან უკვე კარგად გამოვიყურებოდი, წელს კიდევ უკეთესად მიდის საქმეები.

**- ტურნირები თუ გაქვთ მოგებული?**

- პროფესიულ დონეზე კარგი სტარტი მქონდა. მონტე კარლოში ძირითადი ტურნირიდან გავვარდი, მაგრამ მანუგეშებელ ეტაპზე გავიმარჯვე, ფინალურ მაგიდასთან მოვხვდი და საბოლოოდ მეშვიდე ადგილი დავიკავე. ასე რომ, პირველივე ტურნირზე ფული მოვიგე! საერთაშორისო რეიტინგი გამაჩნია, ზუსტად ისე, როგორც ჩოგბურთში იყო. ყველაზე წარმატებული ტურნირი კი წელს ლას ვეგასში ვითამაშე. საუკეთესოებს ვებრძოდი და საპრიზო ადგილზე გავედი.

**- რა რჩევას მისცემდით ახალბედებს?**

- ვურჩევ ბევრი ითამაშონ ინტერნეტით. რა თქმა უნდა, ეს არ შეედრება მაგიდასთან ჯდომას და პირისპირ თამაშს, მაგრამ საკმაო გამოცდილების დაგროვება შეიძლება. უნდა გრძნობდეთ, როდის ღირს თამაში და როდის ბანქოს დაყრა. ამას მხოლოდ რეგულარულად თამაშისას მიაღწევთ.

საერთოდ, პოკერი ჩოგბურთს მაგონებს. საუკეთესო მოთამაშეთა ჯგუფი ყოველ კვირას მოგზაურობს და ტურნირებს თამაშობს. მომწონს ეს სიტუაცია, როცა ხელში კარგი ბანქო გიჭირავს, ფსონი მაღალია და პირისპირ ხვდები მეტოქეს. ამით დიდ სიამოვნებას ვიღებ.

**-ამბობენ, რომ 12 წლის ასაკში არჩევანი უნდა გაგეკეთებინათ ფეხბურთსა და ჩოგბურთს შორის...**

- ეს უფრო გვიან იყო - 15-16 წლის ასაკში. მინდოდა დამოუკიდებელი ვყოფილიყავი. ფეხბურთში კი მეკარეზე ან მწვრთნელზე ხარ დამოკიდებული... ჩემი ხასიათი უფრო ინდივიდუალურ სახეობებს ერგება. გარკვეულ სიტუაციაში ეს უფრო რთულია: ხომ არსებობს ცუდი დღეები, როცა არავის შეუძლია დაგეხმაროს გამარჯვებების მოპოვებაში.

**- ფეხბურთით სერიოზულად იყავით დაკავებული?**

- დიახ, გუნდებში ვთამაშობდი. საკმაოდ კარგად გამომდიოდა. დარწმუნებული ვარ, ჩემგან ძალიან კარგი ფეხბურთელი გამოვიდოდა. მაგრამ მამამ საჩოგბურთო ცენტრი ააშენა და ამან განსაზღვრა ჩემი მომავალი. მთელ ჩემს ოჯახს უყვარდა ჩოგბურთი, ყოველ უქმეებზე ვთამაშობდით. მამამ კლუბი გახსნა და მთელი სამხრეთ გერმანიის საუკეთესო ჩოგბურთელები იქ ვარჯიშობდნენ, მეც მათ გვერდით ვიყავი.

17 წლის ასაკში მოვიგე უიმბლდონი, 24 წლისა მსოფლიოს პირველი ჩოგანი გავხდი, 1992 წელს ოლიმპიადა მოვიგე წყვილთა თანრიგში. რომელია ამ მიღწევებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი? ყველა განსაკუთრებულია. მაგრამ, როცა კომპიუტერიც კი მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელად გთვლის - ეს განსაკუთრებული მოვლენაა! რა თქმა უნდა, 17 წლის ასაკში უიმბლდონის მოგება დაუჯერებელი მიღწევაა, მაგრამ რაც უნდა იყოს, ეს მხოლოდ ერთი ტურნირია. ხოლო იმისთვის, რომ რეიტინგში პირველი გახდე, მთელი წელი კარგად თამაშია საჭირო. ამიტომაც, პირადად ჩემთვის პირველი ჩოგანის ტიტული ყველაზე მნიშვნელოვანია.

**- რომელია თქვენი ყველაზე გულდასაწყვეტი წაგება?**

- 17 წლის ვიყავი „დიდი სლემის“ ტურნირი რომ მოვიგე. ეს იმდენად დიადი მოვლენა იყო, რომ მას აუცილებლად მოჰყვებოდა ჩავარდნა. „სლემის“ ფინალებში გასვლაც არ მაკმაყოფილებდა, ვგრძნობდი, რომ ეს ცოტა იყო ჩემთვის. სწორედ ამ მხრივ მიჭირდა ყველაზე მეტად.

**- დღეს ჩოგბურთს ხშირად უყურებთ?**

- ტელევიზიით ზოგიერთ ცენტრალურ შეხვედრას კომენტარს ვუკეთებ. ეს საქმე მომწონს, რადგან ჩოგბურთზე ყველაფერი ვიცი და მიკროფონთან თავისუფლად ვგრძნობ თავს. მაგრამ ეს ყოველ კვირას არ ხდება.

**- ვეტერანთა ტურნირებზე თამაშობთ?**

- ძალიან იშვიათად. მხოლოდ საქველმოქმედო მატჩებში ვმონაწილეობ, ვეტერანთა ტურში კი არ გამოვდივარ. რატომ? უბრალოდ ეს ჩემი საქმე არ არის და თან ფორმასაც ვერ ვინარჩუნებ. ისე ძალიან სასიამოვნოა საქველმოქმედო უიქ ენდებზე ედბერგისა და სამპრასის წინააღმდეგ თამაში.

**- როგორ გაიცანით ძმები კლიჩკოები?**

- უკრაინელები გერმანიაში ძალიან პოპულარულები არიან. ხანდახან ისინი გერმანელები გვგონია. ძალიან კარგი ბიჭები არიან. ამბობენ, რომ ყველა მოკრივე სულელი და უვიცი უნდა იყოს. მაგრამ ძმები კლიჩკოები ძალიან განათლებულები არიან, რამდენიმე ენაზე ლაპარაკობენ. ისინი ერთ-ერთ წვეულებაზე გავიცანი და დღეს რეგულარულად ვხვდებით ერთმანეთს. ვლადიმერს გასულ კვირას კიტცბუელში შევხვდი, ვიტალი წელს ჩემს ქორწილში საპატიო სტუმარი იყო.

**- ბევრი თვლის, რომ ბრძოლები კლიჩკოების მონაწილეობით მოსაწყენია.**

- დიახ, ვიცი. მაგრამ არასოდეს არ მოიწყენ, თუ გამარჯვებული იქნები! ვიტალისა და ვლადიმერს განსხვავებული სტილი აქვთ, მაგრამ ორივენი უკვე დიდი ხანია დაუმარცხებლები არიან. მათი სახით თანამედროვე კრივს ბრწყინვალე მებრძოლები ჰყავს.

**- ცოტა ხნის წინ გამოვიდა ანდრე აგასის წიგნი, რომელშიც ის დოპინგის გამოყენებას აღიარებს...**

- ამ ისტორიაში ყველაზე მეტად ის მაკვირვებს, რომ მან ამის შესახებ წიგნის დაწერა გადაწყვიტა. ეს არც ისე დიდი ხნის წინ მოხდა და ანდრეს ეს ამბავი დიდად არ ახარებს, მაგრამ მაინც გადაწყვიტა მისი მოყოლა.

**- თვლით, რომ ანდრემ უნდა დააბრუნოს საპრიზო ფული და ტიტულები?**

- არავითარ შემთხვევაში! ჩემი აზრით, ნარკოტიკებმა ის უფრო დაასუსტა. აგასის ძალიან დიდ პატივს ვცემ. მას ყველა ტურნირი დამსახურებულად აქვს მოგებული. ვერავინ შეძლებს უიმბლდონის მოგებას მხოლოდ იმიტომ, რომ დოპინგი მიიღო. ჩოგბურთი არ არის სპორტის ის სახეობა, სადაც სტიმულატორები წარმატებას მოგიტანს. და საერთოდ, ის რაც აგასის დაემართა, ძალიან უცნაურია. ყველა ჩოგბურთელი რეგულარულად გადის დოპინგტესტს. აგასისაც ამოწმებდნენ და ალბათ აღმოუჩინეს აკრძალული პრეპარატი. კითხვა მაქვს ATP-ის მისამართით: რატომ დუმდნენ? აი, ამაშია პრობლემა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



